



GRUNI

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

საგანმანათლებლო პროგრამების კ ა ტ ა ლ ო გ ი

თბილისი, 2025

საკონტაქტო ინფორმაცია

დასახელება	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სახე	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მისამართი	თბილისი, ირინა ენუქიძის ქუჩა №3. / ბათუმი, თამარ მეფის ქუჩა 60
რექტორი	მამუკა თავხელიძე, m.tavkhelidze@gruni.edu.ge
საკონტაქტო ინფორმაცია	(+995 32) 238-44-06; / info@gruni.edu.ge / https://www.gruni.edu.ge/
	ტელეფონი / ელ-ფოსტა / ვებ-გვერდი

სკოლების ადმინისტრაცია

სამართლის სკოლის დეკანი	გულნაზი გალდავა	(+995 32) 238-44-06 /103 g.galdava@gruni.edu.ge
დეკანის მოადგილე ორგანიზაციულ საკითხებში	ამირან მოსულიშვილი	(+995 32) 238-44-06/303 a.mosulishvili@gruni.edu.ge
დეკანის მოადგილე / ECTS კოორდინატორი	ქეთევან გაბრიჭიძე	(+995 32) 238-44-06/302 k.gabrichidze@gruni.edu.ge
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი	ვახტანგ ჭარაია	(+995 32) 238-44-06 /200 v.charaia@gruni.edu.ge
დეკანის მოადგილე / ECTS კოორდინატორი	ნინო მერაბიშვილი	(+995 32) 238-44-06/401 n.merabishvili21@gruni.edu.ge
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	ნინო შოშიტაშვილი	(+995 32) 238-44-06 /500 n.shoshitashvili@gruni.edu.ge
დეკანის მოადგილე / ECTS კოორდინატორი	თამარ მიქელაძე	(+995 32) 238-44-06/501 tamar.mikeladze@gruni.edu.ge
ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი	ვახტანგ ჭარაია	(+995 32) 238-44-06 /200 v.charaia@gruni.edu.ge
დეკანის მოადგილე ორგანიზაციულ საკითხებში	ქეთევან მაისურაძე	(+995 32) 238-44-06/202 k.maisuradze@gruni.edu.ge
მედიცინის სკოლის დეკანი	გიორგი ბერია	(+995 32) 238-44-06 /605 g.beria@gruni.edu.ge
დეკანის მოადგილე ორგანიზაციულ საკითხებში	ნინო გორდელაძე	(+995 32) 238-44-06 / 602 n.gordeladze@gruni.edu.ge
დეკანის მოადგილე/ECTS კოორდინატორი	ილონა ბიტაროვა	(+995 32) 238-44-06 / 603 ilona.bitarova@gruni.edu.ge
სტომატოლოგიის სკოლის დეკანი	ანა თეგეტაშვილი	(+995 32) 238-44-06 /600 a.tegetashvili@gruni.edu.ge
ადმინისტრირების ოფისი	ინგა მარგველიძე	(+995 32) 238-44-06 / 601 i.margvelidze@gruni.edu.ge
ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი	ამირან მესხიშვილი	a.meskhishvili@gruni.edu.ge
ხელმძღვანელის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის საკითხებში	გუგული თურმანიძე	g.turmanidze@gruni.edu.ge (+995 422) 24 51 33

მინაარსი:

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მისია, ხედვა, მიზნები და ღირებულებები	4
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები	6
სამართალი / Law	7
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია / Journalism and Mass Communication	12
ფსიქოლოგია / Psychology	16
ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) / Business Administration (Finance)	20
ტურიზმი / Tourism	24
ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) / Business Administration (Management)	28
ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი) / Business Administration (Marketing)	32
ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში /	36
Artificial intelligence and programming in business	36
ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში /	40
Artificial intelligence and programming in business	40
საჯარო მმართველობა და პოლიტიკა / Public Administration and Politics	44
საჯარო მმართველობა და პოლიტიკა / Public Administration and Politics	50
საექთნო საქმე / Nursing	55
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები	60
დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა (DMD)	61
დიპლომირებული მედიკოსი (MD)	70
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები	84
სამართალი / LAW	85
ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration	90
მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი / Sustainable Business Management	95
მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაცია / Sustainable Business Transformation	100
ციფრული მმართველობა / Digital Governance	104
მასობრივი კომუნიკაცია / Mass Communication	109
კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება / Clinical Psychology and Counseling	113
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები	117
სამართალი / LAW	118
ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration	124
ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration	129
მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი / Sustainable Business Management	134
პოლიტიკური ფილოსოფია / Political Philosophy	139
საჯარო მმართველობა / Public Administration	144

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მისია, ხედვა, მიზნები და ღირებულებები

ვექშით მაღალ აკადემიურ კულტურას და ინტელექტუალურ სიმდიდრეს - სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებითა და სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული საქმიანობით მოვამზადებთ კონკურენტუნარიან სპეციალისტთა თაობებს ჰუმანიტარული, სოციალური, მართვის, მედიცინისა და, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული, სხვა მოთხოვნადი სფეროებისთვის, რომლებიც შეძლებენ ინტეგრირებას ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე, გაიაზრებენ, ზოგადად, თავის წილ პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის მომავლისთვის.

გამკვიდრებთ მაღალ სამეცნიერო-კვლევით კულტურას - ხელს შევუწყობთ მეცნიერების შემდგომ განვითარებას - დავიცავთ და განვავითარებთ საკაცობრიო ცოდნას, შევქმნით ახალს და გავაზიარებთ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, რისთვისაც განვავითარებთ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, როგორც მეცნიერებისა და საზოგადოებრივი კულტურის ინოვაციური განვითარებისთვის ღრმა/ფართო კომპეტენციებით აღჭურვილი კადრების მომზადების ეფექტიან სისტემას.

ვთავაზობთ საზოგადოებას მაღალი სტანდარტის მომსახურებას - აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით გამოცდილებას გამოვიყენებთ საზოგადოების განვითარებასა და მის საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების განხორციელებისთვის, ხელს შევუწყობთ ქვეყნის რეგიონულ განვითარებას - აჭარაში უზრუნველვყოფთ მაღალი სტანდარტის საგანმანათლებლო სერვისს, სპეციალისტთა მომზადებასა და პროფესიულ განვითარებას.

უნივერსიტეტის ხედვა, მიზნები

უნივერსიტეტი საზღვრების გარეშე - ასე ვხედავთ საკუთარ თავს ახალი საზოგადოებრივი პროფილის ფორმირების კონტექსტში, რაც ნიშნავს იმას, რომ შევქმნით ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნად საგანმანათლებლო პროდუქტებს, განვსაზღვრავთ აკადემიური მომსახურების მაღალ ნიშნულებს და დავიკავებთ წამყვან პოზიციას გლობალური საუნივერსიტეტო პოლიტიკის განხორციელების საქმეში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს დანიშნულებად ვთვლით ისეთი მიზნების განხორციელებას, როგორიცაა:

1. მოვამზადოთ ფართო კომპეტენციის მქონე ახალი გენერაციის სპეციალისტები, რითაც ხელს შევუწყობთ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და, შესაბამისად, ცოდნის საზოგადოების მრავალმხრივი იერარქიის განვითარებას.
2. მოვამზადოთ არა მარტო კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, არამედ აღვზარდოთ მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე, ეროვნული ცნობიერებისა და დემოკრატიულ ღირებულებათა მატარებელი თაობები, რომლებსაც ექნებათ მოქალაქეობრივი თანაგრძნობის, სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება და წონად წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული განვითარების საქმეში.
3. ხელი შევუწყობთ სტუდენტთა პიროვნული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობის გაფართოებისა და მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო და სხვა აქტივობების განხორციელების გზით.

4. შევექმნათ გლობალურ გამოწვევებზე ორიენტირებული ორგანიზაციული სისტემა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარებისათვის, რომელიც საფუძველს შექმნის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებისა და ახალი სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად, უზრუნველყოფს ახალგაზრდა მეცნიერებში საკაცობრიო ცოდნის კონსერვაციისა და მისი ახლებურად გააზრების აუცილებლობის გაცნობიერებას, ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას და მათ საერთაშორისო სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში ინტეგრირებას.
5. აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების საფუძველზე განვავითაროთ და სრულვყოთ მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული, უპირატესად, სოციალური მობილობის ხელშემწყობი (უწყვეტი განათლება/კვალიფიკაციის ამაღლება), სასწავლო, საკონსულტაციო-ექსპერტული და კლინიკური მომსახურების სისტემა.

ღირებულებები

ჩვენ ერთგულნი ვართ იმ ღირებულებებისა, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო საგანმანათლებლო ფასეულობებს და საფუძველად უდევს უნივერსიტეტის მისიას, მის პრაქტიკულ განხორციელებას:

1. სწავლა-სწავლების პროცესის ლიბერალურობა, დემოკრატიულობა, ღიაობა;
2. აკადემიური შეუვალობა და ჭეშმარიტების თავისუფალი ძიება;
3. მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, მაღალი პასუხისმგებლობა;
4. არჩევითობის თავისუფლება, გამჭვირვალობა, სამართლიანობა;
5. სტუდენტი - სწავლება-სწავლის პროცესის ცენტრალური სუბიექტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

სამართალი / Law

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი / Bachelor of Law (LLB)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	240 კრედიტი; 4 წელი / 8 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	სამართლის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან. სამართლის სკოლა თავისი მისიის მთავარ მიმართულებად, სწორედ, უნივერსიტეტის მისიის განხორციელებაში **უნიკალური წვლილის შეტანას** მიიჩნევს, რაც გულისხმობს - სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული საქმიანობით, **მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი იურისტების მომზადებას**, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უახლეს თეორიულ და პრაქტიკულ კომპეტენციებზე დაყრდნობით აიღებენ თავის წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის სამართლებრივი სისტემის სრულყოფასა და განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი იურისტები, რომლებსაც გაცნობიერებული ექნებათ სამართლის, როგორც მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე დარგის არსი, ეცოდინებათ სამართლის ძირითადი ცნებები/თეორიები, ეროვნული სამართლის სისტემის თავისებურებები, ინსტიტუტები, სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია და ნორმის შეფარდების სტადიები, შეძლებენ სხვადასხვა სახის იურიდიული მოქმედებების განხორციელებას და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების/კვლევითი პროექტების შემუშავებას.
- მისცეს სტუდენტებს ცოდნა სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, მეთოდებისა და საერთაშორისო/ეროვნული სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური სამართლებრივი/ეთიკური ღირებულებების გააზრებას, ჩამოუყალიბებს თანამედროვე სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარს, შესაბამისად, მოამზადებს როგორც იურისტად მუშაობის დასაწყებად საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანიზაციებში, საჯარო ან/და კერძო სექტორში, ისე ადვოკატის, ნოტარიუსისა და პროკურორის პროფესიაში შესვლისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს კომპეტენციათა ისეთი სპექტრი, რომლითაც შეძლებენ არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების

დაკმაყოფილებას, რისთვისაც პროგრამა უზრუნველყოფს საერთაშორისო მობილობისათვის საჭირო პირობების შექმნას - უცხო ენების დიფერენცირებულ სწავლებას და საერთაშორისო პარტნიორული თანამშრომლობის გაფართოვებას.

- შეუქმნას სტუდენტებს საკმარისი ინტელექტუალური რესურსი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის, ლიბერალური და აკადემიური ღირებულებების ფორმირებისათვის.
- განუვითაროს სტუდენტებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარი - ჩამოუყალიბოს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციების ისეთი სისტემა, რომლითაც შეძლებენ, არამარტო დამოუკიდებელ სწავლას პროფესიული განვითარებისათვის, არამედ საკონკურსო მოთხოვნების დაკმაყოფილებას შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებად.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- აღწერს საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნების სამართლის წარმოშობის საფუძვლებსა და განვითარების ეტაპებს - ძეგლებს, წყაროებს; სამართლის, როგორც ნორმათა იერარქიული, მკაცრად ფორმალიზებული სისტემის არსს;
- აცნობიერებს ადამიანის უფლებათა არსებით საკითხებს, ღირებულებებსა და პრინციპებს; შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის მექანიზმებს; სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის საფუძვლებს/პრინციპებს - ეროვნული მოდელის სპეციფიკას; ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ფორმებს.
- განმარტავს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის დარგობრივ სისტემებს, მათ მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს, უზოგადეს ცნებებსა და ინსტიტუტებს; სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლებების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს; დანაშაულის არსს და სახეებს, სასჯელის სისტემას; საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას; სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს დარგების მიხედვით (შინაარსი, სტრუქტურა და მათი მოქმედების მექანიზმები), პასუხისმგებლობის მექანიზმებს და სამართალწარმოების სპეციფიკას დარგების მიხედვით.
- განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის საფუძვლებს/მიზეზებს (დარგების მიხედვით), ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

2. უნარი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ახდენს რთული ან გაუთვალისწინებელი დარგობრივი სამართლებრივი პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას და ანალიზს, მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი მეთოდების შერჩევას/გამოყენებას და, საკუთარი მოსაზრებების შესახებ, მსჯელობას სპეციალისტთა წრეში, ხოლო არასპეციალისტებისთვის - გასაგები ენით კონსულტირებას/განმარტებას ზეპირი ან წერილობითი ფორმით, სინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- კონკრეტული დარგის ფარგლებში, დავის გადაწყვეტისათვის, განსაზღვრავს ეფექტიან სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის პროცესში ასაბუთებს საკუთარი პოზიციას, ადგენს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და აფასებს მათ ან ახდენს სხვა სამართლებრივი ამოცანის გადაწყვეტას სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის საფუძველზე, კანონიერი საშუალებების გამოყენებითა და ეთიკის ნორმების დაცვით.
- მუშაობს სამართლებრივ დოკუმენტებზე - შესაბამისი ფორმალური და ენობრივ-ტერმინოლოგიური სტანდარტის დაცვით, მათ სტრუქტურირებას ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების,

სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტებისა თუ საპროცესო დოკუმენტების პროექტის ფორმატით.

- ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის ქეისების, სამეცნიერო სიახლეების და სხვა საჭირო მონაცემების შესახებ მოიპოვებს ინფორმაციას სხვადასხვა მონაცემთა ბაზის, ელექტრონული საბიბლიოთეკო და ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების გამოყენებით - ანალიზებს მათ, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და ახდენს სტრუქტურირებას კვლევითი ან პრაქტიკული პროექტის/ნაშრომის ფორმატით, წინასწარი მითითებების შესაბამისად.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღიარებს და მოქმედებს იურისტის ეთიკური სტანდარტების დაცვით. პატივს სცემს ადამიანის, მათ შორის, დამნაშავეს უფლებებს, სამართალწარმოების პროცესში ოპერირებს კანონის უზენაესობისა და, ზოგადად, სამართლებრივი ღირებულებებით.
- აცნობიერებს რა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის აუცილებლობას, დამოუკიდებლად, ამავდროულად, გუნდური მუშაობის ფარგლებში, წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, შეუძლია საკანონმდებლო და დარგობრივი სიახლეების მიძიება ქართულ და უცხოურ ენებზე, საჭირო ინფორმაციის გამორჩევა და გამოყენება.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია სამართლის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	4	2
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	3
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / ისტორია / სამოქალაქო განათლება	4	1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისი პროცედურებია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული კურსის სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა, წელიწადში, 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გამჭოლი სისტემით არის წარმოდგენილი, რაც, გარდა ცალკეულ დისციპლინაში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო დისციპლინები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები გაერთიანებულია მოდულებში, დარგების მიხედვით, სულ 172 კრედიტის მოცულობით.
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კომპონენტები გაერთიანებულია მოდულებში, ასევე, დარგების მიხედვით, სულ 43 კრედიტის მოცულობით. აქედან: 3 კრედიტი განსაზღვრულია საბაზისო სასწავლო კურსების მოდულისთვის, ხოლო 40 კრედიტს სტუდენტი ირჩევს საჯარო სამართლის, კერძო სამართლის ან სისხლის სამართლის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსებიდან.
- თავისუფალი კომპონენტები - სულ 25 კრედიტის მოცულობით. პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა - მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დისციპლინები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91 – 100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა დიპლომი

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია / Journalism and Mass Communication

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბაკალავრიატი / მეექვსე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
სწავლების ენა	ჟურნალისტიკის ბაკალავრი Bachelor of Journalism
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	ქართული
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	240 კრედიტი; 4 წელი / 8 სემესტრი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის ძირითად საფუძვლად თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან, იმ ცვლილებებთან, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებით არის გამოწვეული.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, თავისი მისიის მთავარ მიმართულებად, სწორედ, უნივერსიტეტის მისიის განხორციელებაში *უნიკალური წვლილის შეტანას* თვლის, რაც გულისხმობს - *მაღალკვალიფიციური ჟურნალისტთა კადრების მომზადებას თანამედროვე სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსის გამოყენებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით*. შესაბამისად,

პროგრამა მიზნად ისახავს:

- მოამზადოს კონფორმისამართი თავისუფალი და ახალი მოქალაქეობრივი აზროვნებით აღჭურვილი ჟურნალისტები, რომლებიც გააცნობიერებენ მედიის სოციალურ არსს, ელექტრონული და ბეჭდური მედიის თავისებურებებს; ექნებათ ცოდნა მედიის სამართლებრივი ჩარჩოს, ჟურნალისტიკის პრინციპების, თეორიებისა და მეთოდების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური ჟურნალისტურ-ეთიკური ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში;
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ისეთი სპექტრი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დასაქმდნენ, როგორც ელექტრონული და ბეჭდური მედიის ინდუსტრიაში, ისე იმ სფეროებში, რომელშიც მოითხოვება ჟურნალისტის კომპეტენცია - საინფორმაციო სააგენტოები, საჯარო და კერძო დაწესებულებების პრესსამსახურები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები - შეეძლება, არამარტო საზოგადოებისთვის აქტუალური ინფორმაციის მოპოვება და გაშუქება სხვადასხვა ფორმატით, არამედ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც კოლეგებთან, ისე რესპონდენტებსა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან.
- გამოუმუშაოს სტუდენტებს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარი, როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, ისე ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებით. ამ მიზნით პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისათვის

საჭირო პირობების შექმნას - უცხო ენების დიფერენცირებულ სწავლებას, მათ შორის, პროფესიული ინგლისური ენის კურსის შეთავაზებას და საერთაშორისო პარტნიორული თანამშრომლობის გაფართოებას.

- განუვითაროს სტუდენტებს ზოგადინტელექტუალური რესურსი, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს კონკრეტული სფეროს (სტუდენტის არჩევით) პრობლემემატიკის კვალიფიციურად გაშუქების უნარის განვითარებას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ეროვნული და მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული გამოცდილების, ეთიკური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი პრინციპების გააზრებას თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციები, რომლითაც შეძლებენ მთელი სიცოცხლის მანძილზე ცოდნის სისტემატურ განახლებას და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, რისთვისაც პროგრამა, გარდა ძირითადი დისციპლინებისა, უზრუნველყოფს ინსტრუმენტული სასწავლო დისციპლინების სწავლა-სწავლებას.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- აღწერს/ახასიათებს მასობრივი კომუნიკაციის სისტემას, მედიაინდუსტრიის განვითარების ტენდენციებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპებს და ფორმებს, ევრანული ენის ტექნოლოგიურ საფუძვლებს, საეთერო ფორმატის მახასიათებლებს, გამოსახვის საშუალებებს; ბეჭდური მედიის სპეციფიკას, მისი წარმოების საფუძვლებს, ჟანრებს, გაზეთისა და ჟურნალის სტილსა და ენას.
- განმარტავს/ხსნის სიტყვის თავისუფლების დაცვის მექანიზმებს, მედიის სამართლებრივი რეგულირების ნორმებს, პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს, როგორც ჟურნალისტიკისა და საზოგადოების ეფექტიანი ურთიერთობის გარანტს.

2. უნარი. სტუდენტი:

- კროსმედიური და ცალ-ცალკე მედიაპლატფორმებისთვის ამზადებს ჟურნალისტურ პროდუქტს, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, გრამატიკული და სტილისტური სტანდარტების დაცვით; შეიმუშავებს/მართავს შემოქმედებით პროექტებს.
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს იყენებს საზოგადოებივად მნიშვნელოვანი საკითხების, ქვეყნის განვითარების ცალკეული დარგის ფარგლებში არსებული ძირითადი პრობლემემატიკის აქტუალიზაციის, თვითგამოხატვისა და საზოგადოებრივი აზრის მიდევნების მიზნით; ამზადებს ახალ ამბებს მულტი მედიაპლატფორმისთვის - ინფორმაციის მოპოვება, გადამოწმება, დაბალანსება, ობიექტურად მნიშვნელოვანი ფაქტების გამოყოფა და სტრუქტურირება შესაბამისი ფორმატით.
- ამზადებს/ წარადგენს რეპორტაჟს (მათ შორის, ფოტო რეპორტაჟს) - აფასებს მოვლენის ადგილზე არსებულ ფაქტორებს, მოიძიებს ინფორმაციის წყაროებს, განსაზღვრავს მათ სანდოობას, ატარებს ინტერვიუს, ახდენს საეთერო ტექსტის სპონტანურ ფორმირებასა და პროდუცირებას.
- აანალიზებს მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მიმდინარე პროცესებს, წარმოაჩენს თანამედროვე მედიაში რეალურად არსებულ პრობლემემატიკას, სწორად აფასებს მედიასივრცეში განვითარებულ მოვლენებსა და ფაქტებს. გამოარჩევს მთავარ მოვლენას, აყალიბებს დასკვნებს და წარადგენს აკადემიურ/პროფესიული საზოგადოების წინაშე.
- ურთიერთობს რესპონდენტთან, ინფორმაციის წყაროსთან, ამზადებს პრესრელიზს და წარუდგენს საზოგადოებას, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე; მონაწილეობს პრესკონფერენციის მუშაობაში, ამზადებს შესაბამის ინფორმაციას და გადაცემს ფართო საზოგადოებას, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმატით.
- აანალიზებს საქართველოს ისტორიულ და ეთნო-კულტურულ თავისებურებებს კაცობრიობის ისტორიული განვითარების კონტექსტში, აზოგადებს და პრაქტიკაში იყენებს სამოქალაქო საზოგადოების ძირითად პრინციპებსა და ლიბერალურ - დემოკრატიულ ფასეულობებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტი:

- ობიექტურად აფასებს შემდგომი სწავლის საჭიროებისათვის საკუთარ მზაობას, ადგენს ძლიერ და სუსტ მხარეებს და, შესაბამისად, შეიმუშავებს/ახორციელებს სწავლის ინდივიდუალურ ალგორითმს.
- განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავს პასუხისმგებლობის სრული გააზრებითა და ეთიკის პრინციპების დაცვით.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	5	1
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / ისტორია / გეოგრაფია / ლიტერატურა / სამოქალაქო განათლება	3	3

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურებია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

(E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა, წელიწადში, 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის გამჭოლი სისტემით არის წარმოდგენილი, რაც დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების არსებობას გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 კრედიტის მოცულობით.
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები - 68 კრედიტის მოცულობით.
- თავისუფალი კომპონენტები - სულ 52 კრედიტის მოცულობით. პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა - მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დისციპლინები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **ჟურნალისტიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით:

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა დიპლომი

ფსიქოლოგია / Psychology

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია 0313
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Psychology
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	240 კრედიტი; 4 წელი / 8 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისია ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრავს სოციალური მიმართულების პროგრამების განვითარებას, რაც სხვა დარგის სპეციალისტების მომზადებასთან ერთად, ფსიქოლოგთა ახალი თაობის აღზრდასაც გულისხმობს. პროგრამის კურსდამთავრებულებმა, ობიექტურად არსებული გამოწვევების კონტექსტში, უნდა შეძლონ ფართო საზოგადოებრივი დაკვეთის შესრულება - **თავისი წილი პასუხისმგებლობის აიღება**, არამარტო მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის, ზოგადად, არამედ მაღალი ხარისხის პროფესიული აქტივობის განხორციელებისათვის სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა პროფესიული ამოცანის გადასაწყვეტად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტები, რომლებიც გააცნობიერებენ ფსიქოლოგიის პროფესიის მაღალ სოციალურ მნიშვნელობას და ექნებათ ცოდნა ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებების, თეორიების, პრინციპებისა და კვლევის მეთოდების შესახებ.
- გამოუმუშაოს სტუდენტებს პროფესიული კატეგორიებით აზროვნების, ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებისა და თეორიების ანალიზისა და შეფასების, აგრეთვე კვლევის დაგეგმვის, მკაფიო მითითებების საფუძველზე, ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის ჩატარების, მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარები, აგრეთვე, შეუქმნას პირობები პროფესიული უნარების განმტკიცებისათვის პრაქტიკის ობიექტებზე და საერთაშორისო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად უცხო ენების დიფერენცირებული სწავლებით.
- მოახდინოს სტუდენტთა ზოგადინტელექტუალური რესურსის ფორმირება უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად - ჩამოუყალიბოს ინფორმაციის კრიტიკულად გააზრებისა და გამოყენების უნარი, გაუფართოოს და სრულყოს საკომუნიკაციო ინსტრუმენტარიუმი, განუვითაროს ეროვნული და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციები, რომლითაც შეძლებენ ცოდნის სისტემატურ განახლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას აკადემიური ცოდნის გასაღრმავებლად.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- აღწერს ფსიქოლოგიის მეცნიერების მიზნებსა და ამოცანებს, მსჯელობს ინდივიდის ფუნქციონირების შესახებ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების ჭრილში, სხვადასხვა მეთოდის, თეორიის, მტკიცებულებისა და მიდგომის გათვალისწინებით.
- ადეკვატურად იყენებს დარგობრივ ლექსიკას, აანალიზებს ფსიქოლოგიურ თეორიებსა და კვლევის შედეგებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგებში, როგორებიცაა პიროვნების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია.
- აღწერს ფსიქოლოგიური კვლევის ეტაპებს, ეთიკის ძირითად პრინციპებს, ადარებს კვლევის მეთოდების ძლიერ და სუსტ მხარეებს.

2. უნარი. სტუდენტი:

- ემპირიული მონაცემების მოსაპოვებლად ირჩევს კვლევის ადეკვატურ მეთოდებს; ავლენს მითითებების საფუძველზე შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით კვლევითი პროექტის შემუშავების, კვლევის ჩატარების, შედეგების დამუშავებისა და ინტერპრეტაციის პრაქტიკულ უნარებს.
- ამზადებს ფსიქოლოგიის სფეროში იდეების, არსებული პრობლემების, მათი გადაჭრის გზების ან/და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესახებ წერილობითი ანგარიშს ეთიკური პრინციპების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საკუთარი ცოდნის გაზიარების მიზნით მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში, წარადგენს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ლოგიკურ არგუმენტებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტი:

- იზიარებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპის მნიშვნელობასა და პროფესიული განვითარების გაგრძელების აუცილებლობას. კონსტრუქციულად და კრიტიკულად აანალიზებს საკუთარი სწავლის შედეგებს.
- ახდენს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის დროის რაციონალურად გადანაწილებას, მოიძიებს დამატებით ლიტერატურულ წყაროებს, არჩევს და იყენებს ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულ თეორიულ და პრაქტიკულ საგანმანათლებლო რესურსებს.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	4	1
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / ისტორია / ბიოლოგია	4	3

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გამჭოლი სისტემით არის წარმოდგენილი, რაც, გარდა ცალკეულ დისციპლინაში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო დისციპლინები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები გაერთიანებულია მოდულებში, დარგების მიხედვით, სულ 125 კრედიტის მოცულობით.
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს 25 კრედიტი.
- პროგრამა მოიცავს 2 სავალდებულო მოდულს (სოციალური ფსიქოლოგია და კლინიკური ფსიქოლოგია. თითოეული მოდულიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს 30-30 კრედიტი. სულ - 60 კრედიტი.
- თავისუფალი/არჩევითი კომპონენტები - სულ 30 კრედიტის მოცულობით. პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით
51 - 90 ქულა დიპლომი

ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) / Business Administration (Finance)

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა 0412
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში / Bachelor of Business Administration in Finance
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	180 კრედიტი; 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს სპეციალისტები ბიზნესის მართვის სფეროსათვის, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ფინანსებში, რითიც შეძლებენ ორგანიზაციის ფულადი ნაკადების, ინვესტიციების და სხვა ფინანსური ოპერაციების ანალიზსა და მართვას.
- გამოუმუშავოს ბიზნეს ორგანიზაციების ეფექტიანი მართვის, ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და ოპტიმიზაციის, ორგანიზაციის წინაშე მდგარი რისკების ანალიზი-პროგნოზირების და თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- შეასწავლოს ორგანიზაციის და მისი დეფიციტური ფინანსური რესურსების მართვის საბაზისო კონცეფციები, პრინციპები და თანამედროვე მიდგომები, რაც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ დასაბუთებული ფინანსური გადაწყვეტილებები, რომლებიც მაქსიმალურად გაზრდის ბიზნესის ღირებულებას მისი დაინტერესებული მხარეებისთვის.
- უზრუნველყოს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირება, ფუძემდებლური მენეჯერული და ეთიკური ღირებულებების გააზრება სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში, გამოუმუშავოს პროფესიული კატეგორიებით აზროვნების, ადგილობრივ და საერთაშორისო გარემოში კომუნიკაციისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- იცნობს ბიზნესის მართვის სპეციფიკურ თავისებურებებს, ბიზნესის სოციო-ეკონომიკურ გარემოს და სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს, პროექტის მართვის, ოპერაციების დიზაინის, დაგეგმვისა და გაუმჯობესების კონცეფციებს და ტექნიკებს, მარკეტინგის ძირითად ცნებებს და საქმიანობის განხორციელების ტექნოლოგიებს.
- განმარტავს საფინანსო ბაზრების და ინსტიტუტების თავისებურებებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს და მათი განვითარების ტენდენციებს.

- აღწერს საფინანსო ოპერაციების წარმოების ტიპებს, ბიზნესსუბიექტების ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მართვის, კაპიტალის სტრუქტურის და საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრის მეთოდებს, კორპორაციების ინტეგრაციის და დივერსიფიკაციის ფინანსური მართვის საკითხებს.

2. უნარი. სტუდენტი:

- ახდენს ბიზნესის პროცესების მოდელირებასა და ოპტიმიზაციას, ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას და მიზნობრივი ბაზრის სეგმენტაციას.
- იყენებს ფინანსური ანგარიშგების შედგენის და ინტერპრეტაციის მეთოდებს, საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის მართვის მექანიზმებს.
- არჩევს თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებს, მონაცემთა ბაზებს, ტექნიკური და ფუნდამენტური ანალიზის მეთოდებს და ინდივიდუალურად და/ან გუნდურად მონაწილეობს საფონდო ბირჟაზე ფინანსური აქტივებით ვაჭრობის პროცესში.
- გუნდში და/ან ინდივიდუალური მუშაობისას აფასებს კაპიტალდაბანდების ეკონომიკურ ეფექტურობას, საინვესტიციო პორტფელის და საკრედიტო ინსტიტუტებთან დაკავშირებული რისკების ხარისხს.
- იყენებს რეალური ფინანსური მონაცემების მოძიების, ანალიზის და პროგნოზირების მეთოდებს, ამზადებს შესაბამის ანგარიშებს და წარადგენს სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის, ქართულ და უცხოურ ენებზე.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტი:

- ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით, კომპეტენციის ფარგლებში, ეთიკის პრინციპების დაცვით და იღებს პასუხისმგებლობას საქმიანობის შედეგებზე;
- კრიტიკულად აფასებს ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსების სფეროში საკუთარ უნარ-ჩვევებს, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას და აიდენტიფიცირებს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	3	3
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
მათემატიკა	5	1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 180 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გამჭოლი სისტემით არის წარმოდგენილი, რაც, გარდა ცალკეულ დისციპლინაში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 136 კრედიტის მოცულობით.**
- **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტის მოცულობით**
- **თავისუფალი კომპონენტები - სულ 19 კრედიტის მოცულობით.** პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია სავალდებულო (ინსტრუმენტული მოდული) და არჩევითი (კულტურულ-ისტორიული და სოციალურ დისციპლინათა მოდულები) სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა-მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სხვა პროგრამიდან ან პარტნიორი უნივერსიტეტების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია - **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით
51- 90 ქულა დიპლომი

ტურიზმი / Tourism

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში / Bachelor of Business Administration in Tourism
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	240 კრედიტი; 4 წელი / 8 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს სპეციალისტები ტურიზმის სფეროსთვის, რომლებიც გააცნობიერებენ ტურიზმის პრიორიტეტულ მნიშვნელობას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციების ფარგლებში.
- მისცეს ფართო და თანამედროვე ცოდნა ტურიზმის დარგის, მისი სახეებისა და მართვის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ღირებულებების გათვალისწინებით; გამოუმუშაოს თანამედროვე პროფესიული აზროვნების უნარი, განუვითაროს ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ჩვევები.
- შეასწავლოს სტუდენტებს ტურისტული ბიზნესის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები, გამოუმუშაოს ტურისტული, ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენების, ტურიზმის ბიზნესში მიმდინარე პროცესების კვლევის, გაანალიზების, შეფასების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ჩამოუყალიბოს კომპეტენციათა ისეთი სპექტრი, რომლითაც შეძლებენ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
- განუვითაროს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება ტურიზმის ბიზნესის ცვალებად გარემოში საქმიანობისთვის და მოამზადოს შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტი:

- აღწერს ბიზნესის მართვის თავისებურებებს, სოციო-ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს, მართვის ძირითად ფუნქციებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას მენეჯერულ საქმიანობაში.
- იცნობს გუნდში მუშაობის, ადამიანური რესურსებისა და ოპერაციათა მართვის, ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს.

- აღწერს ტურიზმის ეკონომიკურ ბუნებას, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების სახეებს, ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის ინფრასტრუქტურისა და პროდუქტის სპეციფიკურობას.
- იცნობს ტურისტული ნაკადების პოტენციალს, ტურიზმისა და მასპინძლობის სისტემაში გაყიდვების სტრატეგიებს, ტურისტული პროდუქტის თვითღირებულებისა და განთავსების საშუალებებზე მოთხოვნის გაანგარიშების მეთოდებს.

2. უნარი - სტუდენტი:

- აორგანიზებს ახალი ექსკურსიის მომზადებას, ტექნოლოგიური რუკის შედგენას და საექსკურსიო მარშრუტის დადგენის პროცესს;
- გეგმავს ტურს და ლოკალურ პროექტებს, განსაზღვრავს ბიუჯეტს, საჭირო ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს და აპლიკაციებს, ახდენს სარკინიგზო, საავტომობილო და ავიაბილეთების, აგრეთვე, მუზეუმების, სასტუმროს ნომრების და სხვა ტურისტული ობიექტების დაჯავშნას;
- ტურისტულ ბაზარზე ახორციელებს მცირე კვლევას და აანალიზებს მიმდინარე პროცესებს, მსოფლიოს ქვეყნების კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებებს, ტურიზმის ზემოქმედებას ბუნებრივ და სოცო-კულტურულ გარემოზე და შეიმუშავებს ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე ტურიზმის მდგრადი განვითარების შესახებ წინადადებებს;
- ახდენს ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა ქცევის მოდელირებას, ტურისტული პროდუქტების შეთავაზებას და საქმიან გარემოში კომუნიკაციას.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

- დამოუკიდებლად მოიპოვებს ტურიზმის სფეროში არსებულ ინფორმაციას, აანალიზებს მას და იღებს გადაწყვეტილებებს;
- აფასებს საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებს, გეგმავს პროფესიული განვითარების გზებს.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	3	3
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / გეოგრაფია / ისტორია	5	1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნითი შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად არის წარმოდგენილი, რაც, გარდა ცალკეულ დისციპლინაში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო დისციპლინები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 155 კრედიტის მოცულობით.**
- **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 55 კრედიტის მოცულობით**
- **თავისუფალი კომპონენტები - სულ 30 კრედიტის მოცულობით.** პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია სავალდებულო (ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო მოდული) და არჩევითი (კულტურულ-ისტორიული და სოციალურ დისციპლინათა მოდულები) სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა-მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დისციპლინები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია ტურიზმში**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51- 90 ქულა დიპლომი

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) / Business Administration (Management)

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში / Bachelor of Business Administration in Management
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	180 კრედიტი; 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- შეასწავლოს ბიზნესის ფუნქციები, პროცესები, გარემო და ბიზნესის ხელთ არსებული რესურსების მართვის პრინციპები, თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები;
- მისცეს თანამედროვე ცოდნა მენეჯერული ფუნქციების და ორგანიზაციული სტრუქტურების, მათი მახასიათებლების და ორგანიზაციული პროცესების შესახებ და აღჭურვოს მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო უნარებით;
- გამოუმუშაოს ადგილობრივ და საერთაშორისო საქმიან გარემოში ორიენტაციის და კომუნიკაციის, ადამიანებთან ურთიერთობების მართვის და ამ პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარები;
- მისცეს პროფესიული კატეგორიებით აზროვნების და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების და სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- განმარტავს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს, თეორიებს, ბიზნესპროცესებსა და ბიზნესის ფუნქციებს;
- აღწერს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებს, ძირითად ფუნქციებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას მენეჯერულ საქმიანობაში;
- იცნობს კომპანიის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას: უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების დელეგირების გადანაწილების პრინციპებს.

2. უნარი. სტუდენტი:

- შეიმუშავებს ბიზნეს-პროექტებს, გუნდურად და/ან ინდივიდუალურად, კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, განსაზღვრავს პროექტის ძირითად პრიორიტეტებს, ბიუჯეტსა და რისკებს;
- აანალიზებს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის თანამედროვე ადგილობრივ და უცხოურ ტენდენციებს, არსებულ პრობლემებს და არჩევს მათი გადაჭრის ოპტიმალურ გზებს;
- შეიმუშავებს საწარმოო, ლოჯისტიკური და მარკეტინგული პროცესების მართვის ეფექტიან სტრატეგიებს და მონაწილეობს მათ განხორციელებაში;
- თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით აანალიზებს ოპერაციების მართვის პროცესებს, ახდენს არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და ამზადებს არგუმენტირებულ წინადადებებს ქართულ და უცხოურ ენებზე ოპერაციების დიზაინის გაუმჯობესების შესახებ;
- მართვის პროცესში ახდენს ეფექტიან კომუნიკაციას ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც ორგანიზაციის თანამშრომლებთან, ასევე ორგანიზაციის კლიენტებთან მიმართებით და ამ პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

- კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებას;
- მონაწილეობს ორგანიზაციული, ეთიკური სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად, გუნდური მუშაობის გზით.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	3	3
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / ისტორია	5	1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური გამოცდის მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ 180 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გამჭოლი სისტემით არის წარმოდგენილი, რაც, გარდა ცალკეულ დისციპლინაში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 131 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კომპონენტი - 30 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: ინსტრუმენტული მოდული - 13 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: კულტურულ-ისტორიული მოდული - 3 კრედიტი; სოციალურ დისციპლინათა მოდული - 3 კრედიტი.

პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია სავალდებულო (ინსტრუმენტული მოდული) და არჩევითი (კულტურულ-ისტორიულ/სოციალურ დისციპლინათა მოდულები) სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა-მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სხვა პროგრამიდან ან პარტნიორი უნივერსიტეტების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია მენეჯმენტში**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51- 90 ქულა დიპლომი

ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი) / Business Administration (Marketing)

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მარკეტინგი და რეკლამა 0414
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში / Bachelor of Business Administration in Marketing
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	180 კრედიტი; 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს სპეციალისტები ბიზნესის მართვის სფეროსათვის, რომლებსაც ექნებათ ბიზნესის ფუნქციებისა და ორგანიზაციული რესურსების მართვის უნარი;
- მისცეს სტუდენტებს როგორც ფუნდამენტური ცოდნა მარკეტინგის თეორიების, პრინციპებისა და მეთოდების შესახებ, ასევე შესძინოს მარკეტინგული კვლევის ინსტრუმენტებისა და მარკეტინგული გეგმის შემუშავების თანამედროვე პრაქტიკული უნარები;
- შეასწავლოს მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავების, მარკეტინგული სტრატეგიის და მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცედურები და მეთოდები;
- გამოუმუშავოს პროფესიული კატეგორიებით აზროვნების, ადგილობრივ და საერთაშორისო საქმიან გარემოში კომუნიკაციის და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების და სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- განმარტავს როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ასევე, მარკეტინგის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებსა და თეორიებს და ბიზნესის ფუნქციებს;
- აღწერს ორგანიზაციებში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მარკეტინგული საქმიანობის განხორციელების ტექნოლოგიებს, მარკეტინგის საინფორმაციო სისტემას და მარკეტინგული კვლევის პროცესის ეტაპებს;
- აცნობიერებს ბრენდის ფორმირებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს, მის მახასიათებლებს და ფორმირების პროცესს.

2. უნარი. სტუდენტი:

- იყენებს ორგანიზაციის ადამიანური, ფინანსური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების მართვის მეთოდებს მომხმარებლისთვის ფასეულობის შესაქმნელად და მისაწოდებლად;
- ლოგიკურად გეგმავს და ახორციელებს ადგილობრივ და საერთაშორისო მარკეტინგულ ღონისძიებებს, რისთვისაც ოპტიმალურად ანაწილებს მის ხელთ არსებულ ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, შეიმუშავებს ეფექტიან მარკეტინგულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას და ქმნის მონაცემთა ბაზას;
- მარკეტინგული კვლევის მეთოდების გამოყენებით, ავლენს მყიდველის მიერ შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მოქმედ ფაქტორებს და გეგმავს შესაბამის მარკეტინგულ ქმედებებს, მათ შორის, სარეკლამო ღონისძიებებს, რისთვისაც განსაზღვრავს ბიუჯეტს და არჩევს შესაბამის საკომუნიკაციო არხებს;
- ანალიზებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ეტაპს და ცალკეული ეტაპის მახასიათებლებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე მონაწილეობს შესაბამისი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებაში;
- გუნდში და/ან ინდივიდუალურად ამზადებს და ქართულ და უცხოურ ენებზე წარადგენს ანგარიშებს, პროექტებს, ბრენდის სტრატეგიას და სხვა აკადემიურ ან სამსახურებრივ დოკუმენტებს, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტი:

- კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას და უნარ-ჩვევებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებას;
- პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს გუნდურობის, ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	3	3
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / ისტორია	5	1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური გამოცდის მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ 180 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გამჭოლი სისტემით არის წარმოდგენილი, რაც, გარდა ცალკეულ დისციპლინაში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 138 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კომპონენტი - 23 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: ინსტრუმენტული მოდული - 13 კრედიტი.
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: კულტურულ-ისტორიული მოდული - 3 კრედიტი, სოციალურ დისციპლინათა მოდული - 3 კრედიტი.

პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია სავალდებულო (ინსტრუმენტული მოდული) და არჩევითი (კულტურულ-ისტორიული და სოციალურ დისციპლინათა მოდულები) სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა-მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სხვა პროგრამიდან ან პარტნიორი უნივერსიტეტების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია - **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით
51- 90 ქულა დიპლომი

**ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში /
Artificial intelligence and programming in business**

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business administration
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	192 კრედიტი; 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- გააცნოს ბიზნესის გარემო და ფუნქციები, როგორცაა ოპერაციები, ფინანსები, მარკეტინგი და ადამიანური რესურსები და შეასწავლოს მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპები, სტრატეგიები და ტექნოლოგიები ბიზნეს რესურსების ოპტიმიზაციისთვის.
- შესძინოს სიღრმისეული ცოდნა მენეჯერული როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, მათ შორის დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კონტროლი სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურებისა და პროექტების კონტექსტში და განუვითაროს გადაწყვეტილების მიღების უნარები სიტუაციების და ალტერნატივების შეფასების და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისთვის.
- აღჭურვოს ტექნოლოგიური ცოდნითა და უნარებით, რათა გამოიყენონ თეორიები და ინსტრუმენტები ადამიანური რესურსების პროცესების, მარკეტინგული სტრატეგიებისა და ლოჯისტიკური ოპერაციების ეფექტურად მართვისთვის, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის მეშვეობით.
- გამოუმუშაოს კრიტიკული, სტრატეგიული და პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარი, ძირითადი ეთიკური ღირებულებებისა და სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- აცნობიერებს ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს, თეორიებს, პროცესებს და ფუნქციებს, რომლებიც ქმნიან ბიზნესის ადმინისტრირების საფუძველს, აკავშირებს ამ ელემენტებს რეალურ სამყაროში არსებულ სცენარებთან.
- განმარტავს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებს, მათ შორის ძირითად ფუნქციებს, როგორცაა დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კონტროლი და განიხილავს თუ როგორ არის ეს ფუნქციები ურთიერთკავშირში მენეჯერულ საქმიანობაში.
- აღწერს ბიზნეს პროცესების ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის თანამედროვე ადგილობრივ და გლობალურ ტენდენციებს.

2. უნარი. სტუდენტი:

- შეიმუშავებს ბიზნეს პროექტებს ინდივიდუალურად ან გუნდურად და პროცესში ახდენს პრიორიტეტების განსაზღვრას, ბიუჯეტის მომზადებას, რისკების შეფასებასა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას.
- ხელოვნური ინტელექტის და პროგრამირების ტექნიკის გამოყენებით აანალიზებს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის პროცესებს, ავლენს არსებულ პრობლემებს და სთავაზობს რეკომენდაციებს მათი ეფექტური გადაწყვეტის მიზნით.
- აკავშირებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიას ლოგისტიკურ და მარკეტინგულ პროცესებთან და შეიმუშავებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ კონკურენტულ სტრატეგიებს.
- იყენებს სტატისტიკურ ინსტრუმენტებს და პროგრამირების ტექნიკას ბიზნეს მონაცემების ვიზუალიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის.
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახდენს კომუნიკაციას გუნდში, კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მკაფიოდ და ეფექტურად, ქართულ და უცხოურ ენებზე.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტი:

- იაზრებს საკუთარი ცოდნის დონეს, ავლენს გაუმჯობესების საჭიროებებს და ერთვება შემდგომი სწავლის პროცესში, საკუთარი პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის.
- გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის გზით, წვლილი შეაქვს ორგანიზაციის შიგნით ეთიკური და სოციალური ნორმების ჩამოყალიბებაში, ამ ღირებულებების პრაქტიკაში დამკვიდრებისა და დაცვის მიზნით.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	3	3
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	2
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / ისტორია	5	1

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური გამოცდის მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ 192 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 141 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 13 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 23 კრედიტი;

- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები – 15.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51- 90 ქულა დიპლომი

ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში /
Artificial intelligence and programming in business

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business administration
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	192 კრედიტი; 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- გააცნოს ბიზნესის გარემო და ფუნქციები, როგორიცაა ოპერაციები, ფინანსები, მარკეტინგი და ადამიანური რესურსები და შეასწავლოს მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპები, სტრატეგიები და ტექნოლოგიები ბიზნეს რესურსების ოპტიმიზაციისთვის.
- შესძინოს სიღრმისეული ცოდნა მენეჯერული როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, მათ შორის დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კონტროლი სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურებისა და პროექტების კონტექსტში და განუვითაროს გადაწყვეტილების მიღების უნარები სიტუაციების და ალტერნატივების შეფასების და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისთვის.
- აღჭურვოს ტექნოლოგიური ცოდნითა და უნარებით, რათა გამოიყენონ თეორიები და ინსტრუმენტები ადამიანური რესურსების პროცესების, მარკეტინგული სტრატეგიებისა და ლოჯისტიკური ოპერაციების ეფექტურად მართვისთვის, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის მეშვეობით.
- გამოუმუშაოს კრიტიკული, სტრატეგიული და პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარი, ძირითადი ეთიკური ღირებულებებისა და სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- აცნობიერებს ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს, თეორიებს, პროცესებს და ფუნქციებს, რომლებიც ქმნიან ბიზნესის ადმინისტრირების საფუძველს, აკავშირებს ამ ელემენტებს რეალურ სამყაროში არსებულ სცენარებთან.
- განმარტავს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებს, მათ შორის ძირითად ფუნქციებს, როგორიცაა დაგეგმვა, ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კონტროლი და განიხილავს თუ როგორ არის ეს ფუნქციები ურთიერთკავშირში მენეჯერულ საქმიანობაში.
- აღწერს ბიზნეს პროცესების ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის თანამედროვე ადგილობრივ და გლობალურ ტენდენციებს.

2. უნარი. სტუდენტი:

- შეიმუშავებს ბიზნეს პროექტებს ინდივიდუალურად ან გუნდურად და პროცესში ახდენს პრიორიტეტების განსაზღვრას, ბიუჯეტის მომზადებას, რისკების შეფასებასა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას.
- ხელოვნური ინტელექტის და პროგრამირების ტექნიკის გამოყენებით აანალიზებს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის პროცესებს, ავლენს არსებულ პრობლემებს და სთავაზობს რეკომენდაციებს მათი ეფექტური გადაწყვეტის მიზნით.
- აკავშირებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიას ლოგისტიკურ და მარკეტინგულ პროცესებთან და შეიმუშავებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ კონკურენტულ სტრატეგიებს.
- იყენებს სტატისტიკურ ინსტრუმენტებს და პროგრამირების ტექნიკას ბიზნეს მონაცემების ვიზუალიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის.
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახდენს კომუნიკაციას გუნდში, კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მკაფიოდ და ეფექტურად, ქართულ და უცხოურ ენებზე.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტი:

- იაზრებს საკუთარი ცოდნის დონეს, ავლენს გაუმჯობესების საჭიროებებს და ერთვება შემდგომი სწავლის პროცესში, საკუთარი პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის.
- გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის გზით, წვლილი შეაქვს ორგანიზაციის შიგნით ეთიკური და სოციალური ნორმების ჩამოყალიბებაში, ამ ღირებულებების პრაქტიკაში დამკვიდრებისა და დაცვის მიზნით.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	3	3
უცხოური ენა (ინგლისური)	4	2

ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:

მათემატიკა / ისტორია	5	1
----------------------	---	---

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიურ წელზე, წელიწადში - 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური გამოცდის მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ 192 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 141 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 13 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 23 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 15.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51- 90 ქულა დიპლომი

საჯარო მმართველობა და პოლიტიკა / Public Administration and Politics

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი / Bachelor of Public Administration (BPA)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	240 კრედიტი; 4 წელი / 8 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან. საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა თავისი მისიის მთავარ მიმართულებად, სწორედ, უნივერსიტეტის მისიის განხორციელებაში **უნიკალური წვლილის შეტანას** მიიჩნევს, რაც გულისხმობს - სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული საქმიანობით, **მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სახელმწიფო მოსამსახურეების მომზადებას**, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უახლეს თეორიულ და პრაქტიკულ კომპეტენციებზე დაყრდნობით აიღებენ თავის წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის მმართველობითი სისტემის სრულყოფასა და განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი საჯარო მმართველობის სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ ეროვნული მმართველობითი სისტემის თავისებურებები, ინსტიტუტები, მექანიზმები, შეძლებენ საჯარო მმართველობის დარგობრივი პრობლემების გააზრებას, ანალიზს, დასკვნების გაკეთებას და შესაბამისი დოკუმენტების/კვლევითი პროექტების შემუშავებას წინასწარი მითითებების საფუძველზე.
- შესძინოს სტუდენტებს ცოდნა სახელმწიფოს მართვისა და საჯარო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების, თანამედროვე მეთოდების, სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების გააზრებას, ჩამოუყალიბებს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარს, შესაბამისად, მოამზადებს, მაღალკვალიფიკაციურ სპეციალისტებს შრომის ბაზრისთვის.
- შექმნას ეფექტიანი შემეცნებითი ინფორმაციული და მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიაზრონ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის კონიუნქტურა - შეისწავლიან ევროპული ან გლობალური მმართველობის ძირითადი მიმართულებები, დაეუფლონ პროფესიულ ინგლისურს, მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში.

- გაუფართოოს სტუდენტებს ზოგადინტელექტუალური რესურსი უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის მისიით/სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად - შექმნას სასწავლო-მეთოდოლოგიური პლასტი, რომლის საფუძველზეც სტუდენტები შეძლებენ ეროვნული და მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული გამოცდილების, ეთიკური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი პრინციპების გააზრებას თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციები, რომლითაც შეძლებენ ცოდნის სისტემატურ განახლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას - განუვითაროს საჭირო ინფორმაციის მოძიების, კრიტიკულად გააზრებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი, გაუფართოოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტი:

- აღწერს საჯარო მმართველობის დარგობრივ სისტემებსა და სფეროებს, მათ მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს, ცნებებსა და ინსტიტუტების კომპეტენციებს, კონსტიტუციურ, საერთაშორისო ღირებულებებსა და პრინციპებს; სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის საფუძვლებს/პრინციპებს - ეროვნული მოდელის სპეციფიკას; ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ფორმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას; ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ ნორმებს (შინაარსი, სტრუქტურა და მათი მოქმედების მექანიზმები);
- აღწერს სახელმწიფოს პოლიტიკურ მოდელს და სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მექანიზმებს, განმარტავს საჯარო პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რეფორმირების სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიურ პრინციპებს;
- განმარტავს საჯარო მართვის ინსტიტუციურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძვლებს, ადმინისტრირების ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს, საჯარო ორგანიზაციების ფინანსური სისტემის, ანგარიშგების, კონტროლის და მართვის თავისებურებებს.
- განსაზღვრავს მმართველობითი კრიზისის წარმოშობის საფუძვლებსა და მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

2. უნარი - სტუდენტი:

- ახდენს რთული ან გაუთვალისწინებელი საჯარო მმართველობითი პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას და ანალიზს, მათი გადაწყვეტისთვის არჩევს/იყენებს შესაბამის მეთოდებს და, სპეციალისტთა წრეში მსჯელობს საკუთარი მოსაზრებების შესახებ, ხოლო არასპეციალისტებისთვის - გასაგები ენით ეწევა კონსულტაციას/განმარტავს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, სინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- მუშაობს სამართლებრივ, ანალიტიკურ, პოლიტიკის დოკუმენტებზე, ფინანსურ და სტატისტიკურ მონაცემებზე - შესაბამისი ფორმალური და ენობრივ-ტერმინოლოგიური სტანდარტის დაცვით, ახდენს მათ სტრუქტურირებას პოლიტიკის დოკუმენტით, ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების პროექტის ფორმატით.
- საჯარო მმართველობისთვის აუცილებელი ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო წყაროების, პოლიტიკური მოვლენების, ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების, საკანონმდებლო ცვლილებების, სამეცნიერო სიახლეებისა და სხვა საჭირო ინფორმაციას ეძებს სხვადასხვა მონაცემთა ბაზის, ელექტრონული საბიბლიოთეკო და ძირითადი საინფორმაციო სისტემების გამოყენებით - აანალიზებს მათ, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და ახდენს სტრუქტურირებას კვლევითი ან პრაქტიკული პროექტის/ნაშრომის ფორმატით, წინასწარი მითითებების შესაბამისად.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

- აღიარებს და მოქმედებს საჯარო მმართველობის ეთიკური სტანდარტების დაცვით. პატივს სცემს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობითი უფლებამოსილებების რეალიზაციის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოპერირებს სახელმწიფო ინტერესებით, კარგი მმართველობის, სამართლის უზენაესობისა და ზოგადად, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ღირებულებებით.
- აცნობიერებს რა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობას, დამოუკიდებლად, ამავედროულად, გუნდური მუშაობის ფარგლებში, წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, შეუძლია დარგობრივი სიახლეების მოძიება ქართულ და უცხოურ ენებზე, საჭირო ინფორმაციის გამორჩევა, დამუშავება, ანალიზი და გამოყენება.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	4	2
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	3

ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:

მათემატიკა / გეოგრაფია / ისტორია / სამოქალაქო განათლება	4	1
---	---	---

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისი პროცედურებია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა, წელიწადში, 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის წარმოდგენილია, როგორც ერთიანი გამჭოლი სისტემა, რაც, გარდა ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად:

1. ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. ამავე დროს, პროგრამა გულისხმობს კონცენტრაციის მოდულების - ეროვნული, ევროპული და გლობალური მმართველობის გავლას სტუდენტის არჩევით;
2. თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდული - **147 კრედიტი**;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდული - სავალდებულოა არანაკლებ **28 კრედიტის მოგროვება**;
- კონცენტრაციის მოდული - **30 კრედიტი** (სტუდენტს შეუძლია გაიაროს კონცენტრაციის მოდულის ყველა სასწავლო კურსი ან აირჩიოს, არანაკლებ, 3 სასწავლო კურსი, დანარჩენი ორი - შეუძლია შეარჩიოს სხვა კონცენტრაციის მოდულებიდან ან/და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან):
 - ეროვნული მმართველობა
 - ევროპული მმართველობა
 - გლობალური მმართველობა

თავისუფალი კომპონენტები - სულ **35 კრედიტის** მოცულობით. პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა - მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სოციალური აქტივობა - არის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა. მისი მიზანია სტუდენტს, როგორც მომავალ მოხელეს, ჩამოუყალიბოს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, გაუღვივოს საზოგადოების წევრთა მიმართ თანაგრძნობა და მხარდაჭერის მოტივაცია, განუვითაროს საზოგადოების მრავალფეროვნებისადმი ლოიალური დამოკიდებულება, მაღალი სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობა. ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტი ვალდებულია განახორციელოს ისეთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაცნობას, მოწყვლადი სოციალური ფენის პრობლემების გაცნობიერებას/გათავისებებას, მონაწილეობის მიღებას მათ მოგვარებაში. მიღებული გამოცდილება მომავალ საჯარო მოხელეს დაეხმარება მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების პრინციპებზე.

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის სოციალურ აქტივობად ჩაითვლება სხვადასხვა ჯგუფების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მოვლას, საცხოვრისის დალაგებას, საჭირო ნივთებისა და ფულადი სახსრების შეგროვების ორგანიზებას და სხვ. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს:

- ა) სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები ან ინდივიდები;
- ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები;
- გ) უკუურნებელი ავადმყოფობით დაავადებული პირები და მათი ოჯახები;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები;
- ე) ფსიქიკური პრობლემის მქონე პირები;
- ზ) სოციალურად დაუცველი პირები/ოჯახები;
- თ) ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები;
- ი) ძალადობის მსხვერპლი ბავშვები (რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით);
- კ) ხანდაზმულები;
- ლ) მრავალშვილიანი ოჯახები;
- მ) მარტოხელა მშობლები/პირები;
- ნ) იძულებით გადაადგილებული პირები.

სოციალური აქტივობის განხორციელება შესაძლებელია, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო ციკლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, სტუდენტის შეხედულებისამებრ, ჯამურად, არანაკლებ, 15 დღის მანძილზე (შესაძლებელია გამოყოფილი დღეების ფარგლებში).

ჩატარებული საქმიანობის შესახებ სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ვალდებულია გააკეთოს პრეზენტაცია ვიზუალური მასალის თანხლებით (შესაძლებელია გამოხმაურების დემონსტრირებით), აკადემიური ჯგუფის წინაშე, დეკანის/აკადემიური პერსონალის/გარეშე პირების თანდასწრებით.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაცია**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91-100 ქულა	დიპლომი წარჩინებით
51 - 90 ქულა	დიპლომი

საჯარო მმართველობა და პოლიტიკა / Public Administration and Politics

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი / Bachelor of Public Administration (BPA)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	180 კრედიტი; 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან. საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა თავისი მისიის მთავარ მიმართულებად, სწორედ, უნივერსიტეტის მისიის განხორციელებაში უნიკალური წვლილის შეტანას მიიჩნევს, რაც გულისხმობს - სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული საქმიანობით, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სახელმწიფო მოსამსახურეების მომზადებას, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უახლეს თეორიულ და პრაქტიკულ კომპეტენციებზე დაყრდნობით აიღებენ თავის წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის მმართველობითი სისტემის სრულყოფასა და განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი საჯარო მმართველობის სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ ეროვნული მმართველობითი სისტემის თავისებურებები, ინსტიტუტები, მექანიზმები, შეძლებენ საჯარო მმართველობის დარგობრივი პრობლემების გააზრებას, ანალიზს, დასკვნების გაკეთებას და შესაბამისი დოკუმენტების/კვლევითი პროექტების შემუშავებას წინასწარი მითითებების საფუძველზე.
- შესძინოს სტუდენტებს ცოდნა სახელმწიფოს მართვისა და საჯარო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების, თანამედროვე მეთოდების, სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების გააზრებას, ჩამოუყალიბებს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარს, შესაბამისად, მოამზადებს, მაღალკვალიფიკაციურ სპეციალისტებს შრომის ბაზრისთვის.
- შექმნას ეფექტიანი შემეცნებითი ინფორმაციული და მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიაზრონ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის კონიუნქტურა - შეისწავლიან ევროპული ან გლობალური მმართველობის ძირითადი მიმართულებები, დაეუფლონ პროფესიულ ინგლისურს, მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში.
- გაუფართოოს სტუდენტებს ზოგადინტელექტუალური რესურსი უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის მისიით/სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად -

შექმნას სასწავლო-მეთოდოლოგიური პლასტი, რომლის საფუძველზეც სტუდენტები შეძლებენ ეროვნული და მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული გამოცდილების, ეთიკური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი პრინციპების გააზრებას თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში.

- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციები, რომლითაც შეძლებენ ცოდნის სისტემატურ განახლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას - განუვითაროს საჭირო ინფორმაციის მოძიების, კრიტიკულად გააზრებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი, გაუფართოოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტი:

- აღწერს საჯარო მმართველობის დარგობრივ სისტემებსა და სფეროებს, მათ მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს, ცნებებსა და ინსტიტუტების კომპეტენციებს, კონსტიტუციურ, საერთაშორისო ღირებულებებსა და პრინციპებს; სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის საფუძვლებს/პრინციპებს - ეროვნული მოდელის სპეციფიკას; ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ფორმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას; ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ ნორმებს (შინაარსი, სტრუქტურა და მათი მოქმედების მექანიზმები);
- აღწერს სახელმწიფოს პოლიტიკურ მოდელებს და სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მექანიზმებს, განმარტავს საჯარო პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რეფორმირების სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიურ პრინციპებს;
- განმარტავს საჯარო მართვის ინსტიტუციურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძვლებს, ადმინისტრირების ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს, საჯარო ორგანიზაციების ფინანსური სისტემის, ანგარიშგების, კონტროლის და მართვის თავისებურებებს.
- განსაზღვრავს მმართველობითი კრიზისის წარმოშობის საფუძვლებსა და მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

2. უნარი - სტუდენტი:

- ახდენს რთული ან გაუთვალისწინებელი საჯარო მმართველობითი პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას და ანალიზს, მათი გადაწყვეტისთვის არჩევს/იყენებს შესაბამის მეთოდებს და, სპეციალისტთა წრეში მსჯელობს საკუთარი მოსაზრებების შესახებ, ხოლო არასპეციალისტებისთვის - გასაგები ენით ეწევა კონსულტაციას/განმარტავს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, სინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- მუშაობს სამართლებრივ, ანალიტიკურ, პოლიტიკის დოკუმენტებზე, ფინანსურ და სტატისტიკურ მონაცემებზე - შესაბამისი ფორმალური და ენობრივ-ტერმინოლოგიური სტანდარტის დაცვით, ახდენს მათ სტრუქტურირებას პოლიტიკის დოკუმენტით, ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების პროექტის ფორმატით.
- საჯარო მმართველობისთვის აუცილებელი ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო წყაროების, პოლიტიკური მოვლენების, ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების, საკანონმდებლო ცვლილებების, სამეცნიერო სიახლეებისა და სხვა საჭირო ინფორმაციას ეძებს სხვადასხვა მონაცემთა ბაზის, ელექტრონული საბიბლიოთეკო და ძირითადი საინფორმაციო სისტემების გამოყენებით - აანალიზებს მათ, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და ახდენს სტრუქტურირებას კვლევითი ან პრაქტიკული პროექტის/ნაშრომის ფორმატით, წინასწარი მითითებების შესაბამისად.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სტუდენტი:

- აღიარებს და მოქმედებს საჯარო მმართველობის ეთიკური სტანდარტების დაცვით. პატივს სცემს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობითი უფლებამოსილებების

რელიზაციის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოპერირებს სახელმწიფო ინტერესებით, კარგი მმართველობის, სამართლის უზენაესობისა და ზოგადად, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ღირებულებებით.

- აცნობიერებს რა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობას, დამოუკიდებლად, ამავედროულად, გუნდური მუშაობის ფარგლებში, წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, შეუძლია დარგობრივი სიახლეების მოძიება ქართულ და უცხოურ ენებზე, საჭირო ინფორმაციის გამორჩევა, დამუშავება, ანალიზი და გამოყენება.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	4	2
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	4	3

ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:

მათემატიკა / გეოგრაფია / ისტორია / სამოქალაქო განათლება	4	1
---	---	---

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისი პროცედურებია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 180 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა, წელიწადში, 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის წარმოდგენილია, როგორც ერთიანი გამჭოლი სისტემა, რაც, გარდა ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტისა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად:

- ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.
- თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდული - **120 კრედიტი;**
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდული - სავალდებულოა არანაკლებ **30 კრედიტის მოგროვება;**

- **თავისუფალი კომპონენტები** - სულ **30 კრედიტის** მოცულობით. პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა - მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სოციალური აქტივობა - არის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა. მისი მიზანია სტუდენტს, როგორც მომავალ მოხელეს, ჩამოუყალიბოს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, გაუღვივოს საზოგადოების წევრთა მიმართ თანაგრძნობა და მხარდაჭერის მოტივაცია, განუვითაროს საზოგადოების მრავალფეროვნებისადმი ლოიალური დამოკიდებულება, მაღალი სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობა. ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტი ვალდებულია განახორციელოს ისეთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაცნობას, მოწყვლადი სოციალური ფენის პრობლემების გაცნობიერებას/გათავისებას, მონაწილეობის მიღებას მათ მოგვარებაში. მიღებული გამოცდილება მომავალ საჯარო მოხელეს დაეხმარება მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების პრინციპებზე.

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის სოციალურ აქტივობად ჩაითვლება სხვადასხვა ჯგუფების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მოვლას, საცხოვრისის დალაგებას, საჭირო ნივთებისა და ფულადი სახსრების შეგროვების ორგანიზებას და სხვ. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს:

- ა) სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები ან ინდივიდები;
- ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები;
- გ) უკუჩვენებელი ავადმყოფობით დაავადებული პირები და მათი ოჯახები;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები;
- ე) ფსიქიკური პრობლემის მქონე პირები;
- ზ) სოციალურად დაუცველი პირები/ოჯახები;
- თ) ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები;
- ი) ძალადობის მსხვერპლი ბავშვები (რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით);
- კ) ხანდაზმულები;
- ლ) მრავალშვილიანი ოჯახები;
- მ) მარტოხელა მშობლები/პირები;
- ნ) იძულებით გადაადგილებული პირები.

სოციალური აქტივობის განხორციელება შესაძლებელია, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო ციკლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, სტუდენტის შეხედულებისამებრ, ჯამურად, არანაკლებ, 15 დღის მანძილზე (შესაძლებელია გამოყოფილი დღეების ფარგლებში). ჩატარებული საქმიანობის შესახებ სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ვალდებულია გააკეთოს პრეზენტაცია ვიზუალური მასალის თანხლებით (შესაძლებელია გამოხმაურების დემონსტრირებით), აკადემიური ჯგუფის წინაშე, დეკანის/აკადემიური პერსონალის/გარეშე პირების თანდასწრებით.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაცია**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით
51 - 90 ქულა დიპლომი

საექთნო საქმე / Nursing

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ბაკალავრიატი / მეექვსე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	საექთნო და სამედიცინო საქმე 0913
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საექთნო საქმის ბაკალავრი / Bachelor of Nursing
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	240 კრედიტი; 4 წელი / 8 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	მედიცინის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან, იმ სოციალურ ცვლილებებთან, რომელიც მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ამოქმედებით არის გამოწვეული. ეს პროცესი, როგორც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯიმ იონგ კიმი აღნიშნავს (ვაშინგტონი, 2014. გაეროს წევრი ქვეყნებისა და საერთაშორისო სააგენტოების შეხვედრა), გლობალური ჯანდაცვის პრიორიტეტია და მსოფლიოს სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მის განხორციელებას.

ყურადსაღებია, რომ მსოფლიოში, საშუალო სამედიცინო პერსონალის დეფიციტის თითქმის 90 პროცენტი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე მოდის, რაც არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მედიცინის სკოლის სტრატეგია, რომელიც უნივერსიტეტის მისიას ეფუძნება და ექიმების მომზადებასთან ერთად, ექთნების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებასაც გულისხმობს. აღნიშნული პროგრამა, თავისი არსით, თანამედროვე გამოწვევებს პასუხობს, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და თუნინგის მოთხოვნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ პრაქტიკოს ექთნებს, რითაც თავის წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების მიმართულებით.

აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- შეუქმნას სტუდენტებს თეორიული საფუძვლები საბუნებისმეტყველო, კლინიკური და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, განუვითაროს ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის ფსიქო-ფიზიოლოგიური ასპექტების გაცნობიერების უნარი, შესძინოს ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების შესახებ, უზრუნველყოს სტუდენტთა მიერ საექთნო საქმის ფუძემდებლური ეთიკურ-სამართლებრივი ღირებულებების გააზრება და, ზოგადად, პროფესიული ცნობიერების ფორმირება სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.
- ჩამოაყალიბოს სტუდენტებს ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე ექთნის ფუნქციით გათვალისწინებული უნარ-ჩვევები, რითაც, გაიდლაინებისა და სამსახურებრივი ფუნქციის ფარგლებში, შეძლებენ საექთნო

პროცედურების/მანიპულაციების განხორციელებას უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით რაც აუცილებელია ავადმყოფის უსაფრთხო და ეფექტიანი მოვლისთვის.

- გამოუმუშაოს სტუდენტებს პროფესიული კატეგორიებით ოპერირების უნარი, რაც უზრუნველყოფს, არამარტო ხარისხიანი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას სტაციონარებში, ამბულატორიებში, პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში, დიაგნოსტიკურ და სასწრაფო გადაუდებელ ცენტრებსა თუ სოციალურ ინსტიტუტებში, არამედ კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული ეფექტიანი კვლევის განხორციელებას, სხვადასხვა სირთულის თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის ინფორმაციის სინთეზისა და დასკვნების გაკეთების უნარის განვითარებას.
- განახორციელოს საგანმანათლებლო სტრატეგია, არა მხოლოდ ადგილობრივი შრომის ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებით, რაც, უპირველესად, გულისხმობს ავადმყოფისადმი თანაგრძნობას, მის უსაფრთხო და ეფექტიან მოვლას. ამისთვის უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია - გამოიყენოს სწავლება-სწავლისა და შეფასების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდები, უზრუნველყოს სტუდენტთა მობილობა უცხოეთის საგანმანათლებლო ცენტრებში.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, რომლის საფუძველზეც შეძლებენ პროგრამის ფარგლებში ფორმირებული სასწავლო-საინფორმაციო რესურსის მთელი სიცოცხლის მანძილზე განახლებას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებული:

- აღწერს ადამიანის ანატომიურ და ფიზიოლოგიურ სტრუქტურას/სისტემებს, ხსნის ორგანიზმში მიმდინარე ნორმალურ და პათოლოგიურ პროცესებს შესაბამისი ტერმინების გამოყენებით; წარმოადგენს სამკურნალო საშუალებების კლასიფიკაციას, მათი გამოყენების პრინციპებს; განმარტავს ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს.
- ადარებს და აღწერს განსხვავებას საექთნო, სამედიცინო დიაგნოზებსა და კოლობარაციულ პრობლემას შორის, აღწერს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის არსებით ფუნქციებს, ხსნის ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვის ძირითად მიზნებს, განმარტავს ინფექციური დაავადებების სპეციფიკის გათვალისწინებით პაციენტების განთავსებისა და საიზოლაციო შემზღუდავი ღონისძიებების განხორციელების ძირითად პრინციპებს, არსებულ რეგულაციებს; განსაზღვრავს საექთნო საქმის როლს ჯანდაცვის სისტემაში, ხსნის საექთნო სერვისების არსს და სპეციფიკას - მართვის ძირითად პრინციპებს, განმარტავს საექთნო საქმიანობის ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს.

2. უნარი - კურსდამთავრებული:

- მართავს საექთნო პროცესს - პაციენტის იდენტიფიცირება, საექთნო შეფასება, პირველადი გადაუდებელი დახმარება; საექთნო მოვლის დაგეგმვა და განხორციელება დაავადებათა სპეციფიკის გათვალისწინებით (მათ შორის პალიატიურ პაციენტთან მიმართებით), ვიტალური ფუნქციების მონიტორინგი, მედიკამენტების უსაფრთხოდ გამოყენება; ადეკვატური საექთნო ჩარევა, პაციენტის მდგომარეობის შეფასება, სავარაუდო გართულებისა და რისკ-ფაქტორების განსაზღვრა, საექთნო პროცედურისა და მანიპულაციების უსაფრთხოდ განხორციელება;
- იცავს კონფიდენციალურობის პრინციპს; კოლეგებთან ამყარებს საქმიან ურთიერთობას სუბორდინაციის პრინციპების გათვალისწინებით, სწორად აღიქვამს და გადაცემს ინფორმაციას, როგორც ვერბალურად, ისე წერიტით ფორმითა თუ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აწარმოებს საექთნო ჩანაწერებს/დოკუმენტებს; ავლენს ავადმყოფის მიმართ თანაგრძნობას, საუბრობს პაციენტთან და მის ახლო ნათესავებთან საჭირო რეკომენდაციების მიცემით, მათი ფსიქიკური, კოგნიტიური, ეთნო-კულტურული, სოციალური, რელიგიური და ეთიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

- ახდენს კვლევის შედეგების ანალიზს და სინთეზს, მსჯელობს, აკეთებს დასკვნებს; სვამს საექთნო დიაგნოზს პაციენტის მდგომარეობის შესაბამისად; კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ამზადებს წერილობით ინფორმაციას/ანგარიშს ჯანდაცვის სფეროს, მათ შორის, საექთნო საქმესთან დაკავშირებით და ვერბალურად წარადგენს პროფესიონალებსა და აკადემიურ ჯგუფებთან.
- იცავს ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებებს - ამზადებს პაციენტისა და საჭირო სამედიცინო რესურსებს ანტისეპტიკისა და დეკონტამინაციის მეთოდებისა და თავდაცვის სტანდარტების გამოყენებით; იცავს საიზოლაციო შემზღუდავ ღონისძიებების პრინციპებს; სამედიცინო ნარჩენებს ახარისხებს შესაბამისი წესებით.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - კურსდამთავრებული:

- მულტიდისციპლინურ სასწავლო გარემოში, ადეკვატურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებას.
- გუნდში კოორდინირებული მუშაობს ეთიკური პრინციპების დაცვით, როგორც არაპროგნოზირებად სასწავლო, ისე კლინიკურ გარემოში, პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი და გუნდის სხვა წევრების პროფესიული განვითარებისთვის.
- ახდენს ადაპტირებას არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოსთან - აფასებს პაციენტის უფლებების დაცვის მიზნებისთვის ავადმყოფის მოვლასთან დაკავშირებულ პროცესს და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს ეთიკურ-სამართლებრივი მიდგომებისა და პაციენტის ფსიქო-სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის იღებს მათი შესრულებისთვის.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია მედიცინის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	2	4
უცხოური ენა (ინგლისური)	3	2
ბიოლოგია	4	1

ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:

მათემატიკა / ფიზიკა / ქიმია	3	3
-----------------------------	---	---

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით მოპოვებული უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების შესახებ და ინგლისური ენის ცოდნა, რომლის ხარისხობრივი დონე განისაზღვრება გასაუბრების საფუძველზე (მათ შორის, შესაძლებელია დისტანციურად). გასაუბრებით უნდა დადგინდეს აპლიკანტის ენობრივი უნარი - დაძლიოს საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მასალა. ძირითადი კრიტერიუმებია: ინგლისური ენის ნორმების დაცვით შემეცნებითი ინფორმაციის გადმოცემა, კითხვებზე პასუხის გაცემა, კითხვა, წერა. გასაუბრება ჩაიწერება ვიდეო ფორმატით და სხვა დოკუმენტებთან ერთად გაიგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისი პროცედურებია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა, წელიწადში, 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად - **სავალდებულო** და **არჩევითი** სასწავლო კურსები. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 220 კრედიტის მოცულობით.
- არჩევითი სასწავლო კურსები - სულ 20 კრედიტის მოცულობით.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **საექთნო საქმის ბაკალავრის** კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91-100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა დიპლომი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები

დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა (DMD)

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დენტალური მედიცინა 0911
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული სტომატოლოგი (Doctor of Dental Medicine)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	300 კრედიტი; 5 წელი / 10 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	მედიცინის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან, იმ სოციალურ ცვლილებებთან, რომელიც მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ამოქმედებით არის გამოწვეული. მედიცინის სკოლა, თავისი მისიის მთავარ მიმართულებად, სწორედ, უნივერსიტეტის მისიის განხორციელებაში **უნიკალური წვლილის შეტანას** თვლის, რაც გულისხმობს - **მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებას თანამედროვე სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსის გამოყენებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით, რითაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისის შემდგომ გაუმჯობესებას.**

ამის გათვალისწინებით, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ზოგადად, ის მიზნად ისახავს კადრების მომზადებას კომპეტენციათა ისეთი სპექტრით, რომელიც შეესაბამება თანამედროვე გამოწვევებსა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, თუნინგის მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ ექიმ სტომატოლოგებს თანამედროვე შრომის ბაზრისთვის და თავის წვლილს შეიტანს მოსახლეობის ეფექტიანი სტომატოლოგიური მომსახურების სისტემის სრულყოფის საქმეში.

აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ახალი თაობის კონკურენტუნარიანი ექიმი სტომატოლოგები, რომლებსაც ექნებათ სისტემური ცოდნა თანამედროვე ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში, აღჭურვილნი იქნებიან კლინიკური უნარ-ჩვევების ფართო სპექტრით, შეძლებენ უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მკურნალობის მეთოდების გამოყენებას პრაქტიკაში (უმცროსი ექიმის პოზიციაზე), უფლებამოსილი პირის მითითებით/პასუხისმგებლობით, ან/და დაიწყებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ თუ სხვა საქმიანობას მინიჭებული კვალიფიკაციისა და კანონით დადგენილი მოთხოვნის ფარგლებში.
- ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების სწავლებასთან ერთად, მისცეს სტუდენტებს ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის, სოციალური და ქცევითი მეცნიერების პრინციპებისა და

მეთოდების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ ფუძემდებლური ეთიკურ-სამართლებრივი ღირებულებების გააზრებას და, ზოგადად, პროფესიული ცნობიერების ფორმირებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

- გამოუმუშაოს სტუდენტებს პროფესიული კატეგორიებით ოპერირებისა და ღრმა კლინიკური აზროვნების უნარი, რაც უზრუნველყოფს, არამარტო ხარისხიანი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას, არამედ, განაპირობებს, კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებით, სხვადასხვა სირთულის თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის ინფორმაციის რეზიუმირებისა და, ზოგადად, მეცნიერული კვლევის შესაძლებლობათა განვითარებას.
- განახორციელოს საგანმანათლებლო სტრატეგია არა მხოლოდ ადგილობრივი შრომის ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებით - მოამზადოს სტუდენტები საერთაშორისო აკადემიური და სოციალური/პროფესიული მობილობისათვის, რისთვისაც გამოიყენოს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდოლოგიური სისტემა, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ისეთი სისტემა, რომლის საფუძველზეც შეძლებენ პროგრამის ფარგლებში ფორმირებული სასწავლო-საინფორმაციო რესურსის მუდმივ განახლებას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, და როგორც მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, სადოქტორო ან/და სარეზიდენტურ პროგრამებით სწავლის გასაგრძელებად აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება.

1.1. *სტუდენტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიოსამედიცინო, პრეკლინიკურ, კლინიკურ ზოგად სამედიცინო და სტომატოლოგიურ, აგრეთვე, ქცევით და სოციალურ მეცნიერებებში; საფუძვლიანად იცის სამკურნალწამლო საშუალებები, კრიტიკულად გაიაზრებს ეთიკურ-სამართლებრივ ნორმებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკას. სტუდენტი:*

- აღწერს ან/და ხსნის ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესები ნორმისა და პათოლოგიის დროს; უჯრედის, ქსოვილების, ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების სტრუქტურისა და განვითარების მექანიზმებს.
- განმარტავს ზოგადი და სტომატოლოგიური დაავადებების (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ბავშვთა ასაკის) სახეებს, ხსნის მათ გენეზისს, განვითარებისა და გამოვლენის კლინიკურ თავისებურებებს, სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატების მოქმედების მექანიზმებს, განსაზღვრავს დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდებს.
- აღწერს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ფუნქციურ სისტემას, განაზოგადებს ექიმის საქმიანობის ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს.
- მიმოიხილავს ქცევითი და სოციალური მეცნიერებების აქტუალურ საკითხებს, დააკავშირებს ის პრაქტიკასთან.

2. უნარები - სტუდენტი:

2.1. სტომატოლოგიური პაციენტისთვის ეწევა კონსულტაციას

- ანამნეზის შეკრების უნარი, სადიაგნოსტიკო საშუალებებისა და მეთოდების ცოდნა და გამოყენება, პაციენტთან სწორი კომუნიკაცია, პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ობიექტური დათვალიერება და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევებით მიღებული შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია, მომავალში დაავადების მართვის სწორი გეზის შედგენისთვის, მსგავსი კლინიკური ნიშნებისა და ობიექტური მონაცემების მქონე პათოლოგიების დიფერენციული დიაგნოსტიკა. სტომატოლოგიური

პაციენტის მდგომარეობის კომპლექსური შეფასება და თერაპიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული, ქირურგიული მკურნალობის საჭიროების განსაზღვრა;

2.2. აფასებს პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს დაავადებების კლინიკურ შემთხვევებს, მსჯელობს დაავადებ(ების)ის მართვის შესახებ

- პაციენტის პრობლემის გაანალიზებით კლინიკური პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის დემონსტრირება. დარგობრივი პრობლემის (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული) განსაზღვრა და დაავადებათა მართვის სქემის შემუშავება. პაციენტის ასაკის გათვალისწინება - ბავშვთა, მოზარდთა, მოზრდილთა და ხანდაზმულთა პრობლემის გადაჭრისადმი დიფერენცირებული მიდგომის უნარის გამოვლენა.

2.3. ახდენს გადაუდებელ სტომატოლოგიურ დახმარებას (კომპეტენციის ფარგლებში)

- პირველადი გადაუდებელი დახმარება პულპისა და პერიოდონტის მწვავე და ქრონიკული გამწვავებული დაავადებების დროს ბავშვებსა და მოზრდილებში;
- პირველადი დახმარება სარძევე და მუდმივი კბილების ტრავმის დროს (კბილის გვირგვინის, ფესვის მოტეხილობები, სრული და ნაწილობრივი ამოვარდნილობა);
- პირველადი დახმარება ორთოპედიული კონსტრუქციების დაზიანების დროს (კერამიკული გვირგვინის, მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციის გატეხვა და სხვა);
- პირველადი სამედიცინო დახმარება პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ტრავმული დაზიანებების დროს;
- გადაუდებელი დახმარების გაწევა სტომატოლოგიურ კაბინეტში ურგენტული სიტუაციების (გულის წასვლა, კოლაფსი, ჰიპერტონიული კრიზი, მედიკამენტური ალერგია, მათ შორის ანაფილაქსიური შოკი, ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების ჭარბი დოზებით ინდუცირებული ტოქსიკური რეაქციები) შემთხვევაში;

2.4. ახდენს სტომატოლოგიური მასალების, საშუალებების და ინსტრუმენტების შერჩევას

- საანესთეზიო, პირის ღრუს საიზოლაციო, საბჟენ-სარესტავრაციო, ენდოდონტიური, პაროდონტოლოგიური, საანაბეჭდო, ორთოპედიული კონსტრუქციების დასამზადებელი, კბილთა საექსტრაქციო, ჭრილობის დასამუშავებელი, საკერავი და სხვა)

2.5. ატარებს პრაქტიკულ პროცედურებს (კომპეტენციის ფარგლებში):

- კარიესის პრევენციისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა და კბილთა ფისურების ჰერმეტიზაცია;
- კარიესის დიაგნოსტიკა და კბილთა დაბჟენა,
- კბილთა ენდოდონტიური მკურნალობის პროცესში ვიტალური ტესტების გამოყენება და აპექსლოკაცია;
- ენდოდონტიური მკურნალობის ჩატარება და კბილის ფესვის არხების დაბჟენა;
- პაროდონტის და პერი-იმპლანტის დაავადებათა და მდგომარეობათა თანამედროვე კლასიფიკაციის, დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მართვის თანამედროვე ტენდენციების ცოდნა, პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენა და პაროდონტის დაავადებათა კონსერვატული მკურნალობა;
- პირის ლორწოვანის დაავადებათა დიფერენციაცია და პირველადი დახმარების გაწევა;
- ბავშვთა ასაკში სარძევე და მუდმივი კბილების დაავადებათა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ბავშვთა და მოზარდთა სარძევე და მუდმივი კბილების მარტივი და რთული კარიესის მართვა;
- აპლიკაციური, ინფილტრაციული და რეგიონული ანესთეზიების ჩატარების ტექნიკის ფლობა;
- კბილთა ექსტრაქციების ჩვენებების განსაზღვრა და მარტივი ექსტრაქციების ჩატარება;
- პირის ღრუში ჭრილობის დამუშავება და ნაკერის დადება;
- საანაბეჭდო მასების მომზადებისა და ანაბეჭდის ალების წესები.
- უკბილო ზედა და ქვედა ყბებიდან ანატომიური და ფუნქციური ანაბეჭდების ალების ტექნოლოგია;

- ზედა და ქვედა მთლიანი მოსახსნელი პროთეზების მორგება;
- სრული ადენტიის დროს ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა;
- მოსახსნელი და მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციების სატექნიკო ლაბორატორიაში დამზადების ეტაპები;
- კბილის გვირგვინოვანი ნაწილის დეფექტებისა და კბილთა რკალში შექმნილი დეფექტების დროს დასამზადებელი ორთოპედიული კონსტრუქციების: ჩანართების, ხელოვნური გვირგვინების (ლითონის, პლასტმასის, კერამიკის), ხიდისებრი პროთეზების (მეტალოკერამიკის, პლასტმასის, ლითონის), ნაწილობრივი ფირფიტოვანი მოსახსნელი პროთეზებისა და ბიუგელისებრი კონსტრუქციების დამზადების კლინიკური ეტაპები;
- ნაწილობრივ/მთლიან მოსახსნელ ფირფიტოვან და ბიუგელისებრ პროთეზებთან ადაპტაციის ეტაპები და შეუძლია პაციენტისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;
- პაროდონტის დაავადებათა ორთოპედიული მეთოდებით მკურნალობის პრინციპები, შეუძლია პაროდონტიტის მკურნალობის მიზნით შერჩევითი მოქლიბვის ჩატარება;
- მავთულოვანი არტაშნის დამზადება;
- ძვალშიდა იმპლანტაციის შემდგომი პროთეზირებისათვის კონსტრუქციის შერჩევა და მკურნალობის გეგმის შედგენა;
- პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოში სიმსივნისმაგვარი დაავადებებისა და სიმსივნეების დიაგნოსტიკა;
- ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილთა ცალკეული კბილების, კბილთა რკალის ანომალიების და ყბების დეფორმაციების ეტიოლოგიის, პათოგენეზის დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები;
- ორთოდონტიაში გამოყენებული მასალების, ბიომექანიკის, აპარატების, მათი კლასიფიკაციის, პროფილაქტიკური, სამკურნალო და რეტენციული ტიპის აპარატების აგებულება და მოქმედების პრინციპები;
- ზედა ტუჩის, ალვეოლური მორჩის, მაგარი და რბილი სასის ცალმხრივი და ორმხრივი ნაპრალების დროს განვითარებული ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის და ყბების ტრავმული დაზიანების ეტიოლოგია, მკურნალობა და პროფილაქტიკა.

2.6. ახდენს სტომატოლოგიურ პაციენტთან კომუნიკაციას

- კომუნიკაცია პაციენტთან და მის ახლობლებთან, პაციენტისთვის უსიამოვნო ინფორმაციის მიწოდება, საჭიროებისამებრ – მისი დამშვიდება.
- რთულ სიტუაციებში გამოსავლის პოვნა და პაციენტთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანამშრომლობა.
- სათანადო კომუნიკაციური უნარების ფლობის საფუძველზე პაციენტისგან (მისი მშობლის ან მეურვე პირისგან) ინფორმირებული თანხმობის მიღება სამედიცინო პრობლემების გადაწყვეტისა და ამ საქმეში ერთობლივი კოოპერაციის შესახებ.

2.7. ახდენს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, პრობლემის გადაწყვეტას და კომუნიკაციას პროფესიულ/აკადემიურ საზოგადოებასთან

- ნებისმიერ გარემოში, რთული პრობლემების გადასაჭრელად ინოვაციური გზების ძიება, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.
- კვლევისთვის საჭირო რესურსების და უახლესი მეთოდების ეფექტურად გამოყენება. კვლევის შედეგების, რთული ან/და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება და არგუმენტირებული რეზიუმირება მაღალი სოციალურ-ეთიკური პასუხისმგებლობის გააზრებით, მისი სტრუქტურირება კვლევითი ან/და ინფორმაციული ნაშრომის ფორმატით და წარდგენა პროფესიონალების, ან/და აკადემიური საზოგადოების წინაშე კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

3.1. პროფესიული მოვალეობის ასრულებს ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით

- პაციენტის უფლებებისა და ღირსების დაცვა - მისი მონაწილეობის უზრუნველყოფა სტომატოლოგიური მკურნალობის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- პაციენტის დიაგნოზის, მკურნალობის პროცესისა თუ მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური სტატუსის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა.

3.2. ახდენს არასტანდარტულ გარემოში ადაპტირებას, სტომატოლოგიის დარგში არსებული მეთოდოლოგიური თუ ტექნოლოგიური სიახლეების შესწავლას და პრაქტიკაში გამოყენებას, დამოუკიდებლად სწავლას და საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

- სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიების პირობებში, მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ახალი მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ათვისება, პრაქტიკაში დანერგვა/გამოყენება.
- უცხო სამუშაო გუნდში მუშაობის პროცესში საკუთარი როლის გასაზღვრა, ინიციატივის დემონსტრირება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკუთარი აზრის დასაბუთება - დაცვა. მოლაპარაკებებსა და კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის მიღება.
- შემდგომი სწავლის საჭიროებისათვის საკუთარი მზაობის ობიექტურად შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა და, შესაბამისად, სწავლის ინდივიდუალური სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
- სტომატოლოგიის სფეროში მეცნიერული, ტექნოლოგიური და პრაქტიკული სიახლეების მიდევნებას და ცოდნის მუდმივად განახლებას.
- საკუთარი პროფესიული ფუნქციის შესრულება (ზრუნვა არა მარტო, ლოკალურად, ადამიანის პირის ღრუს გაჯანსაღების, არამედ, ზოგადად, მისი ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის) ეთიკური პრინციპების დაცვით და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია მედიცინის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	2	3
უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული)	2	4
ბიოლოგია	4	1

ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:

მათემატიკა / ფიზიკა / ქიმია	4	2
-----------------------------	---	---

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისი პროცედურებია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური და დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

კურსის ხანგრძლივობაა 5 აკადემიური წელი - 10 სემესტრი. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა).

ეთსაფეხურიანი 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა 300 კრედიტს მოიცავს. ევროპული კრედიტების სისტემის შესაბამისად აკადემიური წლის ყოველი 19-კვირიანი სემესტრი 30 კრედიტს მოიცავს. ერთი კრედიტი 25 სამუშაო საათს გულისხმობს. აქედან, საშუალოდ 40-50 პროცენტი საკონტაქტო საათებზე მოდის, დანარჩენი კი - სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე.

სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა, წელიწადში, 60 კრედიტია, თუმცა დაშვებულია წელიწადში, არაუმეტეს, 75 კრედიტის დაგროვება.

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა ფართოდაა ინტეგრირებული და ეფუძნება საბაზისო მეცნიერებებისა და კლინიკური კურსების ჰარმონიულ შერწყმას, რაც მიიღწევა საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური პრინციპებით ინტეგრაციის გზით. პროგრამა მოიცავს სწავლება-სწავლის 3 ეტაპს:

1. მედიცინის საფუძვლები
2. წინაკლინიკური სამედიცინო ეტაპი
3. კლინიკური სამედიცინო ეტაპი

ყოველი მომდევნო ეტაპი ეფუძნება წინას და სახავს სწავლების უფრო რთულ ამოცანებს.

ეტაპი I -მედიცინის საფუძვლები

ეტაპის ხანგრძლივობა 1 სემესტრია (32 კრედიტი). ამ ეტაპზე გადამწყვეტია ბიოსამედიცინო მეცნიერებათა უმთავრესი პრინციპების შესწავლა. მთავარი ამოცანაა საბაზისო მეცნიერებების იმ საფუძვლებისა და ტერმინების ათვისება, რომელიც პრეკლინიკური ეტაპის შესასწავლადაა აუცილებელი. სწავლების ამ ეტაპზე ვერტიკალური ინტეგრაციის კომპონენტია - ჯანმრთელობის ხელშეწყობა

საწყისი ეტაპი (32 კრედიტი) წარმოადგენს უმთავრესი ბიოსამედიცინო მეცნიერებების ერთობლიობას და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს:

- კლინიკური ანატომია-5კრედიტი
- ადამიანის ფიზიოლოგია- 5 კრედიტი
- სამედიცინო ფიზიკა და ბიფიზიკა-2 კრედიტი
- ბიოქიმიის საფუძვლები-3 კრედიტი
- უჯრედული ბიოლოგია, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკა-5 კრედიტი
- ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის საფუძვლები-3 კრედიტი
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა-2კრედიტი
- პროფესიული ლათინური ენა-2 კრედიტი
- აკადემიური წერა-2 კრედიტი
- უცხოური ენა I-3 კრედიტი

ეტაპი II- წინაკლინიკური სამედიცინო ეტაპი

პრეკლინიკური სამედიცინო ეტაპი გრძელდება 3 სემესტრის განმავლობაში (88 კრედიტი). აქ აქცენტი გაკეთებულია თავისა და კისრის მიდამოს საფუძლიან შესწავლაზე, რასაც ეძღვნება 2 ინტეგრირებული მოდული (მოდული -თავისა და კისრის მიდამო I (ანატომია, ფიზიოლოგია, ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ბიოქიმია) და მოდული - თავისა და კისრის მიდამო II (პ/დ პათოლოგია, პ/დ მიკრობიოლოგია, პ/დ ფარმაკოლოგია)) სპირალური ინტეგრაციის კომპონენტით.

აღნიშნული მოდულები მოლეკულური, უჯრედული და ორგანოთა სისტემების დონეზე მიმდინარე პროცესების დაკავშირების საშუალებას იძლევა დაავადებათა მექანიზმებთან. ინტეგრირების ეს ფორმა სამეცნიერო ინფორმაციის კლინიკურ კონტექსტში განხილვის საშუალებას იძლევა, რაც საკითხის კლინიკურ რელევანტურობაზე მიგვითითებს და სტუდენტების გაღრმავებული სწავლების ფაქტორს წარმოადგენს. ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური ინტეგრირება მიიღწევა საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების კურსების შერწყმით.

ინტეგრირებული მოდულები, ერთის მხრივ, ვერტიკალურ ინტეგრაციაშია ავადმყოფის მოვლის, კლინიკური და კომუნიკაციური უნარების, მედიცინის უმთავრესი ეთიკური ღირებულებების, პათოლოგიის,

იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის, პარაზიტოლოგიისა და მეცნიერული კვლევის პრინციპებთან, მეორეს მხრივ კი, ერთიანდება პრევენციული მედიცინის, ფარმაკოლოგიის, მტკიცებითი მედიცინის, სამედიცინო რადიოლოგიის საფუძვლების სწავლებასთან II, III და IV სემესტრების მანძილზე.

ინტეგრირებული მოდულების შესწავლის მეთოდოლოგია მოიცავს ლექციას, ჯგუფურ მუშაობას, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების PBL სესიებს, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებას და პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნის დეფიციტის დადგენას.

ზოგადი უნარ-ჩვევების დასახვეწად და დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში მათი ადეკვატურად გამოყენების მიზნით კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება ხორციელდება 4 კრედიტის ფარგლებში.

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება მეცნიერული კვლევის 3 სასწავლო კურსის მანძილზე ხდება, რაც ჯამში 10 კრედიტს შეადგენს, რომელთაგან 7 კრედიტი საგნის თეორიული ასპექტების ცოდნის მისღებად არის გათვალისწინებული, ხოლო დარჩენილი 3 კრედიტი - უშუალოდ მეცნიერული მუშაობის განხორციელებისთვის.

სწავლების წინაკლინიკურ ეტაპზე ისწავლება ტკივილის მართვა სტომატოლოგიაში, რომელიც მოიცავს ანესთეზიის ჩატარების სხვადასხვა ტექნიკას, პრეპარატის შერჩევის პრინციპებს რისკის ჯგუფის პაციენტებისთვის, ადგილობრივი ანესთეზიის ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის გართულებებს, გადაუდებელი დახმარების პროტოკოლებს, ასევე სედაციის პრინციპებს ამბულატორულ სტომატოლოგიაში, პერი- და პოსტოპერაციული ტკივილის მედიკამენტური მართვას.ასევე, გნათოლოგიის კურსს, რომელიც ითვალისწინებს სტომატოლოგიური პაციენტის მკურნალობის ამოცანებისა და გეგმის რაციონალურად შემუშავებას პაციენტის საღეჭ-სამეტყველო აპარატის თავისებურებების გათვალისწინებით.

ეტაპი III- კლინიკური სამედიცინო ეტაპი მოიცავს 5 სემესტრს (180 კრედიტი) და სტუდენტს საფუძვლიანი ცოდნის მიღებისა და ჰორიზონტის მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალებას აძლევს ძირითად სამედიცინო და სტომატოლოგიურ დისციპლინებში ექიმის ასისტირების საშუალებით კლინიკური ინტეგრაციის ფარგლებში, რაც სტუდენტის აქტიური ჩართვის საშუალებას იძლევა პაციენტის უახლესი მეთოდებით მკურნალობის პროცესში, რითაც, საბოლოო ჯამში, სტუდენტი „ექიმობის ოსტატობას“ ეფუძნება.

ამ ეტაპზე მომიჯნავე სტომატოლოგიური სპეციალობები ისწავლება ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული მოდულების სახით:

- მოდული- კლინიკური ოდონტოლოგია (პედიატრიული და მოზარდილთა ოდონტოლოგია)
- მოდული-პირის ღრუს ქირურგია (პედიატრიული და მოზარდილთა პირის ღრუს ქირურგია)
- მოდული - მასალათმცოდნეობა (მასალები პირდაპირი და არაპირდაპირი რეგისტრაციისთვის)
- მოდული-კლინიკური ენდოდონტია (პედიატრიული და მოზარდილთა ენდოდონტია)
- მოდული- ყბა-სახის ქირურგია I, II, III, IV(პედიატრიული და მოზარდილთა ყბა-სახის ქირურგია)
- მოდული--დენტალური იმპლანტოლოგია (ყბა-სახის ქირურგია და ორთოპედიული სტომატოლოგია)
- მოდული - გადაუდებელი დახმარება სტომატოლოგიურ კაბინეტში (ურგენტული სტომატოლოგიური და ზოგადი გადაუდებელი მდგომარეობების მართვა)
- მოდული -პაროდონტის, პერიიმიპლანტის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები და მდგომარეობები I,II დაIII (პედიატრიული პაროდონტოლოგია, მოზარდილთა პაროდონტოლოგია, პაროდონტის დაავადებათა ქირურგიული და ორთოპედიული მკურნალობა)

სწავლების წინაკლინიკური ეტაპის მიზანია სტუდენტის კლინიკური აზროვნების განვითარება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზით, რაც გულისხმობს ანამნეზის მონაცემების ანალიზს, ჩატარებული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაციას და კლინიკური დასკვნის გაკეთებას. სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სწავლების CBCR-მეთოდი უზრუნველყოფს.

CBCR (კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება) წარმოადგენს პრობლემის ანალიზის მეთოდს და მისი მიზანია სწავლება კონკრეტული მაგალითების განხილვის გზით (შემთხვევის განხილვა). ჯგუფური მუშაობის ეს მეთოდი ეფუძნება რთული/ატიპური შემთხვევების განხილვას, რისთვისაც

დამატებითი მონაცემების მოძიება და დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარება აუცილებელი. „შემთხვევა“ (Case) სწავლების სწორედ ის ინსტრუმენტია, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენების საშუალებას იძლევა. თეორიისა და პრაქტიკის ამგვარი შერწყმის მეთოდი ხელს უწყობს ანალიტიკური და კლინიკური მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას, ანალიზისა და სინთეზის ჩვევების შეძენას, გამოუმუშავებს სტუდენტს ჯგუფური მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარს, განსხვავებული აზრის მიღების, აჩვენებს მას მოქმედებათა სწორ დაგეგმვას და შედეგების პროგნოზირებას. სტუდენტს უყალიბდება სამედიცინო ხასიათის მსჯელობაში მონაწილეობისა და კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი დროის სიმცირის პირობებში.

კლინიკური როტაციის ციკლი

კურიკულუმის დიზაინი იმგვარადაა კონსტრუირებული, რომ სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე სტუდენტს საბოლოოდ ჩაოუყალიბდეს პრაქტიკოსი სტომატოლოგისათვის აუცილებელი სამი უნარი- კლინიკური აზროვნების, პრაქტიკული მანუალური და სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარები.

კლინიკური ინტეგრაციის კურსი ემსახურება სწავლების წინა ეტაპზე შეძენილი კომპეტენციების გაღრმავებას, უნარ-ჩვევების დახვეწას და ამაღდროულად ცოდნის უფრო მაღალი დონის მიღწევას. კლინიკური როტაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სტომატოლოგიის ყველა მიმართულებაში საბაზისო ცოდნის მიცემას და ეფუძნება დაავადებებისა და სინდრომების მკურნალობას უახლესი კლინიკური გაიდლაინებისა და პროტოკოლების შესაბამისად მტკიცებულებებზე დაყრდნობილი მედიცინის საფუძვლებზე. აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტები ჩართულნი არიან კლინიკურ საქმიანობაში საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ და აფილირებულ კლინიკებში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და ასრულებენ დამხმარე სამედიცინო პერსონალის ფუნქციას (ექიმის ასისტირება). შემთხვევზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების კურსი „კლინიკური აზროვნების უნარები CBCR II, კი, ემსახურება კლინიკური გადაწყვეტილების მიღების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და დიაგნოზის დასმის უნარების განვითარებას. სწავლების ამავე ეტაპზე სტუდენტები ჩართულები არიან სამეცნიერო კვლევაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

კლინიკური როტაციის ციკლები ხორციელდება შემდეგ კლინიკურ დისციპლინებში:

- ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია
- ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია
- კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია
- კლინიკური პაროდონტოლოგია
- პედიატრიული სტომატოლოგია
- ორთოდონტია

კლინიკური სამედიცინო ეტაპზე დამამთავრებელი X სემესტრის ბოლოს სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციები, კერძოდ, კლინიკური უნარები სტომატოლოგიის ყველა დარგში, მოწმდება ინტეგრირებული ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE).

CBCR II-ით მიღებული დარგობრივი კლინიკური აზროვნების უნარები მოწმდება კომპლექსური CIP ტესტით, ხოლო სამეცნიერო კვლევითი უნარები კი - სამეცნიერო რეფერატის წარდგენით.

პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი**, რაც შესაბამისი ხარისხის დიპლომით დასტურდება.

91 – 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა - დიპლომი

დიპლომირებული მედიკოსი (MD)

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მედიცინა 0912
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor)
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	360 კრედიტი; 6 წელი / 12 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	მედიცინის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან, იმ სოციალურ ცვლილებებთან, რომელიც მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ამოქმედებით არის გამოწვეული. ეს პროცესი, როგორც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯიმ იონგ კიმი აღნიშნავს (ვაშინგტონი, 2014. გაეროს წევრი ქვეყნებისა და საერთაშორისო სააგენტოების შეხვედრა), გლობალური ჯანდაცვის პრიორიტეტია და მსოფლიოს სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მის განხორციელებას. მით უფრო - დადგენილია, რომ ჯანდაცვაში ინვესტირებული თითო აშშ დოლარიდან ამონაგები 9-20 დოლარს შეადგენს, რაც ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს.

ამ კონტექსტში მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმენს. ზოგადად, ის მიზნად ისახავს სამედიცინო კადრების მომზადებას კომპეტენციათა ისეთი სპექტრით, რომელიც შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებსა და თუნიზის პროექტით განსაზღვრულ კომპეტენციებს, ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს თანამედროვე შრომის ბაზრისთვის და თავის წვლილს შეიტანს, როგორც, საკუთრივ, მოსახლეობის ეფექტიანი სამედიცინო მომსახურების სისტემის სრულყოფის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ახალი თაობის პრაქტიკოსი ექიმები, რომლებსაც ექნებათ ღრმა/სისტემური ცოდნა თანამედროვე ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში, აღჭურვილნი იქნებიან კლინიკური უნარ-ჩვევების ფართო სპექტრით, შეძლებენ უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მკურნალობის მეთოდების გამოყენებას პრაქტიკაში (უმცროსი ექიმის პოზიციაზე) უფლებამოსილი პირის მითითებით/პასუხისმგებლობით ან/და დაიწყებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ თუ სხვა საქმიანობას მინიჭებული კვალიფიკაციისა და კანონით დადგენილი მოთხოვნის ფარგლებში.

- ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების სწავლებასთან ერთად, მისცეს სტუდენტებს ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის, სოციალური და ქცევითი მეცნიერების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ ფუძემდებლური ეთიკურ-სამართლებრივი ღირებულებების გააზრებას და, ზოგადად, პროფესიული ცნობიერების ფორმირებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.
- გამოუმუშაოს სტუდენტებს პროფესიული კატეგორიებით ოპერირებისა და ღრმა კლინიკური აზროვნების უნარი, რაც უზრუნველყოფს, არამარტო ხარისხიანი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას, არამედ, განაპირობებს, კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებით, სხვადასხვა სირთულის თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის ინფორმაციის რეზიუმირებისა და, ზოგადად, მეცნიერული კვლევის შესაძლებლობათა განვითარებას.
- განახორციელოს საგანმანათლებლო სტრატეგია არა მხოლოდ ადგილობრივი შრომის ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებით - მოამზადოს სტუდენტები საერთაშორისო აკადემიური და სოციალური/პროფესიული მობილობისათვის, რისთვისაც გამოიყენოს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდოლოგიური სისტემა, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ისეთი სისტემა, რომლის საფუძველზეც შეძლებენ პროგრამის ფარგლებში ფორმირებული სასწავლო-საინფორმაციო რესურსის მუდმივ განახლებას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, და როგორც მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, სადოქტორო ან/და რეზიდენტურის პროგრამით წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება.

1.1. სტუდენტს აქვს ღრმა ცოდნა ბიოსამედიცინო, ქცევით, სოციალურ და კლინიკურ მეცნიერებებში, რომელიც საშუალებას აძლევს სისტემურად გაიაზროს დარგის ფუნდამენტური პრინციპები, მონაწილეობა მიიღოს დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტასა და ახალი იდეების განვითარების პროცესში.

სტუდენტი აღწერს, ხსნის, განსაზღვრავს ან/და განიხილავს საკვანძო/არსებით საკითხებს მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით
- ქცევით და სოციალურ მეცნიერებების მიმართულებით
- კლინიკური მეცნიერებების მიმართულებით
- გერიატრიის მიმართულებით
- სამკურნალწამლო საშუალებებისა და მათი გამოყენების /დანიშვნის მიმართულებით
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით, მათ შორის, ექიმის როლის განსაზღვრით
- სამედიცინო პრაქტიკის ეთიკური და სამართლებრივი მიმართულებით

2. უნარი

2.1. სტუდენტს, კონკრეტული კლინიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია პრაქტიკული მოქმედება, ღრმა კლინიკური აზროვნების დემონსტრირებით (კლინიკური მდგომარეობის შეფასება, გამოკვლევის დანიშვნა, დიფდიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შედგენა, პირველადი

დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება, მედიკამენტების გამოწერა, პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება, მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში):

1. პაციენტის კონსულტაცია

- ანამნეზის შეკრება
- კვლევის ფიზიკალური მეთოდების გამოყენება
- კლინიკურ აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება
- ახსნა-განმარტებებისა და რჩევების მიცემა
- პაციენტზე ზრუნვა და მისი უფლებების დაცვა
- პაციენტის ფსოქოემოციური მდგომარეობის შეფასება

2. კლინიკური შემთხვევა - შეფასება, გამოკვლევები, დიაგნოზი, დაავადების მართვის გეგმა

- კლინიკური შემთხვევის ერთიანად გააზრება და შეფასება
- კლინიკური კვლევების ჩატარების გეგმის შედგენა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის გუნდურად შემუშავება
- კვლევების ჩატარება და შედეგების ინტერპრეტაცია
- დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება
- დაავადების მართვის გეგმის განხილვა პაციენტთან და მის მომვლელებთან
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მათ ახლობლებზე ზრუნვა
- ქრონიკული დაავადებების მართვა

3. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა (სასწრაფო და რეანიმაციული ღონისძიებები)

- სასწრაფო გადაუდებელი მდგომარეობების ამოცნობა და შეფასება
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა პაციენტის ასაკის გათვალისწინებით
- პირველი დახმარების გაწევა
- სიცოცხლის შემანარჩუნებელი კარდიოპულმონური ღონისძიებების ჩატარება გაიდლაინების მიხედვით
- სიცოცხლის გადარჩენის გადაუდებელი ღონისძიებების გატარება გაიდლაინების მიხედვით
- ტრავმების მურნალობა გაიდლაინების მიხედვით

4. სამკურნალოწამლო საშუალების დანიშვნა

- წამლის გამოწერა გარკვევით და გულმოდგინედ
- მედიკამენტებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების მოყვანა კლინიკურ სურათთან შესაბამისობაში
- დანიშნული მედიკამენტებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების პოტენციური სარგებლისა და რისკის თანაფარდობის შეფასება
- ტკივილისა და დისტრესის მართვა
- დანიშნული მედიკამენტების კონკრეტულ პაციენტთან თავსებადობის შეფასება

5. პრაქტიკული პროცედურების განხორციელება

- სასიცოცხლო მაჩვენებლების შეფასება: პრიფერიული პულსი, სუნთქვა, სხეულის ტემპერატურა
- სისხლის არტერიული წნევის განსაზღვრა
- ჟანგბადით გაჯერების შეფასება

- ხელის დაბანა, ხელთათმანების ხმარება
- ვენაპუნქცია
- ვენის კათეტერიზაცია
- მედიკამენტების ინტრავენური შეყვანა და გადასხმის მოწყობილობების გამოყენება
- კანქვეშ და კუნთებში ინექციის განხორციელება
- ჟანგბადის მიწოდება
- პაციენტის ტრანსპორტირება
- ნაკერის დადება
- ნახვევის დადება
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
- შარდის ანალიზის განხორციელება
- ეკგ-ის გადაღება და ინტერპრეტირება
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება
- ინჰალატორის გამოყენება
- სისხლდენის შეჩერება
- სისხლის გადასხმა
- ლუმბალური პუნქცია

6. დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება

- დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და პაციენტზე მათი გავლენის შეფასება
- დაავადებასთან დაკავშირებული სოციალური ფაქტორებისა და პაციენტზე მათი გავლენის შეფასება
- დაავადებაზე სტრესის გავლენის დადგენა
- ალკოჰოლთან და წამალდამოკიდებულებასთან კავშირის დადგენა და შეფასება

2.2. სტუდენტი სამედიცინო პრაქტიკას განახორციელებს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, მკურნალობისა და მტკიცებულებების გამოყენების ან/და გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვის დროს ავლენს ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, აკეთებს დასკვნებს ეთიკური ნორმების დაცვით, და იყენებს პრაქტიკაში, ან/და ამოიცნობს/გადაწყვეტს სასწავლო პრაქტიკულ პრობლემას/ამოცანას

1. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპები

- კონფიდენციალობის დაცვა
- ეთიკის პრინციპებისა და ანალიტიკური აზროვნების გამოყენება მკურნალობაში
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და დოკუმენტირება
- გარდაცვალების მოწმობის გაცემა
- გვამის გაკვეთის ჩატარების მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად)
- საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინება მკურნალობის პროცესში
- სამედიცინო სამიანობის განხორციელება მულტიკულტურულ საზოგადოებაში

2. მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის საფუძვლები, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოყენება

- მტკიცებულებების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში
- ლიტერატურული მიმოხილვის სწორად და გულმოდგინედ ჩატარება
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკულად შეფასება
- დასკვნების გაკეთება და მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში

2.3. სტუდენტი ეფექტურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ახალი ინფორმაციის მოძიებისა თუ არსებული ინფორმაციის შენახვისა და გამოყენებისათვის, განახორციელებს ეფექტურ წერით ან/და ზეპირ კომუნიკაციას, არამარტო სამედიცინო/აკადემიურ პერსონალთან, არამედ პაციენტთან, მის ნათესავებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან, ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვით:

1. სამედიცინო კომუნიკაცია

- პაციენტთან ურთიერთობა/კომუნიკაცია
- კოლეგებთან ურთიერთობა/კომუნიკაცია
- ცუდი ამბების შეტყობინების უნარი
- პაციენტის ახლობლებთან ურთიერთობა
- შშმ პირებთან ურთიერთობა
- ურთიერთობა ინფორმირებული თანხმობის მისაღებად
- წერილობითი ურთიერთობა (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით)
- კონფლიქტის პირობებში ურთიერთობა
- მესამე მხარის წარმომადგენლებთან ურთიერთობა
- კანონის დამცველ არგანიზაციებთან და მას-მედიასთან ურთიერთობა
- წარმატებული ურთიერთობა ნებისმიერ პიროვნებასთან სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად

2. ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სამედიცინო საქმიანობაში

- კლინიკური და სხვა სამედიცინო დოკუმენტაციის სწორი დახარისხება და გულმოდგინედ შენახვა
- უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სამედიცინო პრაქტიკაში
- სპეციალური საინფორმაციო რესურსების მოძიება
- ინფორმაციის შენახვა და მისი გამოყენება საჭიროებისამებრ
- საიდუმლო ინფორმაციის შენახვის უნარ-ჩვევები

2.4. სტუდენტი ადეკვატურად იყენებს ბიომედიცინის მეცნიერულ პრინციპებს, მეთოდებსა და მიდგომებს სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში, ახდენს მეცნიერული კვლევების დაგეგმვას და განხორციელებას - რთული ან/და არასრული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, შეფასებას და დასკვნების ფორმირებას ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის ასახვით:

1. ბიომედიცინის მეცნიერული პრინციპების, მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევებში

- მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიის საკმარისი ცოდნა. მეცნიერული კვლევის დაგეგმვის, დეტალურად გაწერის, წარმართვის, შედეგების მიღებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.
- ბიოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი
- კვლევის შედეგების კრიტიკული გააზრების საფუძველზე მეცნიერული ნაშრომისა შექმნისა და გამოქვეყნების უნარი
- ეთიკის პრინციპების გამოყენების უნარი მეცნიერული კვლევების ჩატარებისას.

2.5. სტუდენტი ახდენს პროფესიონალიზმისთვის დამახასიათებელი უნარებისა თუ თვისებების დემონსტრირებას და ავლენს მზაობას ჯანდაცვის ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის:

1. პროფესიონალიზმი

- არის ინიციატივები, კრეატიული, პაციენტის მიმართ ავლენს ემპათიას, შეუძლია ინტერპერსონული ურთიერთობა.
- გაურკვეველი სიტუაციებიდან პოულობს გამოსავლს და ახდენს ახალ სიტუაციასთან ადაპტაციას.
- ავლენს დამოუკიდებლად მუშაობის უნარს - შეუძლია პრობლემის გადაჭრა და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება.
- მიღებულ ცოდნას ადეკვატურად იყენებს პრაქტიკაში.
- ავლენს სამედიცინო კვლევის უნარს, შეუძლია სხვადასხვა სახის ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი.
- მუშაობს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, ფლობს და იყენებს მეორე ენას.
- ავლენს სხვა სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაციის უნარს.

2. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა, მუშაობა ჯანდაცვის საკითხებზე.

- მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი;
- ინფექციის გავრცელების აღკვეთისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.
- ჯანმრთელობის ზოგადი პრობლემების გაცნობიერება და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება პროფესიული კუთვნილების გათვალისწინებით
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში ინდივიდუალური მონაწილეობა ან ჯგუფური მუშაობა პოპულაციის დონეზე.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სტუდენტს შეუძლია:

3.1. სტუდენტს შეუძლია კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინარული გარემოს მართვა და ამ გარემოსთან ადაპტაცია სხვადასხვა, მათ შორის, ახალი სტრატეგიული მიდგომების საშუალებით, შეაქვს პრაქტიკის განვითარებაში საკუთარი წვლილი, ავლენს სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარს:

- ახდენს სასწავლო გარემოს ორგანიზებას - ჯგუფის მართვას, დროის რაციონალურად გამოყენებას, დისკუსიის პროცესის წარმართვას ან/და ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- გუნდური მუშაობის ფარგლებში, ეთიკის დაცვით, ადეკვატურად იყენებს საშუალო ან/და უმცროსი სამედიცინო პერსონალის სამსახურებრივ პოზიციას სხვადასხვა პროცედურისა თუ გამოკვლევისა-თვის, ზუსტად განუსაზღვრავს მათ ამოცანას, სამედიცინო ტერმინების ადეკვატური გამოყენებით და იღებს პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე/შედეგებზე.
- ახდენს მულტიკულტურულ გარემოსთან ადაპტირებას - პაციენტის უფლებების დაცვის მიზნებისთვის ექიმს წარუდგენს ავადმყოფის მოვლასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს თანამედროვე ეთიკურ-სამართლებრივი მიდგომებისა და პაციენტთა ეთნიკურ-რელიგიური თუ ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.
- ადაპტირებას ახდენს სამუშაო გარემოსთან - ადეკვატურად აღიქვამს და ასრულებს ექიმის დავალებებს/მითითებებს, მიმართავს დახმარებისათვის მას და საშუალო ან/და უმცროს სამედიცინო პერსონალს, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- სამუშაო გარემოს მართვაში ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს - ახარისხებს და ინახავს სხვადასხვა სამედიცინო, მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელსაც, ეთიკის ნორმების დაცვით, იყენებს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ან/და პაციენტის ინტერესების დაცვისა თუ სხვა კანონიერი მიზნებისთვის
- საექიმო ეთიკის შესაბამისად იცავს პაციენტის ინტერესებს და კონფიდენციალობის წესებს, ავლენს მზაობას ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისა და პროფესიული სრულყოფისათვის.
- ამზადებს გარემოს ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სწორად აღიქვამს დავალებებს და იღებს პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე.

3.2. სტუდენტი ავლენს საკუთარი და სხვების პროფესიული ცოდნის განვითარებისთვის პასუხისმგებლობის აღებისა და სწავლის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს:

- ხელს უწყობს საკუთარი და სხვების პროფესიული ცოდნის განვითარებას, ავლენს სწავლის დამოუკიდებლად წარმართავის უნარს დარგში არსებულ თანამედროვე წყაროებზე დაყრდნობით.
- ავლენს ლიდერობის უნარს - ახდენს სწავლის პროცესის დაგეგმვას, განსხვავებული ხედვის წარდგენას ან ასეთის მხარდაჭერას და მასზე პასუხისმგებლობის აღებას აკადემიური ჯგუფის ფარგლებში,
- ეთიკის პრინციპების დაცვით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეკომენდაციებს აძლევს საშუალო ან/და უმაღლესი სამედიცინო პერსონალს, ავადმყოფის ხარისხიანი მოვლის უზრუნველყოფის ან/და გამოკვლევის პროცედურული საკითხების შესახებ და იღებს პასუხისმგებლობას მათი შესრულებისთვის.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია მედიცინის სკოლის მიერ:

გამოცდა	კოეფიციენტი	პრიორიტეტი
ქართული ენა და ლიტერატურა	2	4
უცხოური ენა (ინგლისური)	4	1
ბიოლოგია	3	2
<i>ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:</i>		
მათემატიკა / ფიზიკა / ქიმია	3	3

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით მოპოვებული უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების შესახებ და ინგლისური ენის ცოდნა, რომლის ხარისხობრივი დონე განისაზღვრება გასაუბრების საფუძველზე (მათ შორის, შესაძლებელია დისტანციურად). გასაუბრებით უნდა დადგინდეს აპლიკანტის ენობრივი უნარი - დამლიოს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მასალა. ძირითადი კრიტერიუმებია: ინგლისური ენის ნორმების დაცვით შემეცნებითი ინფორმაციის გადმოცემა, კითხვებზე პასუხის გაცემა, კითხვა, წერა. გასაუბრება ჩაიწერება ვიდეო ფორმატით და, სხვა დოკუმენტებთან ერთად, გაიგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისი პროცედურებია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

კურსის ხანგრძლივობაა 6 აკადემიური წელი - 12 სემესტრი. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა). სემესტრები ერთმანეთისგან არდადეგებითაა გამოყოფილი.

ეთსაფეხურიანი 6-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა 360 კრედიტს მოიცავს. ევროპული კრედიტების სისტემის შესაბამისად აკადემიური წლის ყოველი 19-კვირიანი სემესტრი 30 კრედიტს მოიცავს. ერთი კრედიტი 25 სამუშაო საათისგან შედგება, რომელთა დაახლოებით ნახევარი საკონტაქტო საათებზე მოდის, დანარჩენი კი - სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე.

მედიცინის პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ დააგროვონ წელიწადში 60 კრედიტზე მეტი, მაგრამ სრული პროგრამული ციკლის პერიოდზე გათვლით გადაჭარბებული კრედიტები არ უნდა შეადგენდეს მთლიანობაში 15-ზე მეტს.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ფართოდაა ინტეგრირებული და ეფუძნება საბაზისო მეცნიერებებისა და კლინიკური საგნების ჰარმონიულ შერწყმას, რაც მიიღწევა საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური პრინციპებით ინტეგრაციის გზით. პროგრამა მოიცავს ეტაპებს, ციკლებს და ბლოკებს. სწავლების ეტაპი ორია: **საწყისი სამედიცინო ეტაპი** და **კლინიკური სამედიცინო ეტაპი**. ყოველი მომდევნო ბლოკი ეფუძნება წინა ბლოკს და სახავს სწავლების უფრო რთულ მიზნებს.

საწყისი სამედიცინო ეტაპი

საწყისი სამედიცინო ეტაპის ხანგრძლივობა 1 სემესტრია. ამ ეტაპზე გადამწყვეტია ბიოსამედიცინო მეცნიერებათა უმთავრესი პრინციპების შესწავლა. მთავარი ამოცანაა საბაზისო მეცნიერებების იმ საფუძვლებისა და ტერმინების ათვისება, რომელიც ადამიანის ორგანოთა სისტემების შესასწავლადაა აუცილებელი შემდგომი 4 სემესტრის განმავლობაში.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია მიიღწევა საბაზისო კლინიკური საგნების (ჯანდაცვის ორგანიზაცია და მეცნიერული კვლევა) და პროფესიული ლათინურის კოორდინირებისა და შერწყმის გზით. სტუდენტი შეისწავლის ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლებს, კვლევის მეთოდოლოგიას, კრიტიკულ ანალიზს, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის დაგეგმვას, მონაცემთა შეკრებას, მასალის სტატისტიკურ დამუშავებას და შედეგების გამოქვეყნებას პროფესიული ლათინური ტერმინოლოგიის ეფექტურად გამოყენების ფონზე.

საწყისი ეტაპი (30 კრედიტი) წარმოადგენს უმთავრესი ბიოსამედიცინო მეცნიერებების ერთობლიობას და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს:

- უჯრედული ბიოლოგია – 4 კრედიტი
- სამედიცინო გენეტიკა - 3 კრედიტი
- სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა - 3 კრედიტი
- ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის საფუძვლები – 3 კრედიტი
- ბიოქიმიის საფუძვლები - 4 კრედიტი
- პროფესიული ლათინური - 2 კრედიტი
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა - 2 კრედიტი
- სამეცნიერო კვლევა I - 3 კრედიტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიები - 2 კრედიტი
- უცხო ენა 1 ((ქართული / ინგლისური) – 4 კრედიტი

კლინიკური სამედიცინო ეტაპი

კლინიკური სამედიცინო ეტაპი (348 კრედიტი) გრძელდება 11 სემესტრის განმავლობაში, ღრმადაა ინტეგრირებული და შედგება I, II, III და IV ინტეგრირებული ბლოკისაგან (II, III, IV და V სემესტრი), გარდამავალი ბლოკისაგან (VI სემესტრი) და კლინიკური როტაციის I, II, III, IV და V ციკლისაგან (VII, VIII, IX, X და XI სემესტრი). პროგრამა სრულდება კლინიკური ინტეგრაციის ციკლით (XII სემესტრი).

ინტეგრირებული ბლოკები (II, III, IV და V სემესტრი) შედგება ორგანოთა სისტემების მოდულებისგან, რაც მოლეკულური, უჯრედული და ორგანოთა სისტემების დონეზე მიმდინარე პროცესების დაკავშირების საშუალებას იძლევა დაავადებათა მექანიზმებთან. ინტეგრირების ეს ფორმა სამეცნიერო ინფორმაციის კლინიკურ კონტექსტში განხილვის საშუალებას იძლევა, რაც საკითხის კლინიკურ რელევანტურობაზე მიგვითითებს და სტუდენტების გაღრმავებული სწავლების ფაქტორს წარმოადგენს.

ყოველი მოდული იწყება მიკრო- და მაკროსტრუქტურის მოკლე აღწერით და გრძელდება შესასწავლი ორგანოთა სისტემის ანატომიით, ფიზიოლოგიით, ჰისტოლოგიით, ციტოლოგიით, ემბრიოლოგიით და ბიოქიმიით. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრირება მიიღწევა საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შერწყმით.

ორგანოთა სისტემების ინტეგრირებული კურსები, ერთის მხრივ, ვერტიკალურ ინტეგრაციაშია ავადმყოფის მოვლის, კლინიკური და კომუნიკაციური უნარების, მედიცინის უმთავრესი ღირებულებების, პათოლოგიის, იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის, პარაზიტოლოგიისა და მეცნიერული კვლევის პრინციპებთან, მეორეს მხრივ კი, ერთიანდება ჯანდაცვის მენეჯმენტის, სამედიცინო ფსიქოლოგიის, პრევენციული მედიცინის, ზოგადი ფარმაცოლოგიის საფუძვლების სწავლებასთან ორგანოთა სისტემების შემსწავლელი 5 მოდულის მანძილზე.

ორგანოთა სისტემების მოდულების შესწავლის მეთოდოლოგია მოიცავს ლექციას, ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიას, დემონსტრირებას და დამოუკიდებელ მუშაობას. PBL-სესიებს.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების დასახვეწად და დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში მათი ადეკვატურად გამოყენების მიზნით კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება ეტაპობრივად ხდება და ხუთი აკადემიური კურსის მანძილზე ხორციელდება (სულ 13 კრედიტი).

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება სამეცნიერო კვლევის 3 სასწავლო კურსის მანძილზე ხდება, რაც ჯამში 10 კრედიტს შეადგენს, რომელთაგან 7 კრედიტი საგნის თეორიული ასპექტების ცოდნას ენიჭება, ხოლო დარჩენილი 3 კრედიტი - უშუალოდ მეცნიერული მუშაობის განხორციელებას.

ინტეგრირებული ბლოკების სტრუქტურა:

ბლოკი I - სულ 30 კრედიტი

1. მოდული I: ნეირომეცნიერება I (HA, PH, HCE, BI PBL-ით) - სულ 14 კრედიტი
 - ადამიანის ანატომია - 3 კრედიტი
 - ფიზიოლოგია - 3 კრედიტი
 - ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია - 2 კრედიტი
 - ბიოქიმია - 2 კრედიტი
 - PBL - 4 კრედიტი
2. პარაზიტოლოგია - 3 კრედიტი
3. ავადმყოფის მოვლა - 2 კრედიტი
4. ბიოეთიკა - 2 კრედიტი
5. სამედიცინო ფსიქოლოგია - 3 კრედიტი
6. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები - 2 კრედიტი
7. უცხო ენა 2 ((ქართული / ინგლისური) – 4 კრედიტი

ბლოკი II - სულ 30 კრედიტი

1. მოდული II: ნეირომეცნიერება II (HA, PH, HCE, BI PBL-ით) - სულ 7 კრედიტი
 - ადამიანის ანატომია - 2 კრედიტი
 - ფიზიოლოგია - 2 კრედიტი
 - ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია - 1 კრედიტი
 - ბიოქიმია - 1 კრედიტი
 - PBL - 1 კრედიტი
2. მოდული III: ძვალსახსროვანი სისტემა (HA, PH, HCE, BI PBL-ით) - სულ 11 კრედიტი
 - ადამიანის ანატომია - 3 კრედიტი
 - ფიზიოლოგია - 2 კრედიტი
 - ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია - 2 კრედიტი
 - ბიოქიმია - 2 კრედიტი

- PBL - 2 კრედიტი
- 3. კლინიკური უნარები I - 3 კრედიტი
- 4. უცხო ენა 3 (ქართული / ინგლისური) – 4 კრედიტი
- 5. პრევენციული მედიცინა - 3 კრედიტი
- 6. არჩევითი საგნები - 2 კრედიტი

ბლოკი III - სულ 30 კრედიტი

1. მოდული IV: გულსისხლძარღვთა, სისხლის, სასუნთქი და იმუნური სისტემები (HA, PH, HCE, BI PBL-ით) - სულ 14 კრედიტი
 - ადამიანის ანატომია - 3 კრედიტი
 - ფიზიოლოგია - 3 კრედიტი
 - ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია - 2 კრედიტი
 - ბიოქიმია - 2 კრედიტი
 - PBL - 4 კრედიტი
2. მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია - 5 კრედიტი
3. კლინიკური უნარები II - 3 კრედიტი
4. სამეცნიერო კვლევა II - 4 კრედიტი
5. ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა - 2 კრედიტი
6. არჩევითი საგნები - 2 კრედიტი

ბლოკი IV – სულ 30 კრედიტი

1. მოდული V: საჭმლის მომნელებელი, საშარდე, რეპროდუქციული და ენდოკრინული სისტემები (HA, PH, HCE, BI PBL-ით) – სულ 14 კრედიტი
 - ადამიანის ანატომია - 3 კრედიტი
 - ფიზიოლოგია - 3 კრედიტი
 - ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია - 2 კრედიტი
 - ბიოქიმია - 2 კრედიტი
 - PBL - 4 კრედიტი
2. კლინიკური უნარები III - 3 კრედიტი
3. ვირუსოლოგია - 3 კრედიტი
4. პათოლოგია - 5 კრედიტი
5. ტოპოგრაფიული ანატომია - 3 კრედიტი
6. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის მენეჯმენტი - 2 კრედიტი

გარდამავალი ბლოკი

კლინიკური მედიცინის კურსი გრძელდება გარდამავალი ბლოკით, რომელიც დაკავშირებულია პათოლოგიური ცვლილებებისა და დაავადების სიმპტომების შესწავლის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებასთან დიაგნოსტიკური პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ბლოკი იმგვარადაა ორგანიზებული, რომ შესაძლებელი გახდეს მტკიცებითი მედიცინის, ფიზიკური დიაგნოსტიკის, სისტემური პათოლოგიის საფუძვლების, ფარმაკოლოგიის და რადიოლოგიის ზოგადი ასპექტების შესწავლა.

უნარ-ჩვევების დახვეწის და ამავდროულად ცოდნის უფრო მაღალი დონის მიღწევის მიზნით, გარდამავალ ბლოკში ინტეგრირებულია დასკვნითი გამოცდები. კერძოდ, ფიზიკური დიაგნოსტიკა, ზოგადი ქირურგია და რადიოლოგია და სამედიცინო რენტგენოლოგია დასკვნითი გამოცდა ტარდება ინტეგრირებული OSCE –ით.

ამგვარად, გარდამავალი ბლოკი უზრუნველყოფს სტუდენტის მზაობას კლინიკური როტაციის ციკლების გასაველელად.

გარდამავალი ბლოკი მოიცავს შემდეგ კლინიკურ დისციპლინებს:

1. ფიზიკალური დიაგნოსტიკა - 8 კრედიტი

2. სისტემური პათოლოგია - 5 კრედიტი
3. ზოგადი ქირურგია - 6 კრედიტი
4. ზოგადი ფარმაკოლოგია - 4 კრედიტი
5. რადიოლოგია და სამედიცინო რენტგენოლოგია - 4 კრედიტი
6. მტკიცებითი მედიცინა - 3 კრედიტი

კლინიკური როტაციის ციკლები

კლინიკური როტაციის კურსების დიზაინი ორიენტირებულია ორგანოთა სისტემების დაავადებებზე და ემსახურება ადრე შეძენილი კომპეტენციების გაღრმავებას, უნარ-ჩვევების დახვეწას და ამავდროულად ცოდნის უფრო მაღალი დონის მიღწევას. კლინიკური როტაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის კლინიკური მედიცინის საბაზისო ცოდნის მიცემას და ეფუძნება დაავადებებისა და სინდრომების მკურნალობას უახლესი კლინიკური გაიდლაინებისა და პროტოკოლების შესაბამისად მტკიცებულებებზე დაყრდნობილი მედიცინის საფუძვლებზე. აღნიშნული ციკლების დროს სტუდენტები ჩართულნი არიან კლინიკურ საქმიანობაში და ასრულებენ დამხმარე სამედიცინო პერსონალის ფუნქციას (კლერკშიპი).

კლინიკური კურსის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტის კლინიკური აზროვნების განვითარება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზით, რაც გულისხმობს ანამნეზური მონაცემების ანალიზს, ჩატარებული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაციას და კლინიკური დასკვნის გაკეთებას. სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სწავლების CBCR-მეთოდი უზრუნველყოფს.

CBCR (კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება) წარმოადგენს პრობლემის ანალიზის მეთოდს და მისი მიზანია სწავლება კონკრეტული მაგალითების განხილვის გზით (შემთხვევის განხილვა). ჯგუფური მუშაობის ეს მეთოდი ეფუძნება რთული/ატიპური შემთხვევების განხილვას, რისთვისაც დამატებითი მონაცემების მოძიება და დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარება აუცილებელია. „შემთხვევა“ (Case) სწავლების სწორედ ის ინსტრუმენტია, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენების საშუალებას იძლევა. თეორიისა და პრაქტიკის ამგვარი შერწყმის მეთოდი ხელს უწყობს ანალიტიკური და კლინიკური მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას, ანალიზისა და სინთეზის ჩვევების შეძენას, გამოუმუშავებს სტუდენტს ჯგუფური მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარს, განსხვავებული აზრის მიღების, აჩვენებს მას მოქმედებათა სწორ დაგეგმვას და შედეგების პროგნოზირებას. სტუდენტს უყალიბდება სამედიცინო ხასიათის მსჯელობაში მონაწილეობისა და კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი დროის სიმცირის პირობებში.

კლინიკური როტაციის ციკლები (I, II, III, IV და V) მიმდინარეობს შემდგომი 5 სემესტრის განმავლობაში (VII, VIII, IX, X და XI). პროგრამა სრულდება კლინიკური ინტეგრაციის ციკლით (XII სემესტრი).

ყოველ სემესტრში მიღებული ცოდნის მოცულობა შეესაბამება 30 ECTS კრედიტს.

ჩამოთვლილი კურსების განმავლობაში სტუდენტი იმუშავებს აფილირებულ კლინიკაში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და მიიღებს შემდეგ კლინიკურ გამოცდილებას:

- მწვავე დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა ადგილზე და გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში;
- შინაგანი დაავადებების მკურნალობა;
- ქირურგიული პაციენტების მკურნალობა;
- კლინიკური აზროვნების განვითარება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში;
- მუშაობა სამედიცინო დახმარების პირველადი რგოლში;
- ასაკოვანი ადამიანების მკურნალობა;
- მოზარდების მკურნალობა;
- ფსიქიატრიული დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა;
- გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა;
- კრიტიკული მდგომარეობების მკურნალობა ინტენსიური თერაპიის ბლოკში;

- ანესთეზიოლოგია;
- აღდგენითი მედიცინა.

კლინიკური კურსი სტუდენტს საფუძვლიანი ცოდნის მიღებისა და ჰორიზონტის მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალებას აძლევს ძირითად სამედიცინო დისციპლინებში კლერკშიპის ტიპის კლინიკური როტაციების საშუალებით, რაც სტუდენტის აქტიური ჩართვის საშუალებას იძლევა პაციენტის უახლესი მეთოდებით მკურნალობის პროცესში, რითაც, საბოლოო ჯამში, სტუდენტი „ექიმობის ოსტატობას“ ეუფლება.

კლინიკური როტაციის ციკლები ხორციელდება შემდეგ კლინიკურ დისციპლინებში:

ციკლი I

ბლოკი: გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებები

- კარდიოლოგია - 5 კრედიტი
- პულმონოლოგია - 4 კრედიტი
- თორაკალური ქირურგია - 5 კრედიტი

ბლოკი: სისხლისა და იმუნური სისტემის დაავადებები

- ჰემატოლოგია - 3 კრედიტი
- ინფექციური სნეულებანი I - 5 კრედიტი
- ალერგოლოგია და კლინიკური იმუოლოგია - 4 კრედიტი
- კლინიკური აზროვნების ჩვევები (CBCR) -4 კრედიტი

ციკლი II

ბლოკი: ძვალკუნთოვანი სისტემის დაავადებები

- რევმატოლოგია - 3 კრედიტი
- ტრავმატოლოგია და ორთოპედია - 5 კრედიტი

ბლოკი: საჭმლის მომნელებელი და საშარდე სისტემის დაავადებები

- გასტროენტეროლოგია - 4 კრედიტი
- ნეფროლოგია - 3 კრედიტი
- უროლოგია - 3 კრედიტი
- აბდომინური ქირურგია - 6 კრედიტი
- კლინიკური ფარმაკოლოგია - 4 კრედიტი

არჩევითი საგნები - 2 კრედიტი

ციკლი III

ბლოკი: ნერვული სისტემის დაავადებები

- ნევროლოგია - 8 კრედიტი
- ნეიროქირურგია - 4 კრედიტი
- ქცევითი მეცნიერება - 4 კრედიტი

ბლოკი: სენსორული სისტემის დაავადებები

- ოფთალმოლოგია - 4 კრედიტი
- დერმატოლოგია - 4 კრედიტი
- ოტორინოლარინგოლოგია - 4 კრედიტი

არჩევითი საგნები - 2 კრედიტი

ციკლი IV

ბლოკი: რეპროდუქციული და ენდოკრინული სისტემის დაავადებები

- ენდოკრინოლოგია - 4 კრედიტი
- ზოგადი მეანობა - გინეკოლოგია - 6 კრედიტი

- გერიატრია -3 კრედიტი

ბლოკი: პედიატრიული დაავადებები

- პედიატრია - 10 კრედიტი
- პედიატრიული კლინიკური უნარები - 2 კრედიტი
- ბავშვთა ინფექციური დაავადებები - 3 კრედიტი
- პედიატრიული ნევროლოგია - 2 კრედიტი

ციკლი V

- ონკოლოგია - 4 კრედიტი
- ანესთეზიოლოგია და კრიტიკული მედიცინა - 3 კრედიტი
- სინდრომული და დიფერენციული დიაგნოსტიკა - 4 კრედიტი
- ინფექციური დაავადებები II - 4 კრედიტი
- ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია - 3 კრედიტი
- გადაუდებელი მედიცინა და კლინიკური ტოქსიკოლოგია - 3 კრედიტი
- საოჯახო მედიცინა - 3 კრედიტი
- ფსიქიატრია - 3 კრედიტი
- სამეცნიერო კვლევა III - 3 კრედიტი

კლინიკური ინტეგრაციის ციკლი

- შინაგანი მედიცინა - 8 კრედიტი
- მეან-გინეკოლოგია -6 კრედიტი
- ჰოსპიტალური ქირურგია - 6 კრედიტი
- გადაუდებელი მედიცინა-6 კრედიტი
- არჩევითი საგნები - 4 კრედიტი

პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, რაც შესაბამისი ხარისხის დიპლომით დასტურდება.

91 – 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა - დიპლომი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

სამართალი / LAW

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	მაგისტრატურა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი / Master of Laws (LLM)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	120 კრედიტი; 2 წელი / 4 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	სამართლის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია:

- გაულრმავოს სტუდენტებს წინა საგანმანათლებლო საფეხურზე მიღებული ცოდნა, მისცეს სისტემური სახე და განუვითაროს ამ ცოდნის კრიტიკულად გააზრების უნარი - შეძლონ სასამართლო პრაქტიკისა თუ ეროვნული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი და შეფასება გლობალურ სამართლებრივ კონტექსტთან მიმართებით, ეროვნული სამართლის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ახსნა და ფუნდამენტურ ღირებულებათა სისტემური გააზრება.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს მეცნიერული კვლევის კულტურა - სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგიის ფორმირებისა და მისი გამოყენების უნარი სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის ეფექტური/ორიგინალური გზების შემუშავებისათვის, კვლევის შედეგების, სამეცნიერო ნაშრომის სახით, სტრუქტურირებისათვის აკადემიური ეთიკის დაცვით;
- განუვითაროს სტუდენტებს მულტიდისციპლინარულ გარემოში ადაპტირებისა და ეფექტიანი მოქმედების/კომუნიკაციის უნარი - მოამზადოს წამყვანი სამსახურებრივი პოზიციების დასაკავებლად, არა მარტო საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანიზაციებში, საჯარო ან/და კერძო სექტორში, არამედ, მოსამართლის პროფესიაში შესვლისა და სამეცნიერო/აკადემიურ სფეროში მუშაობის დასაწყებად.
- მოამზადოს სტუდენტები საერთაშორისო აკადემიური და სოციალური/პროფესიული მობილობისათვის, რისთვისაც უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია - უცხოენოვანი სასწავლო კომპონენტების ინტეგრირება პროგრამის შინაარსობრივ სტრუქტურაში, აკადემიური/სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების გაფართოება, უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობა სასწავლო და სამეცნიერო პროცესში და ა.შ.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს კომპეტენციების ისეთი სისტემა, რომლის საფუძველზე შეძლებენ პროგრამის ფარგლებში ფორმირებული სასწავლო-საინფორმაციო რესურსის მუდმივ განახლებას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

1. ცოდნა და გაცნობიერება. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებს, მათ შორის, ეროვნული კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს, გამოწვევებს და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის გზებს. წარმოაჩენს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს; ახსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული სამართლის განვითარებაზე.
- აღწერს თანამედროვე იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, მეთოდოლოგიურ ცნებებსა და პრინციპებს, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, აკადემიური კეთილსინდისიერების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების სტრუქტურირების ძირითად წესებსა და პრინციპებს.
- განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის დანიშნულებას; აღწერს პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით.
- აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს.

2. უნარი. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აანალიზებს ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, მოქმედ კანონმდებლობას და საკანონმდებლო ნოვაციებს, შეიმუშავებს ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს უახლეს მეცნიერულ კვლევებსა და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების, მათი გადაწყვეტის ან/და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე.
- პროფესიულ დონეზე განმარტავს სამართლის ნორმებს შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე; აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს და არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებში, გამოკვეთს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს, შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ინოვაციურ გზებს. განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს.
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ახდენს ეროვნული და უცხოური წყაროებიდან მოძიებული მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას, ამოიცნობს აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას და გეგმავს შესაბამისი კვლევის პროცესს, შეიმუშავებს ამ პრობლემის გადაწყვეტის მეცნიერულ გზებს და, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ასახავს სამეცნიერო ნაშრომში, რომელსაც წარადგენს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსიისა და საკუთარი დასკვნების/მიგნებების დაცვისათვის.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ავლენს პატივსცემას დემოკრატიული და სამოსამართლო ეთიკური ღირებულებების/სტანდარტების მიმართ, აღიარებს და იყენებს აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ ნორმებს და საჭიროების შემთხვევებში, მონაწილეობას იღებს ამ ღირებულებების განვითარებაში, როგორც მოდავე მხარეთა ინტერესების, ისე თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის სამართლიანი/ობიექტური ბალანსის უზრუნველსაყოფად.
- ახორციელებს კომპლექსური თუ მულტიდისციპლინური მასალისა და გარემოს მართვას მიღებული სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით - გეგმავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევისა და სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისათვის.

- ავტონომიურად მოიძიებს უახლეს ინფორმაციას და დამოუკიდებლად წარმართავს სწავლას სამართლის სფეროში, მონაწილეობას იღებს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს ან/და პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს; ხელს უწყობს საკუთარი და სხვების გამოცდილების გავრცელებას კოლეგებს შორის და ქმნის თავისუფალ, შეუზღუდავ გარემოს გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად, ამავე დროს, იღებს პასუხისმგებლობას არამართო საკუთარი, არამედ სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო და საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე, თანაფარდობით - 35/65.

საერთო სამაგისტრო გამოცდები ტარდება მაგისტრანტობის კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხის განსაზღვრისათვის, ხოლო სპეციალობის საუნივერსიტეტო გამოცდით უნდა გამოვლინდეს სამართლის სფეროს ფართო ცოდნა თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებით, სიტუაციის ანალიზისა და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარის დემონსტრირებით.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისათვის მოითხოვება:

- ა) სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია;
- ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა;
- გ) საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგები საკონკურსო შეფასებით სამართალსა და ინგლისურ და გერმანული ენებში.

უცხოურ ენაში აპლიკანტთა მომზადების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს არა ნაკლებ B2 დონეს. უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა განხორციელდა ინგლისურ ან გერმანულ ენებზე.

ინფორმაცია გამოცდებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო საშუალებებით და უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდით, რომელზეც განთავსებულია დეტალური ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის, რესურსების, შიდა საგამოცდო საკითხების, კრიტერიუმებისა და პროცედურის შესახებ.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს და შუალედურ შეფასებას. 8 კვირა ეთმობა კონსულტაციებსა და შემაჯამებელ შეფასებებს. პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ 120 კრედიტის მოგროვებას (წელიწადში - 60 კრედიტი). 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს - სასწავლო და კვლევითი. პროგრამის სასწავლო დისციპლინები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს და თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. ძირითადი სწავლის სფეროს განეკუთვნება პრაქტიკის მოდული განეკუთვნება ძირითადი სწავლის სფეროს და გულისხმობს იურიდიული კლინიკის გავლას.

სტუდენტი, სამართლის მაგისტრის მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ვალდებულია გაიაროს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, როგორც საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის დარგობრივი მოდულების, ისე თავისუფალი კომპონენტებიდან. ამასთან, დარგობრივი მოდულების არჩევითი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში, შეუძლია არჩევანი გააკეთოს საკუთარი ინტერესების მიხედვით.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და საჯარო დაცვას.

კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო დისციპლინები გაერთიანებულია მოდულებში, დარგების მიხედვით, სულ 36 კრედიტის მოცულობით.
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო დისციპლინები გაერთიანებულია მოდულებში, ასევე, დარგების მიხედვით, სულ 25 კრედიტის მოცულობით.
- სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი, იურიდიული კლინიკა სულ 15 კრედიტის მოცულობით
- კვლევის კომპონენტი /სამაგისტრო ნაშრომი, სულ 26 კრედიტის მოცულობით
- თავისუფალი კომპონენტები მოიცავს, სულ 18 კრედიტს. პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული კომპონენტი დაყოფილია ტრანსფერული დისციპლინებისა და უცხოენოვანი დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (იხ. სასწავლო გეგმა - მატრიცა). გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დისციპლინები უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე - სტუდენტს ენიჭება **სამართლის მაგისტრის** კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91 - 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა - დიპლომი

ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration

უმაღლესი განათლების საფეხური, დონე	მაგისტრატურა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	120 კრედიტი; 2 წელი / 4 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ რთულ და სწრაფად ცვალებად გარემოში ეფექტიანი ბიზნესსტრატეგიების განსაზღვრას და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას;
- უზრუნველყოს სტუდენტთა მიერ, ბიზნესის ცალკეული მიმართულების მიხედვით (ფინანსები, მენეჯმენტი, ენერგეტიკის მენეჯმენტი), ადმინისტრირების თავისებურებების ღრმად შესწავლა და სოციალურ-ეთიკური ღირებულებების/პასუხისმგებლობის გაცნობიერება, შესაბამისად, მათი მომზადება მუშაობის დაწყებისა და/ან კარიერული წინსვლისათვის საფინანსო, ენერგეტიკულ კომპანიებსა და სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება მაღალკვალიფიციური მენეჯერული კადრები.
- განუვითაროს სტუდენტებს თანამედროვე მენეჯერული აზროვნება და ლიდერული უნარ-ჩვევები, გაუფართოვოს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის კულტურა, გაუღრმავოს პრობლემების ხედვის/კვლევისა და გადაჭრის ეფექტური/ორიგინალური გზების შეფუძვნების უნარი, გამოუმუშაოს მულტიდისციპლინარულ გარემოში ადაპტირებისა და ეფექტიანი მოქმედების/კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამით მოამზადოს ისინი, ერთი მხრივ, შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, მეორე მხრივ, მაღალ მენეჯერულ თანამდებობაზე სამუშაოდ.
- განახორციელოს ისეთი საგანმანათლებლო სტრატეგია, რომელიც განაპირობებს სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

პროგრამის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტი:

- განსაზღვრავს ბიზნესისა ადმინისტრირების დარგში კვლევის თანამედროვე მეთოდებს მიმდინარე დასაპროგნოზო მენეჯერული დასკვნების ფორმირებისათვის, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისთვის აყალიბებს მიზნისა და შეზღუდვათა სისტემის შეჯერების ტექნიკას;

- ხსნის მარკეტინგული სტრატეგიის დამუშავების სპეციფიკას სხვადასხვა ტიპის კომპანიისთვის და აღწერს კომპანიის ბაზარზე ხანგრძლივი ლიდერობის განმსაზღვრელი სტრატეგიების ფორმირებისა და მარკეტინგის სტრატეგიული მართვის მექანიზმების გამოყენების თავისებურებებს;
- ხსნის ბიზნესის მდგრადი განვითარების ლოგიკას, მენეჯერული აღრიცხვის და გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკას მართვის უმაღლეს დონეზე, მოძიებული მმართველობითი ინფორმაციის სისტემური ანალიზის და მენეჯერული აღრიცხვის და გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მეთოდების გამოყენების თავისებურებებს;

2. უნარი - სტუდენტი:

- ანვითარებს ბიზნეს ურთიერთობების პროცესში საკუთარ ლოგიკას, ახდენს მის დასაბუთებას, კვლევის შედეგების ადეკვატურ წარმოჩენას, მათ გააზრებას აკადემიურ ღირებულებათა შესაბამისად და აკადემიური კამათის პროცესში კონსტრუქციულ ოპონირებას;
- ახდენს მენეჯერული გადაწყვეტილებებისას კვლევის სპეციფიკური მეთოდების კონსტრუირებას, განსხვავებული საბაზრო სტრუქტურებში ფუნქციონირებადი ფორმების მენეჯერთა ეკონომიკური გადაწყვეტილებების ანალიზსა და ინტერპრეტაციას;
- აფასებს კორპორაციის ფინანსურ პოლიტიკას, ახდენს არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, ფულადი ნაკადების პროგნოზირებას, დაგეგმვასა და სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებას, კომპანიაში კონტროლის მექანიზმების დანერგვასა და მისი განვითარების მდგომარეობის შეფასებას;
- აანალიზებს დინამიურად ცვალებად გარემოში კომპანიის კონკურენტუნარიანი პოზიციის განმაპირობებელ ფაქტორებს, ახდენს მათი განვითარების მიხედვით მოქმედების ინოვაციური გეგმის შემუშავებას და შესაფერისი სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით კონკრეტული დასკვნების ფორმირებას;
- იყენებს სალიტერატურო ნორმატივების გათვალისწინებით აკადემიური მეტყველებისა და წერის ტექნიკას, დარგობრივ და სამეცნიერო ტერმინოლოგიას, შესატყვისებისა და ფრაზოლოგიის სტრუქტურულ მოდელებს, ფლობს საჯარო გამოსვლის ტექნოლოგიებს, არგუმენტაციის, კამათისა და კონსტრუქციული ოპონირების ხელოვნებას.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

- კრიტიკულად აფასებს საკუთარი კვლევითი უნარ-ჩვევებს, აცნობიერებს მენეჯერული საქმიანობის სპეციფიურობას, დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის პროცესს, აფასებს მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების საკუთარი შესაძლებლობებს;
- მონაწილეობს კომპანიის მართვის პროცესში კომპანიის პერსონალსა და საკონტაქტო აუდიტორიას შორის ურთიერთპატივისცემაზე აგებული ბიზნეს ურთიერთობების ფორმირებასა და კომპანიის ფასეულობების გარემოში ადაპტირების პროცესში.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო, სასპეციალიზაციო და უცხო ენაში (ინგლისური) გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე, წილობრივი თანაფარდობით - 35/65.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდები ტარდება მაგისტრანტობის კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხის განსაზღვრისათვის, ხოლო სასპეციალიზაციო გამოცდით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის ფარგლებში.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაგისტრანტობის კანდიდატის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გაცემული კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

შესაბამისი პროცედურა, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლა, განსაზღვრულია დებულებით „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური შეფასების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი შეფასების მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ფორმებს, კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტი
- კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 კრედიტი
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 10 კრედიტი

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით

91 - 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა - დიპლომი

მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი / Sustainable Business Management

უმაღლესი განათლების საფეხური, დონე	მაგისტრატურა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	120 კრედიტი; 2 წელი / 4 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს კვალიფიციური პროფესიონალები კვლევასა და ცოდნაზე დაფუძნებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ცოდნითა და უნარებით, რაც ხელს შეუწყობს კომპლექსურ და ცვალებად ბიზნეს სექტორში არსებული გამოწვევების გადაჭრას.
- განუვითაროს სტუდენტებს მენეჯერული და ლიდერული უნარები და კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, დასაქმდნენ თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა ორგანიზაციულ პოზიციაზე ან/და აქტიურად გააგრძელონ აკადემიური საქმიანობა.
- მისცეს სტუდენტებს მდგრადი განვითარების ფუნდამენტური პრინციპების სიღრმისეული ცოდნა და შესძინოს პრაქტიკული უნარები, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, დაწერონ მდგრადობა ორგანიზაციულ სტრატეგებში ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების მისაღწევად.
- აღზარდოს კორპორაციული პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის, ეთიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესისა სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებაში, რაც დადებითად აისახება როგორც ორგანიზაციაზე, ისე საზოგადოებაზე.

პროგრამის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტი:

- 1.1 იცნობს ბიზნესის ძირითად ფუნქციებს და იაზრებს მათ როლს საერთო ბიზნეს სტრატეგიის განხორციელების პროცესში;
- 1.2 აცნობიერებს, რა გავლენას ახდენს ეფექტური ლიდერობა ორგანიზაციული კულტურის ფორმირების პროცესსა და ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე;
- 1.3 იაზრებს მდგრადობის პრინციპებსა და მათ მნიშვნელობას ბიზნესის ფუნქციონირების, მათ შორის მიწოდების ჯაჭვის მართვის, ფინანსების ადმინისტრირების, მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელებისა და ლიდერობის პროცესში.

2. უნარი - სტუდენტი:

2.1 ავითარებს სტრატეგიებს, რომლებიც მიმართულია მდგრადი განვითარების მიმართულებით არსებული გარემოსდაცვითი, სოციალური თუ ეკონომიკური გამოწვევების აღმოფხვრისაკენ;

2.2. რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის გზით აანალიზებს ბიზნესის პოლიტიკის გავლენას მდგრადობაზე და სთავაზობს მას საკონსულტაციო მომსახურებას უწყვეტი განვითარებისათვის;

2.3 ნერგავს მდგრადი განვითარების ინიციატივებს ორგანიზაციული მართვის პროცესში და უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის მართვის, ფინანსების ადმინისტრირების, მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელების პროცესის შესაბამისობას მდგრადი განვითარების მიზნებთან;

2.4 აცნობს მდგრადი განვითარების ინიციატივებს დაინტერესებულ მხარეებს, მმართველ გუნდს, მომხმარებლებსა და პარტნიორებს და ანალიზებს მათ უკუკავშირის კომუნიკაციის სტრატეგიების დასახვეწად;

2.5 ახალისებს ორგანიზაციულ ცვლილებებს, ხელს უწყობს ეთიკური კულტურის ფორმირებასა და მუდმივ განვითარებას ეთიკური ლიდერობის პრინციპების დანერგვით.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

3.1 კრიტიკულად აფასებს მდგრადობის ინიციატივების შედეგებს და იღებს პასუხისმგებლობას ბიზნესის ოპერაციების გაუმჯობესებაზე;

3.2 ხელს უწყობს ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულებების დანერგვას და კოლაბორაციული კულტურის განვითარებას ორგანიზაციაში.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო, სასპეციალიზაციო და უცხო ენაში (ინგლისური) გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე, წილობრივი თანაფარდობით - 35/65.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდები ტარდება მაგისტრანტობის კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხის განსაზღვრისათვის, ხოლო სასპეციალიზაციო გამოცდით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის ფარგლებში.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაგისტრანტობის კანდიდატის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გაცემული კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

შესაბამისი პროცედურა, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლა, განსაზღვრულია დებულებით „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური შეფასების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი შეფასების მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ფორმებს, კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 100 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 20 კრედიტი

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის** კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით

91 - 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა - დიპლომი

მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაცია / Sustainable Business Transformation

უმაღლესი განათლების საფეხური, დონე	მაგისტრატურა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (MA) ბიზნესის ადმინისტრირებაში / Master of Arts (MA) in Business Administration
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	60 კრედიტი; 1 წელი / 2 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ შეითავსონ ორგანიზაციული ცვლილებების მასტიმულირებლის როლი და გამოიყენონ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მდგრადი ტრანსფორმაციის პროცესის ეფექტურად წარსამართად.
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობით შეძლებენ შეიმუშავონ მდგრადი სტრატეგიები გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების სამართავად.
- განუვითაროს სტუდენტებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი და კვლევითი კომპეტენცია, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, დასაქმდნენ თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში ან/და აქტიურად ჩაერთონ ბიზნესის მდგრადობისა და ტრანსფორმაციის საკითხების კვლევის პროცესში.
- მოამზადოს კურსდამთავრებულები კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული უნარებით, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, გააანალიზონ ბიზნეს სექტორში არსებული გამოწვევები, შეაფასონ განსხვავებული პერსპექტივები და მიიღონ სტრატეგიული გადაწყვეტილებები ცოდნაზე დაყრდნობით მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმირების პროცესში.

პროგრამის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტი:

1. იაზრებს მდგრადი განვითარების კონცეფციებისა და პრინციპების არსსა და მათი პრაქტიკაში რეალიზების მნიშვნელობას;
2. ხსნის გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხებისა და ფინანსური ანგარიშგების როლს ორგანიზაციული ანგარიშვალდებულების მიღწევის პროცესში.
3. აღწერს გამოწვევებს, რომელსაც ორგანიზაცია აწყდება მდგრადი ტრანსფორმაციის პროცესში.

2. უნარი - სტუდენტი:

1. შეიმუშავებს მდგრადი განვითარების ინიციატივებს ორგანიზაციული მართვის პროცესში და უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის მართვის, ფინანსების ადმინისტრირებისა და მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელების პროცესის შესაბამისობას მდგრადი განვითარების მიზნებთან;
2. ეფექტურად იყენებს კრიტიკულ აზროვნებასა და კვლევით მეთოდოლოგიებს ბიზნესის სფეროში არსებული კომპლექსური გამოწვევების სამართავად, მდგრადი განვითარების ზეგავლენის შესაფასებლად და ინოვაციური, კვლევაზე დაფუძნებული ინიციატივების შესამუშავებლად მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციისთვის;
3. აფასებს ორგანიზაციული ცვლილების მასტიმულირებელ ფაქტორებს და იყენებს თეორიულ ჩარჩოს კონკრეტული სტრატეგიების დასაწერად მდგრადი კულტურის ფორმირების, უწყვეტი განვითარების შესაძლებლობის შექმნისა და გრძელვადიანი ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის.
4. კრიტიკულად აფასებს მდგრადი განვითარების ტენდენციებს, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და მათ ზეგავლენას ბიზნეს სტრატეგიაზე და ნერგავს ორგანიზაციულ პრაქტიკას სწრაფად ცვალებად და ურთიერთდაკავშირებულ ბიზნეს გარემოში ნავიგაციისათვის.
5. შეიმუშავებს და უძღვება მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის პროცესს განსხვავებულ ორგანიზაციულ და კულტურულ კონტექსტში.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

1. ერთვება პროფესიულ დისკუსიებში და რეკომენდაციას უწევს ბიზნესის ოპერაციული სისტემის განვითარებისათვის საჭირო ინიციატივებს;
2. იკვლევს და აფასებს ეთიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ღირებულებებს მდგრადობის კონტექსტში, ახალისებს კრიტიკული ხასიათის დისკუსიებს იმის თაობაზე, თუ როგორ განსაზღვრავს ეს ღირებულებები ორგანიზაციულ ნორმასა და პრაქტიკას და ამგვარად, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების ჩარჩოს შემუშავებას.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო, სასპეციალიზაციო და უცხო ენაში (ინგლისური) გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე, წილობრივი თანაფარდობით - 35/65.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდები ტარდება მაგისტრანტობის კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხის განსაზღვრისათვის, ხოლო სასპეციალიზაციო გამოცდით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის ფარგლებში.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაგისტრანტობის კანდიდატის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გაცემული კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

შესაბამისი პროცედურა, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლა, განსაზღვრულია დებულებით „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ერთ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური შეფასების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი შეფასების მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 60 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდებს, ფორმებს, კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 10 კრედიტი

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის** კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით

91 - 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა - დიპლომი

ციფრული მმართველობა / Digital Governance

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	მაგისტრატურა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413 / Master of Public Administration
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი / Master of Public Administration
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	120 კრედიტი; 2 წელი / 4 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან, იმ ცვლილებებთან, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ამოქმედებით, კაცობრიობის ტექნოლოგიური პროგრესით არის გამოწვეული. საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა, თავისი მისიის მთავარ მიმართულებად, სწორედ, უნივერსიტეტის მისიის განხორციელებაში **უნიკალური წვლილის შეტანას** თვლის, რაც გულისხმობს - **მაღალკვალიფიციური საჯარო მოხელეთა კადრების მომზადებას თანამედროვე სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსის გამოყენებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით.**

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ცვალებადი გარე ფაქტორების არსებობის პირობებში, ციფრული მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ზოგადად, ის მიზნად ისახავს კადრების მომზადებას კომპეტენციათა ისეთი სპექტრით, რომელიც უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს, შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, დარგობრივ მახასიათებელსა და თუნინგის მოთხოვნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ საჯარო მოხელეებს, თანამედროვე შრომის ბაზრისთვის, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ ქვეყნის შემდგომი განვითარების საქმეში.

აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები საჯარო მმართველობის სფეროსთვის, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობითი სისტემებისა და ამ სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციების, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის სპეციფიკის შესახებ, შეძლებენ რთულ და სწრაფად ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ გარემოში ფუნდამენტურ ღირებულებებსა და ციფრული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული სათანადო სტრატეგიების განსაზღვრას და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

- განუვითაროს სტუდენტებს პროფესიული კატეგორიებით ოპერირებისა და ღრმა სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი. უზრუნველყოს, სტუდენტთა მიერ, საჯარო მოხელის ეთიკური და სამართლებრივი ნორმების/დირექტულებებისა და პასუხისმგებლობის, საჯარო მმართველობის არსის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მმართველობითი პროცესის, საჯარო ინსტიტუტების მიერ ფუნქციონირებისა და ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობების კრიტიკული გააზრება, მათი მომზადება კარიერული წინსვლისთვის სახელმწიფო მმართველობით აპარატში, საქართველოს და უცხო ქვეყნის წარმომადგენლობით სტრუქტურებში, სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება მაღალკვალიფიციური, თანამედროვე ციფრული გამოწვევებისათვის შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მენეჯერული კადრები.
- განახორციელოს საგანმანათლებლო სტრატეგია, არა მხოლოდ ადგილობრივი შრომის ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებით; მოამზადოს სტუდენტები საერთაშორისო აკადემიური და სოციალური/პროფესიული მობილობისათვის, რისთვისაც უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია - სტუდენტთა აკადემიური/სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების გაფართოება და ა.შ.
- სტუდენტებს ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის კულტურა, გაულრმავოს დამოუკიდებელი კვლევისა და პრობლემების გადაჭრის ეფექტური/ორიგინალური გზების შემუშავების უნარი, გამოუმუშაოს მულტიდისციპლინარულ გარემოში ადაპტირებისა და ეფექტიანი მოქმედების/კომუნიკაციის შესაძლებლობა - მოამზადოს, არა მარტო პროფესიული საქმიანობის დასაწყებად, არამედ შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.
- სტუდენტებს ჩამოუყალიბოს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ისეთი სისტემა, რომლის საფუძველზე შეძლებენ პროგრამის ფარგლებში ფორმირებული სასწავლო-საინფორმაციო რესურსის მუდმივ განახლებას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და საკუთარი წვლილის შეტანას საჯარო მმართველობის თეორიასა და პრაქტიკაში.

პროგრამის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

- სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის პრინციპებსა და კონცეფციებს; საჯარო დაწესებულებებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებსა და ტექნიკებს, ინოვაციური, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მართვის სტრატეგიებს;
- განიხილავს თანამედროვე სახელმწიფოსა და საჯარო მმართველობის ციფრული ტრანსფორმაციის განვითარების ტენდენციებს შედარებითი კონტექსტის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პრინციპების გათვალისწინებით;
- განსაზღვრავს საჯარო მმართველობისა და მისი ციფრული ტრანსფორმაციის ძირითად მიმართულებებს, მექანიზმებს და ადმინისტრაციული წარმოების სახეებს.
- იაზრებს თანამედროვე ტექნოლოგიურ ერაში საჯარო მმართველობის ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელების მნიშვნელობას გამჭვირვალე, მოქალაქეზე ორიენტირებული და ეფექტური მმართველობითი პროცესების უზრუნველსაყოფად.

2. უნარი - სტუდენტი:

- შეიმუშავებს საჯარო სექტორში სტრატეგიული მართვის და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებს, ახდენს მმართველობითი გამოწვევების სისტემატიზაციას და რეგულირების გავლენის შეფასებას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით;
- მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, რისკ-ფაქტორების და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, ტექნოლოგიური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ.) ეფექტიანი გამოყენებით, აყალიბებს სტრატეგიულ და ოპერაციულ გადაწყვეტილებებს და განსაზღვრავს მათი რეალიზაციის და ზედამხედველობის, შეფასების პროცესებს/მექანიზმებს;

- ადარებს საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკას, მათი საქმიანობის ორგანიზების, დაგეგმვის, საჯარო სერვისების უზრუნველყოფის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს;
- დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური კვლევის მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით და არგუმენტირებულ დასკვნებს წარუდგენს აკადემიურ/პროფესიულ საზოგადოებას;
- ახდენს საჯარო სექტორში პროექტების, მართვის სრული ციკლის საფუძველზე შესაბამისი პროცესების, მათ შორის სერვისების შეფასებას, მოდიფიცირებას და მოდელირებას საჯარო უწყებაში ციფრული მმართველობის ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საჯარო მმართველობის ორგანოების ღია/გამჭვირვალე საქმიანობის, საზოგადოების ჩართულობისა და ციფრული მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ეფექტური კომუნიკაციის ინსტრუმენტებს/მექანიზმებს;
- კრიტიკულად აანალიზებს სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებს და სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ურთიერთმიმართებებსა და მათი რეალიზების თავისებურებებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

- ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების/ღირებულებების ფარგლებში, კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობით, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას ითვალისწინებს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს, ციფრული ტექნოლოგიების მარეგულირებელ ეთიკურ ჩარჩოსა და ადამიანის უფლებებს;
- სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით საჯარო მმართველობის სფეროში დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებებს.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

ციფრული მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა;
- გ) უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გამოცდებში (სპეციალობა; უცხო ენა - ინგლისური) მინიმალური ზღვარის გადალახვა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგენს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებულ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ანოტაციას. ანალოგიურ ინფორმაციას უნივერსიტეტი განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც წარმოდგენილია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები (საჭირო ლიტერატურის მითითებით), ფორმები, ვადები და მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები.

უცხოურ ენაში (ინგლისური) აპლიკანტთა მომზადების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს არა ნაკლებ B2 დონეს. უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, სემესტრში - 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს და შუალედურ შეფასებას. 8 კვირა ეთმობა კონსულტაციებსა და შემაჯამებელ შეფასებებს. პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ 120 კრედიტის მოგროვებას (წელიწადში - 60 კრედიტი). პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

პროგრამის სტრუქტურა:

- ✓ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 40 კრედიტი
- ✓ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები - სავალდებულოა არანაკლებ 30 კრედიტი
- ✓ თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი

- ✓ თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები - სავალდებულოა არანაკლებ 10 კრედიტი
- ✓ პროფესიული პრაქტიკა/სოციალური აქტივობა - 10 კრედიტი
- ✓ სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი

სოციალური აქტივობა არის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი სავალდებულო კომპონენტი. მისი მიზანია სტუდენტს, როგორც მომავალ საჯარო მმართველს, ჩამოუყალიბოს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ადამიანთა მიმართ თანაგრძნობის, სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტი, რომელიც არ გაივლის პროფესიულ პრაქტიკას, ვალდებულია, პროგრამული ციკლის ფარგლებში, განახორციელოს ისეთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა ცხოვრების წესის გაცნობას, ყველაზე მოწყვლადი და სუსტი სოციალური ფენის პრობლემების გათავისებას, მონაწილეობის მიღებას მათ მოგვარებაში. მიღებული გამოცდილება მომავალ საჯარო მოხელეს ან პოლიტიკური თანამდებობის პირს დაეხმარება მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების პრინციპებზე.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისთვის სოციალურ აქტივობად ჩაითვლება სხვადასხვა ჯგუფების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მოვლას, საცხოვრისის დალაგებას, საჭირო ნივთებისა და ფულადი სახსრების შეგროვების ორგანიზებას და სხვ. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს:

- ა) სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები ან ინდივიდები;
- ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები;
- გ) უკუჩვენები ავადმყოფობით დაავადებული პირები და მათი ოჯახები;
- ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ ოჯახები;
- ვ) ფსიქიკური პრობლემის მქონე პირები;
- ზ) სოციალურად დაუცველი პირები;
- თ) ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები;
- ი) ძალადობის მსხვერპლი ბავშვები (რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით);
- კ) სოციალურად დაუცველი პირები;
- ლ) ხანდაზმულები;
- მ) მრავალშვილიანი, შეჭირვებული ოჯახების მარტოხელა მშობლები;
- ნ) იძულებით გადაადგილებული პირები.

სოციალური აქტივობის განხორციელება შესაძლებელია პროგრამული ციკლის ნებისმიერ ეტაპზე (არაუგვიანეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის განსაზღვრამდე), არადადგენის დროს, არანაკლებ ერთი კვირის მანძილზე. ჩატარებული საქმიანობის შესახებ სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ვალდებულია გააკეთოს პრეზენტაცია ვიზუალური მასალის თანხლებით, აკადემიური ჯგუფის წინაშე, დეკანის/აკადემიური პერსონალის თანდასწრებით. სოციალური აქტივობა, როგორც პროგრამის შემადგენელი კომპონენტი, პროფესიული პრაქტიკის არ გავლის შემთხვევაში, არის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **საჯარო მმართველობის მაგისტრის კვალიფიკაცია**, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

91 – 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით
 51 - 90 ქულა - დიპლომი

მასობრივი კომუნიკაცია / Mass Communication

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	მაგისტრატურა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი Master in Mass Communication
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	120 კრედიტი; 2 წელი / 4 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს მედიის, მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ საზოგადოების, მედიასაშუალებებისა და მედიაპროდუქტების მრავალფეროვნებაში სწორ ორიენტაციას, რთულ და სწრაფად ცვალებად გარემოში ეფექტიანი პროფესიული სტრატეგიების განსაზღვრას.
- უზრუნველყოს სტუდენტთა მიერ, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიის ცალკეული მიმართულებების (ტრადიციული და ციფრული მედიაპლატფორმები) თავისებურებების ღრმად შესწავლა და სოციალურ-ეთიკური ღირებულებების/პასუხისმგებლობის გაცნობიერება, შესაბამისად, მათი მომზადება მუშაობის დაწყებისა და/ან კარიერული წინსვლისათვის სამაუწყებლო კომპანიებსა და სხვადასხვა საჯარო, კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება მაღალკვალიფიციური ჟურნალისტური კადრები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები მენეჯერულ/საპასუხისმგებლო პოზიციებზე.
- განუვითაროს სტუდენტებს თანამედროვე ჟურნალისტური აზროვნება და საზოგადოებრივი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, გაუფართოოს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის კულტურა, გაუღრმავოს პრობლემების ხედვის/კვლევის და გადაჭრის ეფექტური/ორიგინალური გზების შემუშავების უნარი, გამოუმუშაოს რთულ/არასტანდარტულ გარემოში ადაპტირებისა და ეფექტიანი მოქმედების/კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამით მოამზადოს ისინი, ერთი მხრივ, შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, მეორე მხრივ, პროფესიული საქმიანობისთვის.
- განახორციელოს ისეთი საგანმანათლებლო სტრატეგია, რომელიც განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

პროგრამის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. სტუდენტი:

- ხსნის /განასხვავებს მასობრივი კომუნიკაციის, მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კვლევის მეთოდებს, თეორიებს; მედიის, მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების გამოყენების მნიშვნელობასა და მიზნობრიობას.
- აღწერს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების თავისებურებებს, საჯარო კომუნიკაციის ფუნდამენტურ კომპონენტებს, საზოგადოებრივ სივრცეში დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების იმპლემენტირების მიზნით მედიაპლატფორმების გამოყენების თავისებურებებს.
- ხსნის მედიის, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ინტეგრირების თავისებურებებს პრომოციულ მიქსში.

2. უნარი - სტუდენტი:

- მედიის, მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში გამოკვეთს კომპლექსურ პრობლემებს, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით იკვლევს დამოუკიდებლად, კვლევის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას აანალიზებს კრიტიკულად და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს/რეკომენდაციებს.
- შეიმუშავებს/ახორციელებს ინტეგრირებულ მარკეტინგულ პროექტებს, წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესს, ორგანიზაციის PR კამპანიას, რებრენდიგს ან/და ცალკეული პირის იმიჯის ფორმირებას; გამოკვეთს პოლიტიკური იმიჯის ფორმირებისათვის ხელშემშლელ ფაქტორებს და მათი გადაწყვეტისათვის შეიმუშავებს ეფექტურ გზებს /მეთოდებს/ ფორმებს.
- აანალიზებს სტრატეგიული კომუნიკაციის ამოცანას, განსაზღვრავს მიზნობრივ ჯგუფებს, ამ ჯგუფების თავისებურებების გათვალისწინებით, ახდენს კამპანიის იდეის გენერირებას და კონცეფციის შემუშავებას; პროექტის განხორციელებისთვის ქმნის ჯგუფს, წერს გეგმას, მათ შორის, სცენარის შემუშავება, ბიუჯეტირება, ლოჯისტიკის სქემის ჩამოყალიბება, მულტიმედიური კონტენტის მომზადება/გავრცელება; პროექტის განხორციელების პროცესში თავიდან ირიდებს გაუთვალისწინებელ რისკებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - სტუდენტი:

- კრიტიკულად აფასებს საკუთარ კვლევით უნარ-ჩვევებს, აცნობიერებს მედიის, მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში საქმიანობის სპეციფიურობას, დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის პროცესს, აფასებს მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების საკუთარ შესაძლებლობებს;
- ობიექტურად აფასებს საზოგადოებრივი ყოფიერების სხვადასხვა სფეროში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, პატივს სცემს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებსა და ეთიკურ ასპექტებს, ამ ფასეულობებით ოპერირებს პროფესიულ საქმიანობაში და, ხელს უწყობს საზოგადოებასთან ჟურნალისტური კომუნიკაციის პროცესში, მათ დამკვიდრებას.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო, სასპეციალიზაციო და უცხო ენაში (ინგლისური) გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე, წილობრივი თანაფარდობით - 35/65.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდები ტარდება მაგისტრანტობის კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხის განსაზღვრისათვის, ხოლო სასპეციალიზაციო გამოცდით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის ფარგლებში.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაგისტრანტობის კანდიდატის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გაცემული კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

შესაბამისი პროცედურა, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლა, განსაზღვრულია დებულებით „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური შეფასების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი შეფასების მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ფორმებს, კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 80 კრედიტი
- საერთო საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის დისციპლინები - 11 კრედიტი
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 29 კრედიტი

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით:

91 ქულა - 100 ქულა დიპლომი წარჩინებით

51 ქულა - 90 ქულა დიპლომი

კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება / Clinical Psychology and Counseling

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	მაგისტრატურა, მეშვიდე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია 0313
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი / Master of Clinical Psychology
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	120 კრედიტი; 2 წელი / 4 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს სპეციალისტები კლინიკურ ფსიქოლოგიაში, რომლებიც რეალურ კლინიკურ სამუშაო გარემოში პრაქტიკულად შეძლებენ წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მაღალკვალიფიციური კლინიკურ-ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას.
- მოამზადოს პრაქტიკოსი ფსიქოლოგი, რომელიც შეძლებს თავისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას, ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთან მათ შორის ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობაში.
- მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც ერკვევა თანამედროვე კლინიკური ფსიქოლოგიის წინაშე არსებულ პრობლემებში და შეძლებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვას
- ჩამოუყალიბოს სტუდენტს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციების და ღირებულებების ისეთი სისტემა, რომლითაც შესაძლებელი იქნება საკონკურსო მოთხოვნების დაკმაყოფილება შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებად.
- მოამზადოს სტუდენტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებისთვის კლინიკური ფსიქოლოგიის ფარგლებში.
- ჩამოუყალიბოს სტუდენტს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციების ისეთი სისტემა, რომლითაც შესაძლებელი იქნება საკონკურსო მოთხოვნების დაკმაყოფილება შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებად.

პროგრამის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. მაგისტრანტს შეუძლია:

- სიღრმისეულად აცნობიერებს თანამედროვე კლინიკური ფსიქოლოგიის მნიშვნელობა, თერაპევტ-კლიენტის პროფესიული ეთიკის საფუძვლები, თანამედროვე კლინიკური (ნოზოლოგიური) და კრიტეროლოგიური დიაგნოსტიკის სისტემა; კრიტიკულად გაიზრებს პაციენტთან მუშაობის და მისი კლინიკური კვლევის ელემენტებს, თანამედროვე მკურნალობის ფსიქოთერაპიულ მიმართულებებს,

განსაზღვრავს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სესიას და კურსის სტრუქტურას, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის თავისებურები სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობების დროს, რეაბილიტაციის პრინციპებს; აყალიბებს ფართო ინტერდისციპლინურ ან მულტიდისციპლინურ კონტექსტს ორიგინალური იდეების განვითარებისათვის, სამაგისტრო კვლევის განხორციელებისათვის.

2. უნარი - მაგისტრანტი:

- კლიენტთან და მის მხარდამჭერებთან აყალიბებს ორმხრივ ნდობაზე აგებულ თერაპიულ ალიანსს და აგროვებს ანამნეზის.
- გეგმავს ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს და ახორციელებს ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების დამუშავებას, დოკუმენტირებას და ანგარიშის დაწერას
- ახდენს კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემის მრავალმხრივ დანახვასა და კრიტიკულად გაანალიზებას. პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევას და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებას.
- ახდენს ბავშვთა და მოზარდებთან კლინიკური ფსიქოლოგიური პარამეტრების (ემოციურ-აფექტური, კოგნიტური, ნებელობითი და მოტივაციური სფერო, ინტერპერსონალური ურთიერთობების თავისებურებანი, თვითშეფასება და სხვ.) დიაგნოსტიკურას, ფსიქოლოგიურ აშლილობათა გამოვლენას, კლინიკურ დიაგნოსტიკურ ტექნიკის და შეფასების ადეკვატურ გამოყენებას.
- შეიმუშავებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გეგმას ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გეგმიდან გამომდინარე, ახორციელებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ ინტერვენციებს, იყენებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ თერაპიას, კონსულტირების ტექნიკას;
- აწარმოებს კვლევის, კერძოდ, შეიმუშავებს კვლევის ჰიპოთეზას, ირჩევს მეთოდს/დიზაინს, მოიძიებს სხვადასხვა წყაროდან (თუნდაც არასრული) ინფორმაციას, ამუშავებს და წარადგენს დასაბუთებულ დასკვნას, აყალიბებს მშობლიურ ენაზე საკუთარი მოსაზრებებსა და კვლევით ანგარიშს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- სტუდენტი დამოუკიდებლად წარმართავს სწავლას და იყენებს დასწავლის სხვადასხვა სტრატეგიებს. დამოუკიდებლად მუშაობს ტექსტზე და ახდენს მასალის სწორად ორგანიზებასა და სტრუქტურირებას, პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას.
- სტუდენტს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა; იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ამ ღირებულებებისადმი და პასუხისმგებლობით დაიცავს პროფესიული საქმიანობის ეთიკას.
- იცავს კლინიკური ფსიქოლოგიის საქმიანობის ეთიკურ ნორმებს, პატივს ცემს პაციენტის უფლებებს, იცავს პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას, ნერგავს სტიგმის საწინააღმდეგო იდეებს.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო, სასპეციალიზაციო და უცხო ენაში (ინგლისური) გამოცდების შედეგების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე, წილობრივი თანაფარდობით - 35/65.

კლინიკური ფსიქოლოგიისა და ფსიქოკონსულტირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია ფსიქოლოგიაში;
- ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა;
- გ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ტესტირების/გასაუბრების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ

და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდები ტარდება მაგისტრანტობის კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხის განსაზღვრისათვის, ხოლო სასპეციალიზაციო გამოცდით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის ფარგლებში.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაგისტრანტობის კანდიდატის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გაცემული კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

შესაბამისი პროცედურა, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლა, განსაზღვრულია დებულებით „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.gruni.edu.ge

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური და დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური გამოცდის მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას.

პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა ითვალისწინებს:

- ✓ საერთო საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის დისციპლინებს - 5 კრედიტი
- ✓ პროგრამის სავალდებულო მოდულის დისციპლინებს - 76 კრედიტი
- ✓ პროგრამის არჩევითი კონცენტრაციის მოდულის სავალდებულო დისციპლინებს - 26 კრედიტი
- ✓ პროგრამის თავისუფალი მოდულის არჩევით დისციპლინებს - 13 კრედიტი

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება **კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით:

91 - 100 ქულა - დიპლომი წარჩინებით

51 - 90 ქულა - დიპლომი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები

სამართალი / LAW

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	დოქტორანტურა, მერვე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი / Doctor in Law
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	60 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი); 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	სამართლის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ახალი გენერაციის მკვლევარი იურისტები ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნის გათვალისწინებით, რომლებიც ანალიტიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და, სხვა სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში (უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამართალდამცავ, სასამართლო, და საზედამხედველო ორგანოებში, საკანონმდებლო/საჯარო, კერძო და საზოგადოებრივ/უფლებადამცავ ორგანიზაციებში), შეძლებენ სამუშაოს ორგანიზებას და მართვას - სამართლებრივი ან/და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებას მეცნიერულ საფუძვლებზე.
- სამართლის მეცნიერული მემკვიდრეობის კონტექსტში მომავალ მკვლევარებს განუვითაროს უახლეს თეორიულ და პრაქტიკულ მიღწევებზე ყურადღების კონცენტრაციის, სადაო მეცნიერული პრობლემების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, რაც საფუძველს შექმნის სამართლის არსის, მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და არსებული დოგმატების კრიტიკულად გააზრებისათვის (სამართლის ლიბერალიზაცია, ეროვნული სამართლებრივი კულტურა და მასზე საერთაშორისო სამართლის გავლენა...), ჩამოუყალიბებს სტუდენტებს ფართო ცოდნით ოპერირებისა და ინტეგრირების უნარს სამეცნიერო კვლევის შედეგებთან, რომელიც შეესაბამება კვლევის საერთაშორისო სტანდარტებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.
- განუვითაროს სტუდენტებს მეცნიერული აზროვნება, გამოუმუშაოს ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარი, რომელიც მიმართული იქნება მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, დარგის რეფორმირების პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებული სამეცნიერო პროდუქტების შექმნისათვის.
- უზრუნველყოს სტუდენტთა მაღალი საკომუნიკაციო აქტივობა - ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ფართო ინტეგრირება, მათი მომზადება აკადემიურ ჯგუფებთან ეფექტური კომუნიკაციისათვის სასწავლო-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ინსტრუმენტების გამოყენებით.
- მოამზადოს სტუდენტები ფუძემდებლური სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების კრიტიკულად გააზრებისა და მათი გაზიარებისათვის სამართლის ფასეულობითი საფუძვლების განვითარებისა და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ფორმირების მიზნებისთვის, რითაც თავის წვლილს შეიტანენ, როგორც სამართლის მეცნიერების, ისე ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარების საქმეში.

- უზრუნველყოს სტუდენტის, როგორც სამართლის სფეროს მკვლევარის, ლიდერად ჩამოყალიბება და ამ პოზიციის მუდმივად შენარჩუნება ცოდნისა და კვლევის არეალის სისტემატურად გაფართოების, განახლებისა და სრულყოფის გზით.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება. დოქტორანტი:

- იცნობს სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებულ უახლეს მიღწევებს, თეორიებს/კონცეფციებს, რაც საშუალებას იძლევა, სისტემურად/კრიტიკულად გაიაზროს სამართლის სფეროს ფარგლებში დაგროვილ ცოდნასთან, თანამედროვე ტენდენციების /მიდგომების ინტეგრაციის შესაძლებლობა, დააკავშიროს ის საკუთარ კვლევით პრობლემასთან და ჩამოაყალიბოს ფართო ინტერდისციპლინური ან მულტიდისციპლინური კონტექსტი სადოქტორო კვლევის განხორციელებისათვის.

2. უნარი. დოქტორანტი:

- შეიმუშავებს კვლევის მიზნებს და ამოცანებს, აყალიბებს საკვლევ ჰიპოთეზას, განსაზღვრავს /ასაბუთებს დასმული პრობლემის აქტუალობას, საკუთარი მეცნიერული მიდგომების კონსტექსტში.
- ახდენს კვლევის ინოვაციური მეთოდების გამოყენებას ან/და შეიმუშავებს კვლევის ახალ მეთოდებს, ასაბუთებს მათ რელევანტურობას, უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებას, რომლის შედეგები საფუძვლად დაედება ახალი ცოდნის გენერირებას და შეესაბამება საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელ სტანდარტებს.
- ახდენს ახალი, რთული, მათ შორის, წინააღმდეგობრივი მეცნიერული იდეების, კონცეფციებისა და მიდგომების კრიტიკულად გაანალიზებას/შეფასებას, საკუთარი კვლევის შედეგებთან მიმართებით, არგუმენტირებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას, სფეროს თეორიული ან/და პრაქტიკული მიმართულებით განვითარებისათვის.
- არგუმენტირებულად წარმოაჩენს კვლევის შედეგად გამოკვეთილ აღმოჩენებს, მიგნებებს არსებული ცოდნის კონტექსტში, ახდენს მის სტრუქტურირებას ლოგიკური მთლიანობით, მისთვის პრეზენტაბელური სახის მიცემას და წარდგენას/დაცვას კოლეგებისა და ფართო საზოგადოების წინაშე.
- უზრუნველყოფს სამეცნიერო დისკუსიაში აქტიურ ჩართვას, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობისა და სამეცნიერო პუბლიკაციების გზით, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესის გაფართოებას და სტუდენტთა საკომუნიკაციო უნარების განვითარებას უცხოელ კოლეგებთან;
- ახდენს აკადემიურ და სხვა სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაციას (საზოგადოებრივი განვითარების მიზნებისთვის) - ახალი ცოდნის/აქტუალური ინფორმაციის გასაგებად გადაცემას/გაზიარებას, მიზნობრივი აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. დოქტორანტი:

- ახდენს მართვის ადეკვატური მეთოდებისა და მოდელების შერჩევას, მათ ინოვაციურ განვითარებას/გამოყენებას, პროფესიული ეთიკის დაცვით, სამეცნიერო, აკადემიური თუ სხვა ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელებისთვის.
- ახორციელებს აკადემიური ჯგუფის წევრების (სტუდენტების) სწავლის შედეგების ობიექტურ/სამართლიან შეფასებას და, შესაბამისად, სწავლება-სწავლის შინაარსის ან/და მეთოდოლოგიის ფორმირებას/კორექტირებას სტუდენტთა კომპეტენციების განვითარების მიზნით.
- დამოუკიდებლად ახდენს სამართლის სფეროში მიმდინარე პროცესებსა თუ უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე კონცენტრირებას და ტენდენციის გამოკვეთას, უზრუნველყოფს ახალი მეცნიერული თვალსაზრისის განვითარებას დამოუკიდებელი კვლევების განხორციელების გზითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, რომლის შედეგების სტრუქტურირებას მოახდენს სამეცნიერო ნაშრომის ნებისმიერი ფორმატით, უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო/საზოგადოებრივი წრეებისთვის.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

აპლიკანტად რეგისტრაციისათვის აუცილებელია სამართლის მიმართულებით მაგისტრის ან მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ ძალაში შესვლამდე (2005 წლამდე) მოპოვებული უმაღლესი განათლების დიპლომი, რომლის აღიარება/დადასტურება სავალდებულოა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

შესარჩევ კონკურსზე დასაშვებად კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში კვლევითი პუბლიკაცია ან/და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში (კონფერენციები, უნივერსიტეტის შიდა საგრანტო კონკურსები და მისთ.) მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.“

უცხოურ ენაში აპლიკანტის მომზადების დონე, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა აკმაყოფილებდეს ინგლისურ ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპულ სხვა უცხოურ ენაში, არანაკლებ, B2 დონეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია, აგრეთვე, ინგლისური ენის ცოდნის დემონსტრირება B1 დონეზე.“

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის პროცედურა შედგება ორი კომპონენტისგან:

- რეფერატის ან გამოქვეყნებული ნაშრომის (უახლოესი 5 წლის ფარგლებში) დაცვა საგამოცდო-საექსპერტო კომისიის წინაშე;
- გამოცდა უცხოურ ენებში (ინგლისური ენა ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული ენა და ინგლისური ენა).

საკონკურსო რეფერატის/გამოქვეყნებული ნაშრომის დაცვის პროცესით უნდა გამოვლინდეს:

ა) აპლიკანტის კვლევის ინტერესის სფერო;

ბ) აპლიკანტის აკადემიური დონე სამართლის დარგობრივი სფეროს ფარგლებში, რაც გულისხმობს:

- თეორიებსა და კვლევებზე დაფუძნებული დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას.
- დარგობრივი პრინციპებისა და მეთოდების სრულყოფილ ცოდნას.

გ) კვლევითი კომპეტენცია, რაც გულისხმობს:

- ანალიზისა და სინთეზის უნარს.
- პრობლემის დასმის/ხედვის და მისი ორიგინალურად განვითარების უნარს.
- წარდგენილ ნაშრომში განვითარებული აზრის ან/და კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და დამაჯერებელი არგუმენტაციით წარდგენის/დაცვის უნარს.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მიანიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურად ან ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის პროცედურა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და "სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტით".

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნითი შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო ნაშრომები/პროექტები განიხილება ერთიან სამეცნიერო კომპონენტად და ცალკე არ ფასდება. მათი შესრულების ხარისხი აღინიშნება: „ჩაითვალოს საკმარისად“ ან „ჩაითვალოს არასაკმარისად“.

დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმა, რომელიც ხორციელდება საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტის წევრების მიერ, შემდეგი სისტემით:

- ა. ფრიადი (summa cum laude), 91-100 ქულა - შესანიშნავი ნაშრომი.
- ბ. ძალიან კარგი (magna cum laude), 81-90 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.
- გ. კარგი (cum laude), 71-80 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.
- დ. საშუალო (bene), 61-70 ქულა - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს.
- ე. დამაკმაყოფილებელი (rite), 51-60 ქულა - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.
- ვ. არადამაკმაყოფილებელი (insufficient), 41-50 ქულა - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო.
- ზ. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), 0-40 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

“ა” – “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

“ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

“ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე

სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება პლაგიატით ან მონაცემთა გაყალბებით არის განპირობებული, საკითხს იხილავს სადისერტაციო საბჭო.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

პროგრამის სასწავლო კომპონენტი დაგეგმილია 60 კრედიტით. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები ან სტანდარტები განსაზღვრავს როგორც მიზნებსა და შედეგებს, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტი კონცენტრაციას ახდენს სამართლის ერთ-ერთი დარგის ფარგლებში ცოდნის გაფართოვებასა და კვლევაზე.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- ა) დარგობრივი დისციპლინების მოდული (20 კრედიტი)
- ბ) ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდული (12 კრედიტი)
- გ) მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდული (18 კრედიტი)
- დ) არჩევითი სასწავლო კომპონენტების მოდული (10 კრედიტი)

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- ა) ორ კოლოკვიუმს, რომელიც გულისხმობს, სამეცნიერო სტატიის მომზადებას, ქართულ ენაზე, და წარდგენას კომისიის წინაშე (კოლოკვიუმი 1) და სამეცნიერო მოხსენების მომზადებას ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე და წარდგენას კომისიის წინაშე (კოლოკვიუმი 2).
- ბ) საკუთრივ სადისერტაციო ნაშრომს.
- გ) არჩევითი მოდულის სამეცნიერო კომპონენტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას - სტატიის გამოქვეყნება სართაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან სამეცნიერო პრაქტიკის გავლა ადგილობრივ, ან უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

დისერტაციის დაცვის წინაპირობა გულისხმობს:

- ა) ერთი სტატია რეფერირებად გამოცემაში (ქართულ ენაზე).
- ბ) ერთი სამეცნიერო მოხსენება/თეზისი საერთაშორისო ფორუმის კრებულში ან ელექტრონულ მატარებელზე, პირადი მონაწილეობის დადასტურებით (უცხოურ ენაზე).
- გ) ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო გამოცემებში, რომლებიც ინდექსირებულია Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, EBSCO, ERIH plus ბაზებში.
- დ) პოპულარული სტატია ელექტრონულ ან მატერიალურ მატარებელზე, ან შემეცნებითი ბლოგი (2-3 ბლოგი); ან უნდა ჰქონდეს გამოსვლა ელექტრონული მედიით საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებზე, ან ჩაატაროს პოპულარული ლექციების ციკლი, რომელიც ემსახურება საზოგადოების ცოდნის გაფართოებას, ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის ორგანიზება გაუწიოს/წაიყვანოს პროფესიული განვითარების/გადამზადების ტრენინგები.
- ე) განხორციელებული უნდა ჰქონდეს არჩევითი მოდულის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებით გათვალისწინებული თითო აქტივობა, თითოეული ამ კომპონენტის ფარგლებში.
- ვ) განხორციელებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობა.

სრული პროგრამული კურსი გათვლილია 6 სემესტრზე, სემესტრში – 19 კვირა, რომელიც მოიცავს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესს, კონსულტაციებს, შუალედური და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას. ბლოკ-სემინარის პრინციპით განხორციელებული კომპონენტების კვირეული დატვირთვა განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და დისერტაციის დაცვის საფუძველზე, დოქტორანტს ენიჭება **სამართლის დოქტორის** აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია PHD, რაც დასტურდება დიპლომით.

ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	დოქტორანტურა, მერვე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი / Doctor of Business Administration
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	60 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი); 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ახალი გენერაციის მკვლევრები ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც შეძლებენ მაღალკვალიფიციურ ანალიტიკურ, სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას და, კონკრეტული თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიაში, მათ შორის, არაკომერციული ორგანიზაციებსა და გაერთიანებაში, სამუშაოს ორგანიზებას/მართვას მეცნიერულ საფუძველებზე.
- ბიზნესის დარგობრივი მეცნიერული მემკვიდრეობის კონტექსტში, განუვითაროს სტუდენტებს, უახლესი მეცნიერული მიღწევების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, რაც არსებული ცოდნის ახლებურად გააზრების, გაფართოებისა და, ამ ცოდნის, კვლევის პროცესთან, ინტეგრირების შესაძლებლობას შექმნის.
- გაუფართოვოს სტუდენტებს მეცნიერული აზროვნების სისტემა, გამოუმუშაოს ახალი ცოდნის გენერირებაზე კონცენტრირებული მეცნიერული კვლევების დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარი, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერების შემდგომ განვითარებას, დარგის რეფორმირების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებული სამეცნიერო პროდუქტების შექმნას.
- უზრუნველყოს მოტივაციური გარემოს შექმნა სტუდენტებში სოციალური პასუხისმგებლობის, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და მათი მატერიალიზებისათვის ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ბიზნესზე ორიენტირებული აზროვნების განვითარების ან/და ბიზნესინიციატივის გენერირების უნარის ფორმირების/სტიმულირების მიზნით.
- განავითაროს ქმედითი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სისტემა, რომელიც საფუძველს შექმნის სტუდენტის, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების დარგის მკვლევარის, ლიდერად ჩამოყალიბებისა და ამპოზიციის მუდმივად შენარჩუნებისათვის ცოდნისა და კვლევის არეალის სისტემატურად გაფართოების, განახლებისა და სრულყოფის გზით.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება - დოქტორანტი:

- იცნობს საკვლევი სფეროს დარგის/ქვედარგის განვითარების ფარგლებში ჩამოყალიბებულ ახალ მეცნიერულ მიმდინარეობებს, მის აქტუალურ პრობლემებს, მათი გადაწყვეტის მიმართ თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს და კონცეფციებს არსებული ცოდნის კონტექსტში;

- განიხილავს ცალკეულ ავტორთა მოსაზრებებს დარგის/ქვედარგის განვითარების პერსპექტივის, მისი თავისებურებებისა და მოქმედი ფაქტორების შესახებ, რაც ქმნის საფუძველს ცოდნის ახლებურად გააზრება-გაფართოვების, ღირებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის მომზადებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;
- აღწერს დარგის/ქვედარგის მიმართულებით დაგროვილი ცოდნის კონსერვაციისა და მისი მეცნიერული განვითარების აუცილებლობას - უახლესი მიღწევებისა და აღმოჩენების ინტეგრაციის შესაძლებლობას, აკავშირებს მას საკუთარ კვლევით პრობლემასთან ფართო თეორიული კონტექსტის კვლევის განხორციელებისათვის.

2. უნარი - დოქტორანტი:

- წარმოაჩენს საკვლევი თემის მეცნიერულ ან/და პრაქტიკულ მნიშვნელობას, მისი აქტუალობას; შეიმუშავებს კვლევის/ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიურ აპარატს, არჩევს კვლევის რელევანტურ მეთოდებს კვლევის მიზნებსა და ჰიპოთეზასთან მიმართებით;
- შეიმუშავებს კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების ახლებურ ალგორითმს ან/და ახალ მეთოდებს, რომლის გამოყენებითაც ახორციელებს კვლევას ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული საკუთარი მეცნიერულ მიდგომების/მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად;
- ახდენს ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციის, მისი დიზაინის ფორმირების, ხარისხის ამაღლების, საწარმოო სისტემებში, მათ შორის, საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების მეთოდების კონსტრუირებას;
- პედაგოგიურ საქმიანობის განხორციელების პროცესში იყენებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან;
- კრიტიკულად აანალიზებს არსებულ მეცნიერულ იდეებს, მათ შორის, წინააღმდეგობრივ კონცეფციებსა და თეორიებს, რის საფუძველზედაც საკუთარი კვლევის შედეგებთან მიმართებით აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - დოქტორანტი:

- დამოუკიდებლად ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ახალი და დამკვიდრებული ღირებულებების, თეორიული იდეებისა და პრაქტიკის განვითარებას, თვითკრიტიკულია და მეცნიერულად აფასებს დომინანტ იდეებს/დებულებებს და ახდენს მათ კორექტირებას. აყალიბებს მეცნიერულ დებულებებს/თეზისებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარგის შემდგომი განვითარებისათვის ახალ მეცნიერულ მიღწევებსა და საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.
- ავლენს ღირებულებითი სისტემის, როგორც აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორის მდგრადობის ხარისხს და მიკროსოციუმის სპეციფიკის გათვალისწინებით ქმნის ადეკვატურ ალგორითმს მის დასამკვიდრებლად. შემოქმედებითად იყენებს ადმინისტრირების სფეროში მიღებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ცოდნას და წამყვან როლს ასრულებს ორგანიზაციის კორპორაციული კულტურის ახალი პარადიგმების ფორმირების პროცესში.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

აპლიკანტად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების/ეკონომიკის მიმართულებით მაგისტრის ან მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ ძალაში შესვლამდე (2005 წლამდე) მოპოვებული უმაღლესი განათლების დიპლომი, რომლის აღიარება/დადასტურება სავალდებულოა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

შესარჩევ კონკურსზე დასაშვებად კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში კვლევითი პუბლიკაცია ან/და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში (კონფერენციები, უნივერსიტეტის შიდა საგრანტო კონკურსები და მისთ.) მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.“

უცხოურ ენაში აპლიკანტის მომზადების დონე, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა აკმაყოფილებდეს ინგლისურ ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპულ სხვა უცხოურ ენაში, არანაკლებ B2 დონეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია, აგრეთვე, ინგლისური ენის ცოდნის დემონსტრირება B1 დონეზე.“

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის პროცედურა შედგება ორი კომპონენტისგან:

- რეფერატის ან გამოქვეყნებული ნაშრომის (უახლოესი 5 წლის ფარგლებში) დაცვა საგამოცდო-საექსპერტო კომისიის წინაშე;
- გამოცდა უცხოურ ენებში (ინგლისური ენა ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული ენა და ინგლისური ენა).

საკონკურსო რეფერატის/გამოქვეყნებული ნაშრომის დაცვის პროცესით უნდა გამოვლინდეს:

ა) აპლიკანტის კვლევის ინტერესის სფერო;

ბ) აპლიკანტის აკადემიური დონე სამართლის დარგობრივი სფეროს ფარგლებში, რაც გულისხმობს:

- თეორიებსა და კვლევებზე დაფუძნებული დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას.
- დარგობრივი პრინციპებისა და მეთოდების სრულყოფილ ცოდნას.

გ) კვლევითი კომპეტენცია, რაც გულისხმობს:

- ანალიზისა და სინთეზის უნარს.
- პრობლემის დასმის/ხედვის და მისი ორიგინალურად განვითარების უნარს.
- წარდგენილ ნაშრომში განვითარებული აზრის ან/და კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და დამაჯერებელი არგუმენტაციით წარდგენის/დაცვის უნარს.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მიანიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურად ან ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის პროცედურა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და დებულებით "სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ".

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნითი შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო ნაშრომები/პროექტები განიხილება ერთიან სამეცნიერო კომპონენტად და ცალკე არ ფასდება. მათი შესრულების ხარისხი აღინიშნება: „ჩაითვალოს საკმარისად“ ან „ჩაითვალოს არასაკმარისად“.

დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმა, რომელიც ხორციელდება საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტის წევრების მიერ, შემდეგი სისტემით:

ა. ფრიადი (summa cum laude), 91-100 ქულა - შესანიშნავი ნაშრომი.

ბ. ძალიან კარგი (magna cum laude), 81-90 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.

გ. კარგი (cum laude), 71-80 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.

დ. საშუალო (bene), 61-70 ქულა - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ე. დამაკმაყოფილებელი (rite), 51-60 ქულა - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

ვ. არადამაკმაყოფილებელი (insufficient), 41-50 ქულა - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო.

ზ. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), 0-40 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

“ა” – “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

“ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

“ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება პლაგიატით ან მონაცემთა გაყალბებით არის განპირობებული, საკითხს იხილავს სადისერტაციო საბჭო.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

პროგრამის სასწავლო კომპონენტი დაგეგმილია 60 კრედიტით. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები ან სტანდარტები განსაზღვრავს როგორც მიზნებსა და შედეგებს, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტი კონცენტრაციას ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ფარგლებში ცოდნის გაფართოვებასა და კვლევაზე.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

ა) დარგობრივი დისციპლინების მოდული (20 კრედიტი)

ბ) ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდული (12 კრედიტი)

- გ) მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდული (18 კრედიტი)
- დ) არჩევითი სასწავლო კომპონენტების მოდული (10 კრედიტი)

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- ა) ორ კოლოკვიუმს, რომელიც გულისხმობს, სამეცნიერო სტატიის მომზადებას, ქართულ ენაზე, და წარდგენას კომისიის წინაშე (კოლოკვიუმი 1) და სამეცნიერო მოხსენებების მომზადებას ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე და წარდგენას კომისიის წინაშე (კოლოკვიუმი 2).
- ბ) საკუთრივ სადისერტაციო ნაშრომს.
- გ) არჩევითი მოდულის სამეცნიერო კომპონენტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას - სტატიის გამოქვეყნება სერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან სამეცნიერო პრაქტიკის გავლა ადგილობრივ, ან უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

დისერტაციის დაცვის წინაპირობა გულისხმობს:

- ა) ერთი სტატია რეფერირებად გამოცემაში (ქართულ ენაზე).
- ბ) ერთი სამეცნიერო მოხსენება/თეზისი საერთაშორისო ფორუმის კრებულში ან ელექტრონულ მატარებელზე, პირადი მონაწილეობის დადასტურებით (უცხოურ ენაზე).
- გ) ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო გამოცემებში, რომლებიც ინდექსირებულია Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, EBSCO, ERIH plus ბაზებში.
- დ) პოპულარული სტატია ელექტრონულ ან მატერიალურ მატარებელზე, ან შემეცნებითი ბლოგი (2-3 ბლოგი); ან უნდა ჰქონდეს გამოსვლა ელექტრონული მედიით საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებზე, ან ჩაატაროს პოპულარული ლექციების ციკლი, რომელიც ემსახურება საზოგადოების ცოდნის გაფართოებას, ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის ორგანიზება გაუწიოს/წაიყვანოს პროფესიული განვითარების/გადამზადების ტრენინგები.
- ე) განხორციელებული უნდა ჰქონდეს არჩევითი მოდულის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებით გათვალისწინებული თითო აქტივობა, თითოეული ამ კომპონენტის ფარგლებში.
- ვ) განხორციელებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობა.

კოლოკვიუმისათვის დოქტორანტი ნაშრომებს ამუშავებს მეცნიერ-ხელმძღვანელთან კონსულტაციით, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დამუშავება მიმდინარეობს მეცნიერ-ხელმძღვანელთან ინდივიდუალური მუშაობით.

სრული პროგრამული კურსი გათვლილია 6 სემესტრზე, სემესტრში – 19 კვირა, რომელიც მოიცავს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესს, კონსულტაციებს, შუალედური და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას. ბლოკ-სემინარის პრინციპით განხორციელებული კომპონენტების კვირეული დატვირთვა განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, სწავლის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და დისერტაციის დაცვის საფუძველზე, დოქტორანტს ენიჭება **ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია**, რაც დასტურდება დიპლომით.

ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration

უმაღლესი განათლების საფეხური / დონე	დოქტორანტურა, მერვე
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი / Doctor of Business Administration
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	60 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი); 3 წელი / 6 სემესტრი
პროგრამას ახორციელებს და კვალიფიკაციას ანიჭებს	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო ერთეული / სკოლა	ბიზნესისა და მართვის სკოლა
სასწავლო წელი	2025-2026

პროგრამის მიზნები

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ახალი გენერაციის მკვლევრები ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც შეძლებენ მაღალკვალიფიციურ ანალიტიკურ, სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას და, კონკრეტული თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიაში, მათ შორის, არაკომერციული ორგანიზაციებსა და გაერთიანებაში, სამუშაოს ორგანიზებას/მართვას მეცნიერულ საფუძვლებზე.
- ბიზნესის დარგობრივი მეცნიერული მემკვიდრეობის კონტექსტში, განუვითაროს სტუდენტებს, უახლესი მეცნიერული მიღწევების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, რაც არსებული ცოდნის ახლებურად გააზრების, გაფართოებისა და, ამ ცოდნის, კვლევის პროცესთან, ინტეგრირების შესაძლებლობას შექმნის.
- გაუფართოვოს სტუდენტებს მეცნიერული აზროვნების სისტემა, გამოუმუშაოს ახალი ცოდნის გენერირებაზე კონცენტრირებული მეცნიერული კვლევების დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარი, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერების შემდგომ განვითარებას, დარგის რეფორმირების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებული სამეცნიერო პროდუქტების შექმნას.
- უზრუნველყოს მოტივაციური გარემოს შექმნა სტუდენტებში სოციალური პასუხისმგებლობის, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და მათი მატერიალიზებისათვის ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ბიზნესზე ორიენტირებული აზროვნების განვითარების ან/და ბიზნესინიციატივის გენერირების უნარის ფორმირების/სტიმულირების მიზნით.
- განავითაროს ქმედითი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სისტემა, რომელიც საფუძველს შექმნის სტუდენტის, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების დარგის მკვლევარის, ლიდერად ჩამოყალიბებისა და ამპოზიციის მუდმივად შენარჩუნებისათვის ცოდნისა და კვლევის არეალის სისტემატურად გაფართოების, განახლებისა და სრულყოფის გზით.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება - დოქტორანტი:

- იცნობს საკვლევი სფეროს დარგის/ქვედარგის განვითარების ფარგლებში ჩამოყალიბებულ ახალ მეცნიერულ მიმდინარეობებს, მის აქტუალურ პრობლემებს, მათი გადაწყვეტის მიმართ თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს და კონცეფციებს არსებული ცოდნის კონტექსტში;
- განიხილავს ცალკეულ ავტორთა მოსაზრებებს დარგის/ქვედარგის განვითარების პერსპექტივის, მისი თავისებურებებისა და მოქმედი ფაქტორების შესახებ, რაც ქმნის საფუძველს ცოდნის ახლებურად გააზრება-გაფართოვების, ღირებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის მომზადებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;
- აღწერს დარგის/ქვედარგის მიმართულებით დაგროვილი ცოდნის კონსერვაციისა და მისი მეცნიერული განვითარების აუცილებლობას - უახლესი მიღწევებისა და აღმოჩენების ინტეგრაციის შესაძლებლობას, აკავშირებს მას საკუთარ კვლევით პრობლემასთან ფართო თეორიული კონტექსტის კვლევის განხორციელებისათვის.

2. უნარი - დოქტორანტი:

- წარმოაჩენს საკვლევი თემის მეცნიერულ ან/და პრაქტიკულ მნიშვნელობას, მისი აქტუალობას; შეიმუშავებს კვლევის/ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიურ აპარატს, არჩევს კვლევის რელევანტურ მეთოდებს კვლევის მიზნებსა და ჰიპოთეზასთან მიმართებით;
- შეიმუშავებს კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების ახლებურ ალგორითმს ან/და ახალ მეთოდებს, რომლის გამოყენებითაც ახორციელებს კვლევას ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული საკუთარი მეცნიერულ მიდგომების/მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად;
- ახდენს ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციის, მისი დიზაინის ფორმირების, ხარისხის ამაღლების, საწარმოო სისტემებში, მათ შორის, საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების მეთოდების კონსტრუირებას;
- პედაგოგიურ საქმიანობის განხორციელების პროცესში იყენებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან;
- კრიტიკულად აანალიზებს არსებულ მეცნიერულ იდეებს, მათ შორის, წინააღმდეგობრივ კონცეფციებსა და თეორიებს, რის საფუძველზედაც საკუთარი კვლევის შედეგებთან მიმართებით აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - დოქტორანტი:

- დამოუკიდებლად ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ახალი და დამკვიდრებული ღირებულებების, თეორიული იდეებისა და პრაქტიკის განვითარებას, თვითკრიტიკულია და მეცნიერულად აფასებს დომინანტ იდეებს/დებულებებს და ახდენს მათ კორექტირებას. აყალიბებს მეცნიერულ დებულებებს/თეზისებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარგის შემდგომი განვითარებისათვის ახალ მეცნიერულ მიღწევებსა და საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.
- ავლენს ღირებულებითი სისტემის, როგორც აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორის მდგრადობის ხარისხს და მიკროსოციუმის სპეციფიკის გათვალისწინებით ქმნის ადეკვატურ ალგორითმს მის დასამკვიდრებლად. შემოქმედებითად იყენებს ადმინისტრირების სფეროში მიღებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ცოდნას და წამყვან როლს ასრულებს ორგანიზაციის კორპორაციული კულტურის ახალი პარადიგმების ფორმირების პროცესში.

წინაპირობები პროგრამაზე დასაშვებად / ჩასარიცხად

აპლიკანტად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების/ეკონომიკის მიმართულებით მაგისტრის ან მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ ძალაში შესვლამდე (2005 წლამდე) მოპოვებული უმაღლესი განათლების დიპლომი, რომლის აღიარება/დადასტურება სავალდებულოა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

შესარჩევ კონკურსზე დასაშვებად კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში კვლევითი პუბლიკაცია ან/და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში (კონფერენციები, უნივერსიტეტის შიდა

საგრანტო კონკურსები და მისთ.) მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.“

უცხოურ ენაში აპლიკანტის მომზადების დონე, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა აკმაყოფილებდეს ინგლისურ ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპულ სხვა უცხოურ ენაში, არანაკლებ, B2 დონეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია, აგრეთვე, ინგლისური ენის ცოდნის დემონსტრირება B1 დონეზე.“

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის პროცედურა შედგება ორი კომპონენტისგან:

- რეფერატის ან გამოქვეყნებული ნაშრომის (უახლოესი 5 წლის ფარგლებში) დაცვა საგამოცდო-საექსპერტო კომისიის წინაშე;
- გამოცდა უცხოურ ენებში (ინგლისური ენა).

საკონკურსო რეფერატის/გამოქვეყნებული ნაშრომის დაცვის პროცესით უნდა გამოვლინდეს:

ა) აპლიკანტის კვლევის ინტერესის სფერო;

ბ) აპლიკანტის აკადემიური დონე სამართლის დარგობრივი სფეროს ფარგლებში, რაც გულისხმობს:

- თეორიებსა და კვლევებზე დაფუძნებული დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას.
- დარგობრივი პრინციპებისა და მეთოდების სრულყოფილ ცოდნას.

გ) კვლევითი კომპეტენცია, რაც გულისხმობს:

- ანალიზისა და სინთეზის უნარს.
- პრობლემის დასმის/ხედვის და მისი ორიგინალურად განვითარების უნარს.
- წარდგენილ ნაშრომში განვითარებული აზრის ან/და კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და დამაჯერებელი არგუმენტაციით წარდგენის/დაცვის უნარს.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მიანიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურად.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის პროცედურა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და "სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტით".

ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა ორ კომპონენტად იყოფა - **შუალედური** და **დასკვნითი** შეფასება. შუალედური შეფასებებისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური (60 ქულა) და მინიმალური (21 ქულა) ზღვარი. დასკვნით შეფასებაში მაქსიმალური ზღვარია 40 ქულა, ხოლო მინიმალური - 21 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/სემესტრული შეფასება, რომლის მინიმალური დადებითი ზღვარია 51 ქულა, მაქსიმალური კი - 100 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო/სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ხელახალი წარუმატებლობის შემთხვევაში, სასწავლო კურსი ახლიდან უნდა იქნას გავლილი.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები გულისხმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო ნაშრომები/პროექტები განიხილება ერთიან სამეცნიერო კომპონენტად და ცალკე არ ფასდება. მათი შესრულების ხარისხი აღინიშნება: „ჩაითვალოს საკმარისად“ ან „ჩაითვალოს არასაკმარისად“.

დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმა, რომელიც ხორციელდება საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტის წევრების მიერ, შემდეგი სისტემით:

ა. ფრიადი (summa cum laude), 91-100 ქულა - შესანიშნავი ნაშრომი.

ბ. ძალიან კარგი (magna cum laude), 81-90 ქულა - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.

გ. კარგი (cum laude), 71-80 ქულა – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.

დ. საშუალო (bene), 61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ე. დამაკმაყოფილებელი (rite), 51-60 ქულა – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

ვ. არადამაკმაყოფილებელი (insufficient), 41-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო.

ზ. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), 0-40 ქულა – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

“ა” – “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

“ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

“ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება პლაგიატით ან მონაცემთა გაყალბებით არის განპირობებული, საკითხს იხილავს სადისერტაციო საბჭო.

პროგრამის სტრუქტურა და კვალიფიკაცია

პროგრამის სასწავლო კომპონენტი დაგეგმილია 60 კრედიტით. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები ან სტანდარტები განსაზღვრავს როგორც მიზნებსა და შედეგებს, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტი კონცენტრაციას ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ფარგლებში ცოდნის გაფართოვებასა და კვლევაზე.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

ა) დარგობრივი დისციპლინების მოდული (20 კრედიტი)

- ბ) ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდული (12 კრედიტი)
- გ) მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდული (18 კრედიტი)
- დ) არჩევითი სასწავლო კომპონენტების მოდული (10 კრედიტი)

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- ა) ორ კოლოკვიუმს, რომელიც გულისხმობს, სამეცნიერო სტატიის მომზადებას და წარდგენას კომისიის წინაშე (კოლოკვიუმი 1) და სამეცნიერო მოხსენების მომზადებას და წარდგენას კომისიის წინაშე (კოლოკვიუმი 2).
- ბ) საკუთრივ სადისერტაციო ნაშრომს.
- გ) არჩევითი მოდულის სამეცნიერო კომპონენტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას - სტატიის გამოქვეყნება სერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან სამეცნიერო პრაქტიკის გავლა ადგილობრივ, ან უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

დისერტაციის დაცვის წინაპირობა გულისხმობს:

- ა) ერთი სტატია რეფერირებად გამოცემაში.
- ბ) ერთი სამეცნიერო მოხსენება/თეზისი საერთაშორისო ფორუმის კრებულში ან ელექტრონულ მატარებელზე, პირადი მონაწილეობის დადასტურებით.
- გ) ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო გამოცემებში, რომლებიც ინდექსირებულია Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, EBSCO, ERIH plus ბაზებში.
